0132-5981

საბჭოთა სამართალი

78/
987/3

1987

4

СОДЕРЖАНИЕ

В Центральном Комитете КПСС 3

К 70-ЛЕТИЮ ВЕЛИКОГО ОКТЯБРЯ

И. Путкарадзе — Октябрьская революция и вопросы национально-государственного строительства в Грузии 6

ОБОБЩЕНИЕ СУДЕБНОЙ ПРАКТИКИ

А. Квициния — Причины и условия, способствующие совершению должностных преступлений 13

Ш. Папиашвили — К усовершенствованию законодательства о борьбе с нетрудовыми доходами 19

НАРКОМАНИИ — БЕСПОЩАДНЫЙ БОЙ!

А. Габиани — Результаты конкретно-социологических исследований наркотизма 24

ПОДРОСТОК И ПРЕСТУПЛЕНИЕ

Д. Абашидзе — Правосознание и правовое воспитание подрастающего поколения 28

ПЕРВЫЕ ШАГИ В НАУКЕ

М. Размадзе — Некоторые вопросы профилактики незаконного хранения огнестрельного оружия 33

Справка об итогах выборов народных судей и народных заседателей районных (городских) судов Грузинской ССР 37

Список избранных народных судей Грузинской ССР 38

К ЮБИЛЕЮ ИЛЬИ ЧАВЧАВАДЗЕ

Г. Соселия—Общественно-политические и правовые взгляды И. Чавчавадзе 42

ОФИЦИАЛЬНЫЙ МАТЕРИАЛ

Примерный устав жилищно-строительного кооператива 48

Д. Сухиташвили — Жилищно-строительный кооператив, права и обязанности граждан 63

Э. Кипиани, Т. Шавгулидзе — Право для всех 69

Информация 74

ИЗ ИСТОРИИ КРИМИНАЛИСТИКИ

Известные уголовные дела 77

© „საბჭოთა სამართალი“, 1987 წ.

რედაქციის მისამართი. 380110, თბილისი, ალექსანოვის ქ. 108, ტ. 95-88-49, 95-58-87.

გადაეცა წარმოებას 13 07. 87 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 14. 08. 87 წ., ფორმატი 70×108 1/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 7. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5.

შეკვ. № 1741. ტირაჟი 35.500. УЕ 04882.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებაში საპროკურორო ზედამხედველობის როლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ

დადგენილებაში ნათქვამია, რომ სსრ კავშირის პროკურატურას უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია სახელმწიფო ორგანოების სისტემაში, რომლებიც მოწოდებული არიან დაიცვან კანონიერება და მართლწესრიგი ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ 70-იანი წლების მანძილზე და 80-იანი წლების დამდეგს საზოგადოებაში ნეგატიური ტენდენციების გაძლიერების ვითარებაში სსრ კავშირის პროკურატურამ და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა ვერ შეძლეს სრულად უზრუნველეყოთ დაკისრებული ფუნქციების შესრულება. სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეთა მიერ კანონების ზუსტი და ერთგვაროვანი შესრულებისადმი უმაღლესი ზედამხედველობა შესუსტებული აღმოჩნდა, ყოველთვის ვერ უმკლავდებოდა მოვლენებს, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა საზოგადოების, სოციალისტური ცხოვრების წესის ინტერესებს. პროკურატურის მუშაკთა ნაწილი თმობდა კანონიერების პრინციპულ პოზიციებს, აჰყვა ადგილობრივი გავლენის მოთხოვნებს და ვიწროუწყებრივ ინტერესებს. ყოველთვის დროულად როდი აღკვეთდნენ სოციალისტური ქონების დიდძალ დატაცებას, მექრთამეობას, წამატებებსა და თვალის ახვევას, რომელშიც ჩათრეული იყვნენ ადამიანთა დიდი ჯგუფები, მათ შორის, პასუხისმგებელი თანამდებობის პირნი. დაქვეითდა ეკონომიკის სფეროში კანონების დაცვისადმი ზედამხედველობის დონე, ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობოდა მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვას, სამართლებრივი ნორმების განუხრელ შესრულებას თვით სამართალდამცველი ორგანოების, შრომა-გასწორების დაწესებულებების საქმიანობაში. ცალკეულ დანაშაულობათა გახსნას გადაყოლილი პროკურორები სულ უფრო ნაკლებად ახდენდნენ გავლენას უკანონობისა და სამართალდარღვევების წარმომშობი მიზეზების აღმოფხვრაზე.

ზოგიერთი ადგილობრივი პარტიული კომიტეტი, ნაცვლად იმისა, რომ კონტროლი და დახმარება გაეწია პროკურატურაში მომუშავე კომუნისტებისათვის, არ უთმობდა საკმარის ყურადღებას მათს საქმიანობაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრას, უშვებდა ადმინისტრირებას და გაუმართლებელ ჩარევას პროკურორთა ფუნქციებში.

თანამედროვე პირობებში, როდესაც ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმისა და პარტიის XXVII ყრილობის შემდეგ ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს ძირეული გარდაქმნა დაიწყო, პროკურატურის მუშაობაში ჯერ კიდევ შემორჩენილია ყავლგასული ტენდენციები, ნელა იცვლება საქმეთა მდგომარეობა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში, უკანა პლანზე რჩება ზოგადი ზედამხედველობა კანონების შესრულებისადმი. პროკურატურის ორგანოები ჯერ კიდევ სრულად როდი იყენებენ მინიჭებულ უფლებამოსილებას იმისათვის, რომ განამტკიცონ დისციპლინა, აამაღლონ ორგანიზებულობისა და წესრიგის დონე, გააძლიერონ საბჭოთა მოქალაქეების უფლებების დაცვა, დაამკვიდრონ სოციალური სამართლიანობის პრინციპები. სუსტად ხორციელდება სამართალდამცველი ორგანოების საქმიანობის კოორდინაცია სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში. პროკურატურის ცალკეული მუშაკები ხშირად თვითონ უშვებენ სოციალისტური კანონიერების უხეშ დარღვევებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია ძირფესვიანად გარდაქმნას სსრ კავშირის პროკურატურისა და მისი კოლეგიის, ადგილობრივი საპროკურორო ორგანოების მუშაობა, ამასთან უზრუნველყოფილ იქნეს მათი საქმიანობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების გადამწყვეტი გაუმჯობესება, რათა პროკურატურა მტკიცედ იდგეს საბჭოთა კანონების სადარაჯოზე; ყველა შემთხვევაში, როცა კი საქმე ეხება სახელმწიფო ინტერესებისა და მშრომელთა უფლებების დაცვას, მოქმედებდეს ინიციატივიანად, პრინციპულად და გაბედულად, სულ უფრო აქტიურად იბრძოდეს სამართალდარღვევებისა და დამნაშავეობის აღსაკვეთად, აძლიერებდეს საპროკურორო ზედამხედველობის პროფილაქტიკურ მიზანმიმართულებას. პროკურატურის ორგანოები მოვალენი არიან მაქსიმალურად გამოიყენონ მათს განკარგულებაში არსებული სამართლებრივი ბერკეტები ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, სოციალისტური დემოკრატიის გაფართოების, საბჭოთა ადამიანების აქტიურობის მაქსიმალური გაძლიერების ამოცანების წარმატებით განხორციელების ინტერესებისათვის, ყოველივე იმის წინააღმდეგ რაც ხელს უშლის ჩვენი საზოგადოების წინსვლა-განვითარებას. თავის საქმიანობას პროკურატურა უნდა ახორციელებდეს მაქსიმალური საჯაროობის პირობებში, ეყრდნობოდეს შრომითს კოლექტივებს და ფართო საზოგადოებრიობას, გაბედულად და მტკიცედ იცავდეს საბჭოთა კანონებს, სოციალისტური ცხოვრების წესის მოთხოვნებსა და ნორმებს.

დადგენილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ პროკურატურის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა გადაიტანოს თავის მუშაობაში სიმძიმის ცენტრი ზედამხედველობაზე მართვა-გამგეობის ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ კანონების შესრულებისადმი, ყოველნაირად განამტკიცოს კანონიერება საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში. პროკურატურის ძირითადი ყურადღება უნდა დაეთმოს ქმედითი ზედამხედველობის განხორციელებას იმისადმი, თუ როგორ ასრულებენ უწყება-სამინისტროთა, საწარმო-ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, სხვა თანამდებობის პირნი მინდობილ სამუშაო უბანზე კანონების დასაცავად დაკისრებულ მოვალეობას, გაუწიონ მათ საჭირო დახმარება ამ საქმეში, დროულად გამოავლინონ და აღკვეთონ კანონიერების დარღვევები. ამასთან დაკავშირებით საჭიროდ არის მიჩნეული მიენიჭოთ პროკურატურის ორგანოებს დამატებითი უფლებამოსილება, მიეცეთ პროკურორებს უფლება გამოიტანონ შესასრულებლად სავალდებულო ბრძანებები კანონის აშკარა დარღვევათა დაუყოვნებლივ აღმოსაფხვრელად, შეაჩერონ გაპროტესტებული უკანონო სამართლებრივი აქტების მოქმედება, აგრეთვე დაავალონ სამეურნეო მმართველობის ორგანოებს შეამოწმონ, თუ როგორ იცავენ კანონებს დაქვემდებარებული საწარმოები, ორგანიზაციები და თანამდებობის პირნი.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ პროკურატურის ორგანოები მოვალენი არიან სისტემატურად მიაწოდონ ინფორმაცია სახალხო დეპუტატთა საბჭოებს, მათს აღმასრულებელსა და განმკარგულებელ ორგანოებს კანონიერების მდგომარეობისა და მისი განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ, აქტიური მონაწილეობა მიიღონ მართვა-გამგეობის კოლეგიური ორგანოების მუშაობაში, იღვაწონ სოციალისტური კანონიერების გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, პროკურორებმა უფრო აქტიურად უნდა გამოიყენონ სამართლებრივი საშუალებანი, რათა საიმედოდ დაიცვან სოციალისტური საკუთრება, ყოველნაირად განამტკიცონ საგეგმო და სახელმეკრულებო დისციპლინა, მომჭირნეობის რეჟიმი, გაუმჯობესდეს პროდუქციის ხარისხი, დადგენილი წესით მისცენ ბრალეული პირნი მატერიალურ, დისციპლინურ, ადმინისტრაციულ ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

საჭიროდ არის მიჩნეული უზრუნველყოფილ იქნეს იმ მუშაობის დონის განუხრელი ამაღლება, რომელსაც პროკურატურა ეწევა მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად, ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ საბჭოთა ადამიანისათვის ზრუნვა, კანონის წინაშე ყველას თანასწორობის უზრუნველყოფა, მოქალაქეთა უფლებების შემლახავი მოქმედების აღკვეთა, მშრომელთა საჩივარ-განცხადებებისა და წინადადებების განხილვისადმი ყურადღებიანი დამოკიდებულება პროკურატურის ყველა მუშაკის მოქალაქეობრივი და პროფესიული ვალია. საბჭოთა პროკურორები მოწოდებული არიან შეუპოვრად ებრძოლონ ადამიანთა ბედისადმი უსულგულო დამოკიდებულების ფაქტებს, ბიუროკრატიზმის და უწყებრიობის გამოვლინებებს, კრიტიკის ჩახშობის შემთხვევებს, ყოველივე იმას, რაც აბრკოლებს ჩვენი საზოგადოების გარდაქმნასა და ზნეობრივ გაჯანსაღებას. ამასთან ყოვლად დაუშვებელია კანონიერების დარღვევები თვით პროკურატურის მუშაკთა მიერ, მათი მხრივ მიკერძოების და თვითნებობის გამოჩენა საქმეთა გამოძიებისას, აგრეთვე მოქალაქეთა წერილებისა და სხვა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიმართვების არაობიექტური განხილვა. მოქალაქეთა უფლებების გარანტიების გასაძლიერებლად და სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების გასაუმჯობესებლად მიზანშეწონილად არის მიჩნეული შესწავლილ იქნეს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ადვოკატთა მონაწილეობის გაფართოებასთან გამოძიების უფრო ადრეულ სტადიებში.

სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს, სსრ კავშირის პროკურატურის კოლეგიასა და პარტკომს რჩევა მიეცათ განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი პროკურატურის ორგანოების კადრების შერჩევის, განაწილების, პროფესიული მომზადებისა და აღზრდის ძირეული გაუმჯობესებისათვის. ამასთან დაკავშირებით დასახულია სისტემატურად განხორციელდეს პროკურატურის ორგანოების კადრების გადამზადება, უპირველესი ყურადღება დაეთმოს მათ მიერ კონკრეტული ეკონომიკის, მართვა-გამგეობისა და მეურნეობის გაძღოლის თანამედროვე მეთოდების შესწავლას, აგრეთვე რეორგანიზებულ იქნეს პროკურატურაში მოქმედი პროკურორ-გამომძიებელი მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლების სისტემა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, აღნიშნულია დადგენილებაში, იმით ხელმძღვანელობს, რომ პროკურატურაში შეიძლება მუშაობდნენ მხოლოდ პოლიტიკურად მოწიფული, პრინციპული, უანგარო, კომპეტენტური და კეთილსინდისიერი ადამიანები. ყოველი პროკურორ-გამომძიებელი მუშაკი თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მოწოდებულია მოქმედებდეს ზუსტად კანონის, სოციალისტური ჰუმანიზმის ფარგლებში, იჩენდეს კეთილმოსურნეობას, გულისხმიერებასა და ყურადღებას ადამიანების მიმართ. ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის გენერალურ პროკურორსა და მოკავშირე რესპუბლიკების პროკურორებს წინადადება მიეცათ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ პროკურორთა კადრების შერჩევასა და აღზრდას, გამოიყენონ პოკურორ-გამომძიებელთა ატესტაცია კადრების ქმედითი რეზერვის შესაქმნელად, უძრაობის მოვლენების დასაძლევად, შემდგომ მუშაობაში ნაკლოვანებათა გასაკრიტიკებლად და აღმოსაფხვრელად.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა უნდა აამაღლონ პროკურატურის ორგანოების პოლიტიკური ხელმძღვანელობის დონე, გაუწიონ მათ საჭირო დახმარება და მხარდაჭერა მუშაობაში. უზრუნველყონ პროკურატურის ორგანოების მჭიდრო კავშირი მშრომელთა კოლექტივებთან და მოსახლეობასთან. უფრო აქტიურად წარმართონ მუშაობა პროკურატურის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებთან, გაზარდონ მათი როლი პროკურატურის ორგანოების საქმიანობის გარდაქმნაში, გააძლიერონ მომთხოვნელობა ამ საქმეში კომუნისტების მიმართ. გაზარდონ პარტიული კომიტეტების პასუხისმგებლობა პროკურატურის კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის. რესპუბლიკებსა და ოლქებში, სადაც მრავალეროვანი მოსახლეობაა, შესაბამისი პროკურატურების კადრების დაკომპლექტებისას გაითვალისწინონ დასაწინაურებელ მუშაკთა პროფესიული ვარგისიანობა და ეროვნული კუთვნილება.

პარტიული ორგანოები, ხაზგასმით არის აღნიშნული დადგენილებაში, მოვალენი არიან უზრუნველყონ პროკურატურის დამოუკიდებლობის ლენინური პრინციპების განუხრელი განხორციელება, აღკვეთონ ყოველგვარი ისეთი ცდა, როდესაც ლამობენ გავლენა მოახდინონ პროკურორებზე მათ კომპეტენციაში შემავალი საკითხების გამო გადაწყვეტილებათა მიღებისას, ჩაერიონ სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებაში; მკაცრად მოჰკითხონ ხელმძღვანელებსა და სხვა თანამდებობის პირებს, რომლებიც არ იღებენ სასწრაფო ღონისძიებებს პროკურატურის მიერ გამოვლენილი კანონიერების დარღვევების აღსაკვეთად და მოქალაქეებისა და ორგანიზაციების შელახულ უფლებათა აღსადგენად.

სსრ კავშირის სახტელერადიოს, სსრ კავშირის გამსახკომს, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს რჩევა მიეცათ გააუმჯობესონ სოციალისტური კანონიერების ლენინური პრინციპების პროპაგანდა, აამაღლონ მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში მართლწესრიგის განმტკიცების აქტუალური პრობლემების გაშუქების დონე, აქტიურად დაიცვან საბჭოთა მოქალაქეების უფლებები და ინტერესები, ხელი შეუწყონ საზოგადოებრივი აზრის სწორ ფორმირებას, მტკიცედ დაიცვან პუბლიკაციების უტყუარობა, მეტი ყურადღება დაუთმონ საბჭოთა კანონმდებლობის, ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებების წინააღმდეგ ბრძოლის დადებითი გამოცდილების პროპაგანდას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოქტომბრის რევოლუცია და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის საკითხი საქართველოში

იაკობ ფუტკარაძე

1917 წლის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია მსოფლიო მასშტაბის ისეთ მოვლენათა რიგს მიეკუთვნება, რომელთაც თავ-თავის დროს კაცობრიობის ისტორიის ახალ მოსაბრუნს დაუდეს სათავე. ოქტომბრის გადატრიალების საკაცობრიო მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ მან საფუძველი ჩაუყარა სოციალისტურ საზოგადოებრივ წყობილებას. ამ ახალმა წესწყობილებამ დროთა განმავლობაში ისე იმძლავრა, რომ სოციალიზმის მსოფლიო სისტემად ჩამოყალიბდა და კაცობრიობის განვითარების გენერალური მიმართულების განმსაზღვრელ ფაქტორად იქცა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ „საფუძველი ჩაუყარა ჩვენს ქვეყანაში ეროვნული საკითხის გადაწყვეტას. საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე საქმით დადასტურდა ხალხთა თანასწორობა, მათი ძმური თანამშრომლობა. განვითარდა ყველა რესპუბლიკის ეკონომიკა და კულტურა“[1].

ოქტომბრის რევოლუციამ დაანგრია რუსეთის უკიდეგანო იმპერია, რომელსაც ვ. ი. ლენინმა მეტად მოსწრებულად და სავსებით სამართლიანად „ხალხთა საპყრობილე“ უწოდა. რევოლუციამ ძირფესვიანად შეცვალა და სრულიად ახალი გზით წარმართა იმპერიაში მყოფი ხალხების ბედი. იგი უშუალოდ შეეხო ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესებს და ჭეშმარიტად ღირსსახსოვარ მოვლენად იქცა მის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

რევოლუციამ ხალხის ცხოვრების ყველა მხარე მოიცვა. იგი, ბუნებრივია, საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის, სახელმწიფოს საკითხსაც შეეხო. ახალ ისტორიულ ვითარებაში ახლებურად და მეტად მწვავედ დაისვა უკვე კარგა ხნის წინათ ნაძალადევად გაუქმებული ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის პრობლემა.

ქართული სახელმწიფოებრიობის საწყისები ძველი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულში ჩაისახა. თავდაპირველად იგი ცალ-ცალკე არსებულ პოლიტიკურ ერთეულებად ჩამოყალიბდა და ხანგრძლივ პერიოდში ასევე განცალკევებული სამეფო-სამთავროების სახით ვითარდებოდა. შუა საუკუნეებში შეიქმნა საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფო ორგანიზაცია. მერე და მერე, ბოლომოულებელმა შემოსევებმა და გამანადგურებელმა თარეშმა ქართული სახელმწიფოებრიობა დაქვეითების გზაზე დააყენა. 1783 წელს დიდო „ტრაქტატი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლის შესახებ“, XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოში მეტად მძიმე საშინაო და საგარეო მდგომარეობა შეიქმნა. ცარიზმმა მოხერხებულად ისარგებლა ამ გარემოებით, გააუქმა ქართული სახელმწიფოებრიობა და ქვეყანა რუსეთს შეუერთა. საქართველო მარტოოდენ ეთნოგრაფიულ-გეოგრაფიულ-კულტურულ ცნებად იქცა[2], რუსეთის ჩვეულებრივ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში გაითქვიფა და კოლონიურ პრინციპებზე აგებულ მმართველობას დაუქვემდებარდა. მაგრამ იმ ვითარებაში თავიდათავი იყო ის, რომ ერი გადაურჩა ფიზიკურ განადგურებას, ქართველი ხალხი თანდათანობით მტკიცედ დაადგა ეკონომიკური, კულტურული და სოციალური განვითარების გზას.

რუსეთის იმპერიაში 100-ზე მეტი ეროვნების ხალხი იყო მოქცეული. ოფიციალური მონაცემებით, მოსახლეობის 57 პროცენტს, ე. ი. უმრავლესობას — თითქმის სამ მეოთხედს,

---

1 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა საბჭოთა ხალხისადმი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავთან დაკავშირებით, „კომუნისტი“, 1987 წლის 14 მარტი.

2 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 9, თბ., 1985, გვ. 171.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნამდვილად კი ალბათ მეტსაც „უცხოტომები" შეადგენდნენ.[3] მაგრამ ამ უზარმაზარი და თანაც მეტად მრავალეროვანი ქვეყნის სახელმწიფო წესწყობილება უნიტარული იყო. „ძირითად სახელმწიფო კანონთა კრებულის" პირველი მუხლი განსაზღვრავდა, რომ „რუსეთის სახელმწიფო ერთიანი და განუყოფელია", ასეთი ფორმა აშკარად არ შეესაბამებოდა და კიდევაც ეწინააღმდეგებოდა ობიექტურად პროგრესულ შინაარსს — ხალხთა სახელმწიფოებრივ გაერთიანებას.

ერთი სიტყვით, „ძველი რუსეთის... დამოკიდებულება რუსეთში მოსახლე ეროვნებებისადმი დანაშაულებრივი იყო", რაც „იწვევდა ჩაგრულ ეროვნებათა გულისწყრომის უალრესად კანონიერ პროტესტს, აღშფოთებას"[4].

ეროვნული ჩაგვრის ფორმები სრულიად სხვადასხვაგვარი იყო. მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მხარეს წარმოადგენდა ცარიზმის მისწრაფება, რომ ჩაეკლა ეროვნული სახელმწიფოებრიობა. რკპ (ბ) X ყრილობა ეროვნულ საკითხში პარტიის მორიგი ამოცანების განსაზღვრისას მიუთითებდა: რუსეთის ექსპლუატატორული კლასების პოლიტიკა იქითკენ იყო მიმართული, რომ ჩაეხშოთ იმპერიაში შემავალი ხალხების „ყოველგვარი სახელმწიფოებრიობის ჩანასახი, დაესახიჩრებინათ მათი კულტურა, შეევიწროებინათ მათი ენა, უმეცრებაში ჰყოლოდათ ისინი და, ბოლოს, შეძლებისდაგვარად მოხდენილათ მათი რუსიფიკაცია"[5]. ცარიზმი არავითარ ანგარიშს არ უწევდა იმას, რომ იმპერიაში შემავალ ცალკეულ ხალხებს ჰქონდათ განვითარებული სახელმწიფოები, ზოგჯერ უფრო ძველი, ვიდრე თვით რუსეთი. ასეთი იყო, კერძოდ, საქართველო, სომხეთი და სხვ.

ქართველები, ისევე როგორც სხვა არარუსი ხალხები, მეტად მტკივნეულად განიცდიდნენ ეროვნული ენის აკრძალვას, მისდამი დამამცირებელ დამოკიდებულებას, რასაც აღნიშნავდა და სათანადო ყურადღებას აქცევდა ლენინი, კომუნისტური პარტია.

რუსეთის იმპერიაში გამეფებული სასტიკი ეროვნული ჩაგვრა ზედ ერთვოდა და კიდევ უფრო ამძაფრებდა ისედაც უკიდურესობამდე გამწვავებულ კლასობრივ ბრძოლას. ასეთი ისტორიული ვითარება განაპირობებდა განსაკუთრებულ ყურადღებას ეროვნული საკითხისადმი. ეროვნული საკითხის უდიდეს მნიშვნელობას რუსეთის სინამდვილეში ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი. იგი ასაბუთებდა ამ საკითხისადმი პარტიის შეუნელებელი ყურადღების აუცილებლობას.

ეროვნული საკითხის გადაწყვეტის ისეთი პროგრამა, რომელიც დააკმაყოფილებდა რუსეთის იმპერიაში გაერთიანებულ ხალხთა სასიცოცხლო ინტერესებს, არც ერთ ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ პარტიას არ ჰქონდა. ასეთი პროგრამა მხოლოდ კომუნისტურმა პარტიამ შეიმუშავა. ეროვნული საკითხის გადაწყვეტის კომუნისტური პროგრამა ლენინის ხელმძღვანელობით, მის თეორიულ ნაშრომებში ჩამოყალიბებული დებულებების საფუძველზე შეიქმნა. ლენინური ეროვნული პროგრამის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მხარეს საკუთრივ რუსეთისა და მთელს იმპერიაში მყოფი ხალხების სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხი შეადგენდა. ამ ამოცანის გადაწყვეტის წინაპირობა იყო ბურჟუაზიულ-მემამულური რუსეთის ძირფესვიანად გარდაქმნა, მისი სახელმწიფო წესწყობილების განადგურება.

უნდა ითქვას, რომ ეროვნული საკითხის გადაწყვეტის გზების ძიებისას ლენინი ფართოდ ითვალისწინებდა მრავალეროვანი კავკასიისა და კერძოდ, საქართველოს ვითარებას. საკმარისია გავიხსენოთ მისი მიმართვა ს. შაუმიანისადმი, რომ აუცილებლად გაეგზავნა მისთვის რაც შეიძლება მეტი მასალები კავკასიაში ეროვნული საკითხის შესახებ, ნ. ჟორდანიას სტატია და წიგნები, ეროვნებათა სტატისტიკა კავკასიაში, მოეძებნა ადგილობრივი ამხანაგები, რომელთაც შეეძლოთ დაეწერათ სტატიები ეროვნული საკითხის შესახებ.

რუსეთის იმპერიის ხალხთა მომავალი სახელმწიფოებრივი მოწყობა მეტად რთულ პრობლემას წარმოადგენდა. სრულიად ბუნებრივია, რომ შესაბამისი ლენინური პროგრამა ერთბაშად არ შემუშავებულა. იგი საბოლოო სახით დროთა განმავლობაში, კონკრეტულ-ისტორიული პირობების ღრმად შესწავლისა და შემოქმედებითად გათვალისწინების საფუძველზე ჩამოყალიბდა.

---

[3] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 20, გვ. 260.

[4] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 161.

[5] სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციები და გადაწყვეტილებები, ნაწ. I, თბ., 1954, გვ. 718-719.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნისტურ პარტიას ძირითად ამოცანად მიაჩნდა რუსეთის სინამდვილეში ეროვნული საკითხის ისეთნაირად გადაწყვეტა, რომ არ მოსპობილიყო იმპერიაში მოსახლე ხალხთა შორის დამყარებული ერთიანობა. ეს საკითხი ლენინის მუდმივ საზრუნავს წარმოადგენდა.

რუსეთის იმპერიაში მყოფი ხალხების სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმის ძიება და შემუშავება ლენინის ნაშრომებში და, შესაბამისად, კომუნისტური პარტიის საპროგრამო დოკუმენტებში ორ ძირითად ეტაპად იყოფა. პირველი ეტაპი მოიცავს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ხანას, მეორე კი — სოციალისტური რევოლუციისა და მის შემდგომ პერიოდს.

ოქტომბრის რევოლუციამდე, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში, ლენინი წინააღმდეგი იყო იმისა, რომ რუსეთის იმპერიაში მყოფ ხალხებს შეექმნათ თავიანთი ეროვნული სახელმწიფოები. ეს იდეა მიუღებლად იყო მიჩნეული რუსეთთან ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთეულების თუნდაც ფედერაციული გაერთიანების პირობით. ლენინი მოითხოვდა მტკიცედ ცენტრალიზებული უნიტარული დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას. წწააღმდეგ შემთხვევაში, ლენინის აზრით, ხელი შეეშლებოდა სხვადასხვა ეროვნების მშრომელი მასების ერთიანი ფრონტით გამოსვლას თვითმპყრობელობისა და კაპიტალისტ-მემამულეთა წინააღმდეგ. მას მიაჩნდა, რომ ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბება გამოიწვევდა რევოლუციური ძალების დაქსაქსვას, შეასუსტებდა კლასობრივ ბრძოლას.

მტკიცედ ცენტრალიზებული უნიტარული სახელმწიფოს მოთხოვნა სრულიადაც არ ნიშნავდა ეროვნებათა ინტერესების უგულებელყოფას. საქმე ისაა, რომ ბოლშევიკები, ჯერ ერთი, თანამიმდევრულად და მტკიცედ იცავდნენ ერთა სრული თანასწორუფლებიანობის პრინციპს, გამორიცხავდნენ ერთი რომელიმე ერისათვის რაიმე პრივილეგიის დაწესებას; და მეორეც — ეროვნულობის მომენტი პირდაპირაც იყო გათვალისწინებული სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის განსაზღვრის დროს. ამასთანავე, თუ 1913 წლის ოქტომბერ-დეკემბერში ლენინს ეროვნული ნიშანი ჯერ კიდევ არ მიაჩნდა საოლქო ავტონომიის შექმნის გადამწყვეტ პირობად, 1914 წლის აპრილში დაწერილ ნაშრომში („ნაციონალური პოლიტიკის საკითხისათვის") უკვე წინაა წამოწეული ეროვნული მომენტი და მას წინანდელზე მეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ასეთი იყო რუსეთის უნიტარული, მტკიცედ ცენტრალიზებული დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის გეგმა, რომელიც წამოაყენა ლენინმა. მისი დანიშნულება იყო რუსეთის იმპერიაში გაერთიანებული ხალხების სახელმწიფოებრივი მოწყობა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ეტაპზე.

სხვანაირი ვითარება შეიქმნა სოციალისტური რევოლუციის ეტაპზე. ოქტომბრის რევოლუციის მომზადებისა და განხორციელების პერიოდში ცარიზმის დამხობის შემდეგ შექმნილი მდგომარეობის ანალიზმა ლენინი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ რევოლუციური ბრძოლის წარმატებისათვის ახალ პირობებში საჭიროა რუსეთის ხალხებს მიეცეთ უფლება და შესაძლებლობა შექმნან თავიანთი დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოები. ლენინი მტკიცედ დარწმუნდა, რომ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ეს ახალშექმნილი რესპუბლიკები აუცილებლად თვითონვე, ნებაყოფლობით მოინდომებდნენ საკუთრივ რუსეთის ახალ სახელმწიფოსთან ფედერაციული ურთიერთობის დამყარებას.

უდავოა, რომ ეროვნული თანასწორუფლებიანობის ცნება ნიშნავს თანასწორობას „ყველაფერში, მათ შორის სახელმწიფოს მშენებლობაშიც, „საკუთარი" სახელმწიფოს აგების ცდაშიც"[6].

ლენინი პირდაპირ აცხადებდა, რომ სურდა რაც შეიძლება დიდი სახელმწიფო, მაგრამ ამავე დროს მტკიცედ მოითხოვდა თავისუფალი გამოყოფისა და საკუთარი სახელმწიფოებრიობის შექმნის უფლებას. მას მიაჩნდა, რომ რაც უფრო გადაჭრით აღიარებდა რუსეთის რესპუბლიკა არაველიკორუსი ერების გამოყოფის თავისუფლებას, მით უფრო იშვიათი იქნებოდა ნამდვილი გამოყოფის შემთხვევები, მით უფრო მოკლე იქნებოდა ის დრო, რა ხნითაც ზოგიერთი ერი გამოიყოფოდა, მით უფრო მჭიდრო და მყარი, საბოლოო ანგარიშით, რუსეთის პროლეტარულ-გლეხური რესპუბლიკის ძმური კავშირი ყოველი სხვა ერის რესპუბლიკასთან.

---

[6] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 22, გვ. 431.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამგვარად, ოქტომბრის რევოლუციის მომზადებისა და განხორციელების პერიოდში ლენინმა დასახა ეროვნული სოციალისტური რესპუბლიკების შექმნისა და მათი გაერთიანების საფუძველზე ფედერაციული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პერსპექტივა. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ამ ფედერაციის სუბიექტები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ მხოლოდ სოციალიზმის საწყისებზე შექმნილი სახელმწიფოები.

საკუთარი ეროვნული სახელმწიფოს შექმნის უფლება ეფუძნება გამოყოფის თავისუფლების აღიარებას, ხოლო ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, შეადგენს ერთა თვითგამორკვევის პრინციპის დედაარსს. ლენინი მოითხოვდა თვითგამორკვევის უფლებას ყველა იმ ერისათვის, რომლებიც შედიოდნენ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში.

ვ. ი. ლენინის მოსაზრებანი და დებულებანი ეროვნულ საკითხზე, რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხების სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმებისა და საშუალებების შესახებ აისახებოდა პარტიის პროგრამასა და სხვა პარტიულ დოკუმენტებში.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ლენინმა, კომუნისტურმა პარტიამ, შეიმუშავა რუსეთისა და მის შემადგენლობაში შემავალი ხალხების სახელმწიფოებრივი მოწყობის მკაფიო პროგრამა. ქართველი მენშევიკების სიტყვით კი რუსეთში „არ იყო არც ერთი ჯგუფი, არც დემოკრატიული, არც სოციალისტური, რომელსაც მოგონებოდეს საქართველოს უფლება და პოლიტიკური თავისუფლება და მათ აღდგენაზე ხმა ამოეღოს“[7]. ბოლშევიკების პარტიის მიმართ ეს აშკარად ცილისმწამებლური და ყოვლად უსაფუძვლო განცხადებაა. საკუთარი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის ლენინური პრინციპი რუსეთის იმპერიაში შემავალ ყველა ხალხსა და მათ შორის, ცხადია, ქართველებსაც მოიცავდა.

რუსეთის იმპერიის ხალხთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის ლენინური პროგრამის განხორციელების წინაპირობას, მის საფუძველს ძლევამოსილი პროლეტარული რევოლუცია წარმოადგენდა. ამ პროგრამის ხორცშესხმა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისთანავე დაიწყო. მას საბჭოთა მთავრობა თანამიმდევრულად და ურყევად ატარებდა ცხოვრებაში.

საკუთარი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის საყოველთაო უფლება საკანონმდებლო წესით განამტკიცეს „რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაციამ“ და საბჭოთა ხელისუფლების სხვა სათანადო აქტებმა. ამ უფლების განხორციელებას პრაქტიკულად უზრუნველყოფდა საბჭოთა მთავრობა. ასეთ ვითარებაში რუსეთის სხვადასხვა ეროვნულ რაიონებში დაიწყო დამოუკიდებელი სახელმწიფოების ჩამოყალიბება. ეს გარემოება, ერთი მხრივ, მოასწავებდა რუსეთის ძველი ერთიანობის („ერთიანისა და განუყოფელის“) მსხვრევას და, ცხადია, შესაბამის ტერიტორიულ ცვლილებებს (რუსეთის ტერიტორიის შემცირებას); მეორე მხრივ კი იგი ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა ახალ ერთიანობას, საბჭოთა საწყისებზე მოწყობილ რესპუბლიკებს შორის მჭიდრო სახელმწიფოებრივ კავშირ-ურთიერთობის დამყარებას.

ყოფილი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალმა ხალხებმა გამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის შინაარსით გაგებული თვითგამორკვევის უფლების განხორციელების შედეგად შექმნეს სხვადასხვა ტიპის სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები (უკრაინა და სხვ.), ბურჟუაზიული რესპუბლიკები (მაგ; ფინეთი) და საბჭოთა ტიპის სახალხო რესპუბლიკები (ტუვა, ხორეზმი და ბუხარა). 1917-1919 წლებში საბჭოთა მთავრობამ ცნო უკრაინის, ფინეთის, ესტონეთის, ლატვიის, ლიტვისა და ბელორუსიის დამოუკიდებლობა. საბჭოთა რუსეთი ყოფილი იმპერიის ფარგლებში შექმნილ რესპუბლიკებთან აფორმებდა ორმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომლებშიც ცნობდა შესაბამისი სახლმწიფოს სრულ დამოუკიდებლობას. ასეთ საერთაშორისო ხელშეკრულებებს საბჭოთა მთავრობა დებდა როგორც სოციალისტურ, ისე ბურჟუაზიულსა და აგრეთვე სახალხო რესპუბლიკებთან. მათი გაფორმება 1920 წელს დაიწყო.

ოქტომბრის რევოლუციამ, როგორც ლენინი ამბობდა, თავისი ბრწყინვალე ტრიუმფალური სვლის დროს, სხვა რეგიონებთან ერთად იწყო „კავკასიის დაპყრობა“ და მაშასადამე, რეალური საფუძველი შეუქმნა აქ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის ფართოდ გაშლას ლენინური ეროვნული პროგრამის თეორიისა და პრაქტიკის იმ დებულებათა შესაბამისად, რომლებზედაც ზემოთ უკვე იყო საუბარი.

---

[7] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წლის 28 იანვარი.

მაგრამ „იმ დროის რთულ პირობებში ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა ვერ მოახერხეს გამოეგლიჯათ ბურჟუაზიისა და მემამულეებისათვის ეროვნული განთავისუფლების დროშა, ბოლომდე ემხილებინათ „დამოუკიდებლობის“ ბურჟუაზიულ-მემამულური ლოზუნგების კონტრრევოლუციური არსი, დაეპირისპირებინათ მისთვის აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის მუშურ-გლეხური საბჭოთა რესპუბლიკების შექმნის ლოზუნგი“[8].

უთუოდ გასათვალისწინებელი იყო მასების მიმხრობის მიზნით ფართოდ გაშლილი ბურჟუაზიული პროპაგანდა, რომელიც ბოლშევიკებს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის, კერძოდ კი ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის მოწინააღმდეგედ წარმოსახავდა. ლენინი პირდაპირ მოითხოვდა ასეთი პროპაგანდისათვის ანგარიშის გაწევას, მისთვის გონივრული პოლიტიკის დაპირისპირებას. მაგრამ საქართველოში ანტიბოლშევიკურ ბურჟუაზიულ პროპაგანდას საკუთარი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის საკითხში ქართველმა კომუნისტებმა სათანადო ანგარიში ვერ გაუწიეს, ჯეროვნად ვერ შეაფასეს მისი მნიშვნელობა. ამ გარემოებამ უდავოდ შეაფერხა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საქართველოში.

ადგილობრივი — კავკასიელი ბოლშევიკების საერთო პოზიციას ქართველი და ამიერკავკასიის სხვა ხალხების, საერთოდ, კავკასიის სახელმწფოებრივი მოწყობის საკითხის მიმართ ცარიზმის დამხობისა და თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დროიდან ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გატარების პერიოდში გამოხატავდა და განსაზღვრავდა რსდმპ (ბ) კავკასიის პირველი სამხარეო ყრილობის რეზოლუცია ეროვნული საკითხის შესახებ (ყრილობა გაიმართა 1917 წლის 2-7 ოქტომბერს თბილისში).

სამხარეო ყრილობის რეზოლუციაში[9] საკუთარ სახელმწიფოზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ეროვნული ავტონომიის შექმნის უფლებაც კი არ არის ასახული. რეზოლუციის პირველ პუნქტში ნახმარია ტერმინი — „კავკასიის ავტონომია“ („კავკასიას უნდა მიენიჭოს ავტონომია“).. ამგვარად, აქ საქმე გვაქვს არა ეროვნულ, არამედ ადმინისტრაციულ ავტონომიასთან. რეზოლუციაში. ჩვენი აზრით, რსდმპ (ბ) პორონინოს 1918 წლის თათბირისა და სრულიად რუსეთის მეშვიდე (1917 წლის აპრილის) კონფერენციის გადაწყვეტილებებისაგან განსხვავებით, არ იგულისხმება ავტონომიის მოწყობა ეროვნული ნიშნის მიხედვით. მასში წამოყენებულია ავტონომიის მოთხოვნა მთელი კავკასიის, როგორც რუსეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულისა თუ გეოგრაფიული ოლქის მასშტაბით. ეს ტერიტორია მოიცავდა ერთობლივად ამიერკავკასიასა და ჩრდილოეთ კავკასიას. მის ფარგლებში შემდეგ შეიქმნა სამი სუვერენული საბჭოთა სახელმწიფო (საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის თავდაპირველად დამოუკიდებელი, შემდეგ კი მოკავშირე რესპუბლიკები) და რამდენიმე ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთეული ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების სახით.

რეზოლუციის მე-2 პუნქტში განსაზღვრულია კავკასიის ავტონომიის შიგნით ახლად დადგენილი ადმინისტრაციულ-სამეურნეო ერთეულების ფართო ადგილობრივი თვითმმართველობა. ეს ადმინისტრაციულ-სამეურნეო ერთეულებიც უმთავრესად არა ეროვნული, არამედ ეკონომიკური და საყოფაცხოვრებო ნიშან-თვისებების მიხედვით უნდა შექმნილიყო. მხოლოდ გათვალისწინებული იყო მათი შეძლებისდაგვარად დამთხვევა ერთგვაროვანი ეროვნული შემადგენლობის რაიონებთან (ამ რაიონების მოსახლეობის სურვილის მიხედვით). საკუთრივ ქართველ ერთან (ისე როგორც კავკასიის სხვა ერებთან) მიმართებით ეს ნიშნავდა ერთმანეთისაგან განცალკევებული რამდენიმე ქართული ადმინისტრაციულ-სამეურნეო ერთეულის შექმნის შესაძლებლობას.

მალე (1917 წლის 15 ნოემბერს) გაზეთში „კავკაზსკი რაბოჩი“ გამოქვეყნდა რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის დეკლარაცია ამიერკავკასიაში ხელისუფლების ორგანიზაციის საკითხის შესახებ[10]. უკვე ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მიღებულ ამ

---

[8] Очерки истории коммунистических организаций Закавказья, ч. I (1883—1921 гг.) Тб., 1967, с. 424.

[9] გაზ. „ბრძოლა“, 1917 წლის 22 ოქტომბერი.

[10] Борьба за победу Советской власти в Грузии (документы и материалы. 1917—1921 гг.) Тб., 1958, с. 143—144.

დოკუმენტშიც გათვალისწინებულია, რომ ადგილობრივი საბჭოები თავიანთ ყრილობებზე აირჩევდნენ სამხარეო ცენტრს, რომელიც თავისი შემადგენლობიდან, მასში წარმოდგენილი პარტიების პროპორციული წარმომადგენლობის მიხედვით, გამოყოფდა საერთო-სამხარეო აღმასრულებელ კომიტეტს, როგორც ადგილობრივ ხელისუფლებას. ყველა ადგილობრივი საბჭო და მათ შორის სამხარეო ცენტრიც სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობის ნაწილად ჩაითვლებოდა. აღმასრულებელი კომიტეტი გადაწყვეტდა ადგილობრივ საკითხებს და დაამყარებდა „უმჭიდროეს კონტაქტს საერთო-სახელმწიფოებრივ საჭიროებათა გამო სრულიად რუსეთის საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტთან, როგორც ხელისუფლების საერთო სუვერენულ ორგანოსთან". მაშასადამე, დეკლარაციაში ამიერკავკასია რუსეთის ერთ-ერთ ნაწილად არის მიჩნეული. სამხარეო კომიტეტი აცხადებდა, რომ იგი იდგა ერთა სრული თვითგამორკვევის ნიადაგზე კავკასიაშიც, მაგრამ ამ მხარის არც ერთი ხალხისათვის საჭიროდ არ მიაჩნდა „მიეყვანა ეს თვითგამორკვევა რუსეთიდან გამოყოფამდე ან ერთმანეთისაგან განცალკევებამდე".

1917 წლის 18 დეკემბერს რსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭომ ს. შაუმიანი დანიშნა კავკასიის საქმეთა დროებით საგანგებო კომისრად „კავკასიაში სამხარეო საბჭოთა ხელისუფლების შექმნამდე". 1918 წლის 31 იანვარს ს. შაუმიანის რედაქტორობით გამოცემული გაზეთი „კავკაზსკი ვესტნიკ სოვეტა ნაროდნიხ კომისაროვ" მოუწოდებდა — „შექმენით აქ ინტერნაციონალური მუშურ-გლეხური მთავრობა". უფრო გვიანაც, 1918 წლის ნოემბერში ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების კონფერენციამ შეიმუშავა სახელმძღვანელო მითითება — „გაძლიერდეს ხალხთა ფართო მასებში ზეპირი და წერილობითი აგიტაცია, რომ... განიმსჭვალოს მათი ნებისყოფა ჩვენში, როგორც რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილში, ხელისუფლების აღების... შეგნებით"[11].

უთუოდ დასანანია, რომ ქართველმა კომუნისტებმა სათანადო ანგარიში არ გაუწიეს ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის კულტურის მრავალსაუკუნოვან ტრადიციას. ბურჟუაზიულმა და წვრილბურჟუაზიულმა პარტიებმა კი მოხერხებულად გამოიყენეს ეს გარემოება. ამის ყველაზე თვალსაჩინო დამადასტურებელია საქართველოს ბურჟუაზიული რესპუბლიკის შექმნის დეკლარაციის — „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის" დასაწყისი, მისი პირველივე წინადადება: „მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო".

ქართველი ერი საბოლოოდ არასოდეს არ შერიგებია საკუთარი სახელმწიფოებრიობის დაკარგვას. მაგრამ მართებული გადაწყვეტილება მისი აღდგენის შესახებ მეტად გვიან იქნა მიღებული, სამწუხაროდ, ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა და, კერძოდ, ქართველმა კომუნისტებმა თავის დროზე და შემოქმედებითად ვერ მიუსადაგეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის ლენინური პროგრამის დებულებები ადგილობრივ პირობებს და ამის სავალალო შედეგმაც არ დააყოვნა. ბურჟუაზიულმა და წვრილბურჟუაზიულმა პარტიებმა მიაღწიეს საწადელს. მათ ხელთ იგდეს ინიციატივა და მენშევიკების მეთაურობით შეუდგნენ თავიანთი კურსის გატარებას, დაიწყეს ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა ბურჟუაზიულ საწყისებზე.

1918 წლის 26 მაისს შეიქმნა დემოკრატიული რესპუბლიკა. თავისი კლასობრივი ბუნებით იგი ბურჟუაზიული ტიპის სახელმწიფოს მიეკუთვნებოდა. „ჩვენ ჩინებულად ვიცით,— ამბობდა ვ. ი. ლენინი, — რომ ქართველი ბურჟუაზია და ქართველი მენშევიკები ეყრდნობიან არა მშრომელ მასებს, არამედ თავიანთი ქვეყნის კაპიტალისტებს"[12]. საბჭოთა რუსეთი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ, ისევე როგორც სხვა კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში, მტკიცედ ატარებდა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას. ამის დამადასტურებელია სამშვიდობო ხელშეკრულება, რომელიც დაიდო საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და რსფსრ-ს შორის 1920 წლის 7 მაისს.[13] საბჭოთა რუსეთმა უსიტყვოდ, უდათქმოდ ცნო საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა.

---

[11] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, თბ., 1972, გვ. 542, 652-653.

[12] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 177.

[13] Сборник действующих договоров, соглашений и конвенций заключенных РСФСР с иностранными государствами, вып. I, Петербург, 1921, с. 27—33.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული საბჭოთა სახელმწიფოებრიობის როლი და მნიშვნელობა ამიერკავკასიაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების საქმისათვის პირველად აზერბაიჯანელმა კომუნისტებმა შეიგნეს. 1919 წლის მაისში ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების კონფერენციაზე მათ წამოაყენეს წინადადება — შექმნილიყო აზერბაიჯანის ეროვნული საბჭოთა სახელმწიფო, რომელიც რსფსრ-თან მჭიდრო მეგობრულ კავშირ-ურთიერთობას დაამყარებდა. ამ მართებული მოთხოვნის წინააღმდეგ კვლავ გამოვიდნენ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის თბილისის ბიუროს წევრები[14]. აზერბაიჯანის დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნის იდეას მხარი დაუჭირა ვ. ი. ლენინმა და 1919 წლის 19 ივლისს რსდმპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო სათანადო გადაწყვეტილება. ამან კი შემდეგში საქართველოსა და სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების შექმნის საკითხიც დადებთად გადაწყვიტა. ეს გარემოება საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა.

1921 წლის თებერვლის აჯანყებამ დაამხო საქართველოს მენშევიკური მთავრობა. საქართველო საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადდა. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით ჩაიყარა საქართველოს აღორძინებისა და ეროვნული საბჭოთა სახელმწიფოებრიობის შექმნის მტკიცე საძირკველი.

საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრება უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა საუკუნეთა სიღრმიდან მომდინარე ქართული სახელმწიფოებრივი მშენებლობის პრაქტიკაში. სოციალისტურ სახელმწიფოებრიობას სრულიად განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნება ქართველი ერის საერთო-ისტორიულ განვითარებაში.

საქართველოს, ისევე როგორც სხვა საბჭოთა რესპუბლიკების, ეროვნული სახელმწიფოებრიობა წარმატებით განვითარდა და განმტკიცდა სსრ კავშირის მოძმე სოციალისტური ერების დიად ოჯახში.

„ქვეყნის პროგრესი, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში საბჭოთა ხალხისადმი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავთან დაკავშირებით, — ვითარდება და კვლავაც განვითარდება თითოეული ერისა და ეროვნების საკეთილდღეოდ, მათი შემდგომი დაახლოების ინტერესებისათვის, მთელი ჩვენი ურღვევი კავშირის ინტერესებისათვის. სსრ კავშირის ხალხებს აერთიანებთ მტკიცე მეგობრობა, სოციალისტური ინტერნაციონალიზმი და საბჭოთა პატრიოტიზმი“.

---

14 ი. კაჭარავა, ქართველი ხალხის სახელმწიფოებრივი მოწყობის ისტორიიდან, — მისივე წიგნი, „ისტორია და თანამედროვეობა“, თბ., 1986, გვ. 70.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამდებობრივი დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზები და პირობები

აპოლონ კვიწინია,
საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე

თანამდებობრივი დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზები და პირობები მხოლოდ და მხოლოდ დამნაშავეობის მიზეზების და პირობების ზოგადი დებულებების საფუძველზე უნდა შეფასდეს. ამიტომ არსებითად არასწორია, როდესაც თანამდებობრივი დანაშაულის მიზეზები მარტოოდენ სახელმწიფო აპარატის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებით აიხსნება. წლების წინ სწორედ ამან გამოიწვია დამნაშავეობასთან ბრძოლის დასჯის როლის გაზვიადება, რამაც შემდგომში გამოხატულება ჰპოვა ამ საქმისადმი ვოლუნტარისტულ მიდგომაში. დამნაშავეობასთან ბრძოლის შინაარსის ასეთი მცდარი გაგების მაგალითია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 31 ივლისის დადგენილება „მექრთამეობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ". ჩვენ მხედველობაში გვაქვს ამ დადგენილების დებულება იმის შესახებ, რომ „მექრთამეობა შეიძლება საბოლოოდ იქნეს აღმოფხვრილი თუ გატარდება გადამწყვეტი ზომები, რომლებიც უნდა განახორციელონ ადმინისტრაციულმა და სასამართლო ორგანოებმა საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან ერთად"[1]. ჩვენის აზრით ადმინისტრაციულ და სასამართლო ორგანოებს ეთმობათ მნიშვნელოვანი, მაგრამ არა გადამწყვეტი როლი მექრთამეობის აღმოფხვრის საქმეში. სისხლის სამართლის წესით დასჯით და ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გატარებული სხვა ზომებით, რომლებსაც ისინი მიმართავენ საზოგადოებასთან ერთად, შეძლება მივაღწიოთ მხოლოდ დანაშაულის ზრდის შენელებას და მის შემცირებას, მაგრამ ამით ვერ შეძლებთ დამნაშავეობის მიზეზების მთლიანად აღკვეთას.

არსებობს კონცეფცია, რომელიც ცნობს, რომ „მექრთამეობას სოციალისტურ საზოგადოებაში არა აქვს სოციალური მიზეზები"[2]. ეს კი ნიშნავს ობიექტური სოციალური პროცესების და მოვლენების შეცვლას შემთხვევითი ფაქტორებით. ასეთი მიდგომა ვერ განასხვავებს ერთიმეორისაგან შედეგს და მიზეზს, რომლის მაგივრადაც მოცემულია მისი რეალიზაციის პირობები. ვ. ვ. სტეპანოვს მექრთამეობის მიზეზებად მიაჩნია: კადრების არასათანადო შერჩევა, შეუმოწმებელი, წინა სამუშაო ადგილას კომპრომენტირებული თანამდებობის პირების დაწინაურება, თანამდებობის პირებზე ქმედითი კონტროლის არარსებობა, ზოგიერთი დაწესებულების საქმიანობაში საჯაროობის უარყოფა[3].

ბ. ვ. ზდრავომისლოვი მექრთამეობის მიზეზებს ეძებს თვითონ მექრთა-

---

[1] Бюллетень Верховного Суда СССР, 1962, № 5, с. 12.
[2] Степанов В. В. Расследование взяточничество. Саратов. 1966. с. 153.
[3] იქვე, გვ. 141-148.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეობაში. ავტორი თვლის, რომ მექრთამეობა იწყება და შემდგომში მთავრდება ქრთამის აღებით და მექრთამეობაში შუამავლობით[4]. იგი ასეთ კითხვას სვამს: რა ბადებს ქრთამის აღებას და მექრთამეობაში შუამავლობას? მაგრამ თვითონ კითხვა ქრთამის აღებასა და შუამავლობაზე არ ატარებს აბსოლუტურ ხასიათს. მითუმეტეს, თუ გავიხსენებთ, რომ ქრთამის აღებას შეიძლება წინ უძღოდეს მისი გამოძალვა. მექრთამეობა ისეთი დანაშაულია, რომელშიც ქრთამის მიცემა და ქრთამის აღება აუცილებელი ელემენტებია, ამ ელემენტების ურთიერთმოქმედება კი რთულია და ყოველთვის არ არის ერთნაირი.

მექრთამეობას, ისევე როგორც ყველა თანამდებობრივ დანაშაულს, თავისი გამომწვევი მიზეზები აქვს და ისინი გამომდინარეობს დამნაშავეობის გამომწვევი ზოგადი მიზეზებიდან. იმის გამო, რომ ზოგიერთი ადამიანის შეგნებაში და ქცევაში კვლავ ბოგინობს წარსულის გადმონაშთები, ბევრი გულგრილი არ არის ბურჟუაზიული იდეოლოგიის მიმართ, სწორად არ აღიქვამენ ეკონომიკურ, სოციალურ და სულიერ სფეროებში მომხდარ გაუმართლებელ ფაქტორებს, ხოლო სოციალისტური აპარატის მუშაკებს შორის, სამწუხაროდ, არიან კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიით დაავადებული თანამდებობის პირები, რომლებსაც შეუძლიათ ანგარების, გამდიდრების გამო უღალატონ თავიანთ სამსახურებრივ ვალს, ჯერ კიდევ გვაქვს მექრთამეობის სამწუხარო ფაქტები.

მაგალითად, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, მექრთამეობას და სოციალისტური ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცებას ადგილი ჰქონდა თბილისის სინთეტიკური ნაწარმის ფაბრიკაში, სადაც დამნაშავეებმა სახელმწიფოს მიაყენეს 800 ათასი მანეთის ზარალი, ხოლო თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატში დატაცებამ 500 ათას მანეთზე მეტი შეადგინა. როგორც გამოირკვა, ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებები ამ ობიექტებზე შესაძლებელი გახდა იმის გამო, რომ ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელი, დაადგა რა მოტყუების, თვალთმაქცობის, საბჭოთა კანონების და საზოგადოებრივი აზრის იგნორირების გზას, თავის სამსახურებრივ მდგომარეობას პირადი გამდიდრებისათვის იყენებდა[5].

ადამიანის შეგნებაში ანტისაზოგადოებრივი ჩვევების არსებობა მართალია თავისთავად არ იწვევს რაიმე დანაშაულს, მაგრამ იგი ჰქმნის არამართლზომიერი მოქმედების შესაძლებლობას, რასაც განაპირობებს არაერთი კონკრეტული გარემოება და პირობა. საბჭოთა კრიმინოლოგიაში დანაშაულის ჩადენის პირობაში იგულისხმება გარემოება, რომელიც კონკრეტულად იწვევს დანაშაულის ჩადენის რეალურ შესაძლებლობებს.

მიზეზებისაგან განსხვავებით, პირობებიც ვერ წარმოშობენ თანამდებობრივ დანაშაულს. ისინი მხოლოდ მაშინ იწყებენ მოქმედებას, როდესაც დანაშაულებრივი მიზნები და ზრახვები უკვე ჩამოყალიბებულია. განზრახი თანამდებობრივი დანაშაულის დროს ისინი ხელს უწყობენ უკვე წარმოშობილი პირობების რეალიზაციას, ხოლო გაუფრთხილებელი თანამდებობრივი დანაშაულის დროს ქცევის მოტივების რეალიზაციას.

---

[4] Здравомыслов Б. В. Некоторые общие вопросы ответственности за должностные преступления. Вопросы уголовного права. Сборник статей. М., 1966, с. 211.

[5] საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არქივი, 1972, № 2-51, 1975, № 2-25.

„დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი პირობების მნიშვნელობის გაზვიადება და ამით მათი მიზეზებად ქცევა, — გვაფრთხილებს ვ. ნ. კუდრიავცევი,— იგივეა, რომ ხანძრის მიზეზად სახანძრო რაზმის ცუდი მუშაობა ჩავთვალოთ“[6].

თანამდებობრივი დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობ პირობებს შორის, მათი ხასიათის გამო, პირველ რიგში აღნიშნავენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის მუშაკთა კადრების შერჩევის, განაწილების და აღზრდის პრინციპების დარღვევას.

ადმინისტრაციამ, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა კარგად იციან, რომ მათ მიერ წამოყენებული თანამდებობის პირები არ გამოირჩევიან განსაკუთრებული კეთილსინდისიერებით, სამუშაოთა სპეციფიკის ცოდნით, მაგრამ იმაზე დაყრდნობით, რომ თითქოს „სხვა ვერავინ შეძლებს ამ თანამდებობაზე მუშაობას“ მაინც ანდობენ მათ წარმოების ცალკეული უბნების ხელმძღვანელობას, დიდ მატერიალურ ფასეულობას და ა. შ. სწორედ ამიტომ, მათგან შემდგომში ჩადენილ თანამდებობრივ ბოროტმოქმედებას ყველა ისე აღიქვამს, როგორც მოსალოდნელ შედეგს. მოწმეთა და ბრალდებულის თანამშრომლების, მისი ნაცნობ-მეგობრების ჩვენებებიდან კი ცხადი ხდება, რომ მსჯავრდებული, იმის მიუხედავად, რომ იგი არაფრით გამოირჩეოდა სამუშაოზე, სარგებლობდა საწარმოს, დაწესებულების, საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელობის კეთილგანწყობით, იმყოფებოდა მათთან განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობაში და აკეთებდა იმას, რაც მოესურვებოდა. პროტექციონიზმის ამგვარ გამოვლენას ადგილი ჰქონდა ჩვენს მიერ შესწავლილი ყველა შემთხვევის 5 პროცენტში.

ამგვარი პრაქტიკა ძირფესვიანად მცდარი და მანკიერია: აუცილებელია დაიგმოს იგი და პრაქტიკულად მიუწვდომელი გახდეს ადამიანებისათვის იმ თანამდებობის დაკავება, რისთვისაც მათ არ გააჩნიათ შესაფერისი ცოდნა და უნარი.

თანამდებობის ბოროტად გამოყენების მიზეზების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ სიძნელეებთან და წინააღმდეგობებთან ერთად განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მმართველობის სფეროში არსებული სუბიექტური ფაქტორები. ცნობილია, რომ საზოგადოებრივი ინტერესი მიმართულია სოციალისტური სახელმწიფო მმართველობის მოწინავე პრინციპების მკაცრი დაცვისაკენ, ხოლო ცალკეული მუშაკების პირადი ინტერესი ყოველთვის არ ემთხვევა მათ.

სწორედ ამიტომ უთმობენ განსაკუთრებულ ყურადღებას პარტია და მთავრობა სახელმწიფო აპარატის მუშაკთა პოლიტიკური თვითშეგნების დონის ამაღლებას, მათში კომუნისტური პრინციპულობის, სამართლიანობისა და მაღალი პროფესიული კომპეტენტურობის ჩამოყალიბებას.

თანამდებობრივი დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთი სუბიექტური ხასიათის ხელშემწყობი პირობაა პროტექციონიზმი. როგორც წესი, იგი დაკავშირებულია ხელისუფლების კანონსაწინააღმდეგო, ანგარებით მოქმედებასთან, მფარველობასთან, კანონით დადგენილი წესის საწინააღმდეგო ყოველგვარი საქმეების მოგვარებაში ხელის შეწყობასთან. პროტექციონიზმის საზოგადოებრივი

---

[6] **Кудрявцев В. Н. Причины конкретного преступления. Советская юстиция, 1970, № 22, с. 7.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშიშროება დიდია, რადგან იგი იწვევს კადრების შერჩევის, განაწილების და აღზრდის პარტიული პრინციპების უხეშ დარღვევას, თანამდებობის დაკავებას სახელმწიფო აპარატში არა მუშაკის პოლიტიკური და საქმიანი თვისებების საფუძველზე, არამედ მეგობრული მოსაზრებებით, ან გამორჩენის მიზნით. ეს კი ხრწნის ახალგაზრდობის გარკვეულ ნაწილს, ნერგავს ადამიანთა შორის უნდობლობას, ცინიზმსა და საქმოსნობას, მიდრეკილებას ცხოვრების პარაზიტული წესისადმი, სამსახურში ადვილი დაწინაურებისადმი, საბოლოოდ კი იგი ვნებს თანამდებობის პირის ავტორიტეტს და დისკრედიტაციას უწვევს მას მშრომელთა თვალში.

პროტექციონიზმის პირდაპირი შედეგია ზოგიერთი დაწესებულებისა და ორგანიზაციის კოლექტივში არსებული ნათლიმამობა და ურთიერთთავდებობის ვითარება, კრიტიკის და თვითკრიტიკის შემცირება, სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის დარღვევის ფაქტებისადმი შემრიგებლური დამოკიდებულება. ფულადი და მატერიალური რესურსების უკონტროლო განაწილება და ხარჯვა, მოქალაქეთა ინტერესებთან სისხლხორცეულად დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისადმი უსულგულო, ბიუროკრატიული დამოკიდებულება და მრავალი სხვა. ყველაფერი ეს კი უპირველესი ხელშემწყობი პირობაა სოციალისტური საკუთრების დიდი ოდენობით ფარული დატაცებებისა და მექრთამეობისათვის.

პროტექციონიზმის შესანიშნავი მაგალითია თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის გახმაურებული სისხლის სამართლის საქმე. მოექცნენ რა პარტიული და საბჭოთა ორგანოების პასუხისმგებელი მუშაკების პროტექციის გავლენის ქვეშ, ყოფილი რექტორი და პარტიული კომიტეტის მდივანი სამედიცინო ინსტიტუტში აწყობდნენ მოუმზადებელ ახალგაზრდებს. ამავე დროს ისინი ეფარებოდნენ თანამდებობის პირთა სახელებს და თვითონაც ჰყავდათ ეგრეთწოდებული „თავიანთი“ აბიტურიენტები, რომელთა მშობლებისაგანაც დიდძალ ფულად თანხებს და ფასიან ნივთებს იღებდნენ. ამან, რა თქმა უნდა, გარკვეული დისკრედიტაცია გაუკეთა რესპუბლიკის სამედიცინო საზოგადოებას[7].

როგორც წესი, პროტექციონიზმს თან სდევს უკანონო ანაზღაურება. თბილისის ერთ-ერთი კომბინატის ყოფილი დირექტორის ბ-ს სისხლის სამართლის საქმიდან ჩანს, რომ ამ თანამდებობაზე დანიშვნისათვის მას პროტექცია გაუწია ყოფილმა პასუხისმგებელმა პარტიულმა მუშაკმა, შემდეგ კი როდესაც გაიმართა, ასე ვთქვათ „ფეხზე დადგა“ და შემოსავალიც გაუჩნდა, მადლიერების ნიშნად მას ყოველთვიურად მიჰქონდა თავის პროტექტორთან 500 მანეთი[8].

პროტექციონიზმი ნეგატიური მოვლენაა მმართველობის სფეროში და თამამად შეიძლება მივიჩნიოთ იგი, როგორც საბჭოთა ცხოვრების წესების საფუძვლებისათვის შეუთავსებელი მოვლენა. საზოგადოებრივად იგი მექრთამეობაზე არანაკლებ საშიში მოვლენაა, მაგრამ სისხლის სამართლის წესით დასჯადი მაინც არ არის. ძალიან ძნელი რომ არის მკვეთრი და მოქმედი ე. ი. მტკიცებადი სისხლისსამართლებრივი ნორმის ფორმულირება პროტექციონიზმის დროს, კარგად ჩანს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომი-

---

[7] «Заря Востока», 1974, 16 июля.

[8] საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არქივი, 1976 № 2-20.

ტეტის ცნობილ დადგენილებაში „რესპუბლიკაში პროტექციონიზმთან ბრძოლის შესახებ“. მასში ნათქვამია, რომ პროტექციონიზმი არის მექრთამეობის გარკვეული სახის ეკვივალენტი იმ სფეროში, სადაც სისხლის სამართლის კანონი არ მოქმედებს“[9].

ჩვეულებრივ, პროტექცია სხვადასხვა სახის მიზანს ისახავს. მათ შორის ყველაზე უფრო გავრცელებული პროტექციის მიზანია სადმე შემოსავლიან ადგილზე დაწინაურება. ამიტომ, ცხადია, პროტექციონიზმის შედეგები უპირველესად კადრების შერჩევისა და დაწინაურების დროს იჩენს თავს, როდესაც უარყოფილია ლენინური პრინციპები. კადრების დაუმსახურებელი, არასწორი შერჩევა და დაწინაურება კი თანამდებობრივი დანაშაულია და შემდგომში იგი მექრთამეობის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი ხდება ხოლმე.

პროტექციონიზმის მეორე გავრცელებული გზაა არაჯანსაღი სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნა. ამ კლიმატს კი უმეტესად თანამდებობის პირები ქმნიან. დაუსჯელობაში დარწმუნებულნი სულ ადვილად არღვევენ კანონს და თვითნებობენ. ადამიანები ხედავენ ყველაფერს, მაგრამ შეგუებულნი არიან უსამართლობას, რადგანაც ბევრი აქვთ უმაღლეს სასწავლებლებში უკანონო ჩარიცხვის ან ბინების არათანაბარი განაწილების ფაქტები. ისინი კი ყველაფერს მექრთამეობას მიაწერენ და ასეთი სიტუაციების შემყურენი თვითონ იწყებენ გავლენიანი მფარველების ძებნას, არ ერიდებიან ქრთამის მიცემასაც, ცდილობენ ამ გზით დაიმსახურონ პასუხისმგებელი პირების კეთილგანწყობილება.

თანამდებობის ბოროტად გამოყენების, მექრთამეობის და დაუდევრობის ერთ-ერთ პირობად უნდა ჩაითვალოს აღრიცხვისა და კონტროლის სუსტი ორგანიზაცია, ჩატარებული რევიზიების შეუწყნარებელი უხარისხობა, სამსახურებრივი დისციპლინისა და დარღვევებისადმი უყურადღებობა.

არასწორი აღრიცხვით აიხსნება ის გარემოება, რომ ადგილობრივი მრეწველობის რესპუბლიკური სამმართველოს თავმჯდომარემ შესძლო ტრიკოტაჟული წარმოების ფონდირებული დანადგარის მიღება ვინმე ა. კ. გრიგორიევისაგან, რისთვისაც ამ უკანასკნელს ქრთამად მისცა დიდი ოდენობის ფული.

თუ საწარმო-დაწესებულებებში ზუსტად არის რეგლამენტირებული მუშაობის დღის განრიგი, არკეთილსინდისიერი თანამდებობის პირი ადვილად ვერ შესძლებს ბოროტმოქმედებათა ჩადენას, კერძოდ კი, ქრთამის გამოძალვას, თავისი სამსახურებრივი მოვალეობების დაუდევრად შესრულებას.

მექრთამეობის ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობაა აგრეთვე საწარმო-დაწესებულებებში არსებული საზოგადოებრივი კონტროლის ორგანოების სუსტი მუშაობა. ხშირად ეს კნტროლი ფორმალურ ხასიათს ატარებს, არ არის პრინციპული, უყურადღებოდ ტოვებს კანონის წვრილმან დარღვევებს, გულგრილობას, არ ამოწმებს მაკონტროლებელი თანამდებობის პირების მიერ შესრულებულ სამუშაოს, გზას უხსნის მლიქვნელობას და პირფერობას. ყველაფერი ეს კი საბოლოოდ ბოროტმოქმედებად იქცევა ხოლმე.

იქ, სადაც მლიქვნელები თანამდებობის პირთა მფარველობით სარგებლობენ, ხოლო ხელმძღვანელი მუშაკები შემწყნარებლურად ეკიდებიან სახელმწიფო დისციპლინის დარღვევებს, ცხადია, იქმნება კიდეც საფუძველი სხვადასხვა თანამდებობრივი დანაშაულისა და დაუდევრობისათვის.

---

[9] «Заря Востока», 1974, 16 июля.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის ნათელი მაგალითია ქ. თბილისის საკოლმეურნეო ბაზრების გაერთიანებაში მომხდარი დანაშაული. მისი უფროსი ც. გრძნობდა თავს ყოვლისშემძლედ, დაქვემდებარებული ობიექტებიდან სისტემატურად იღებდა საჩუქრებს და სუვენირებს. ამის საფასურად იგი, რა თქმა უნდა, არღვევდა შრომის დისციპლინას და აჭიანურებდა საწარმოო საკითხების გადაწყვეტას. სცოდავდნენ აგრეთვე რაიონისა და ქალაქის პარტიული, საბჭოთა ორგანოებიც, რომლებმაც დროულად არ მიიღეს ზომები კოლექტივში ნეგატიური მოვლენების აღსაკვეთად, ამან კი ის გამოიწვია, რომ გაერთიანების უფროსი მხილებული იქნა 92 ათასზე მეტი მანეთის ქრთამად აღებისათვის[10].

სახალხო მეურნეობაში არსებული აღრიცხვისა და კონტროლის სისტემა, პრაქტიკულად გამორიცხავს დიდი ოდენობით დატაცებებს თანამდებობის პირთა ხელშეწყობის გარეშე, რადგან ისინი ვალდებული არიან სისტემატურად ეწეოდნენ შესაბამის მუშაობას. მიუხედავად ამისა, დიდი ან განსაკუთრებით დიდი ოდენობით სოციალისტური საკუთრების დატაცებების საქმეები იმგვარად წარიმართა სასამართლოებში, რომ არ გამოურკვევიათ თუ რა როლი ეკისრებოდა ამ დანაშაულის დროს თანამდებობის პირს, ჰქონდა თუ არა ადგილი მისი მხრიდან ანგარებითი წაყრუების ფაქტს. მრავალწლიანი პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეს ხარვეზი აიხსნება მხოლოდ და მხოლოდ მექრთამეობის საქმეთა გამოძიების უცოდინრობით, ოპერატიული და სამძებრო მუშაკების შეუწყნარებლად დაბალი კვალიფიკაციით.

ურიდიულ ლიტერატურაში ცნობილია თანამდებობრივი დანაშაულის, კერძოდ მექრთამეობის ხელშემწყობი პირობების მაქსიმალურად სრული ჩამონათვალის შედგენის ცდები[11], მაგრამ ჩვენი აზრით, ეს შეუძლებელია. ამდენად, აქ მოყვანილი დებულებები სრულებითაც არ ამოწურავენ განსახილველი დანაშაულის პირობებს. კონკრეტულ გარემოებაში ყოველთვის შეიძლება წამოიჭრას ახალი პირობები.

თანამდებობრივი დანაშაულის გამომწვევი მიზეზების ხელშემწყობი პირობების აღკვეთის მნიშვნელობა ცხადია დიდია, მაგრამ საერთოდ დამნაშავეობის მიზეზთა ლიკვიდაცია შესაძლებელია მხოლოდ კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანების ერთიანობითა და დაუღალავი მეცადინეობით. „დამნაშავეობასთან ბრძოლის მთავარი მიმართულებაა ცხოვრებაში მსხვილი სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა, საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკური ძლიერების შემდგომი განმტკიცება, აღმზრდელობითი იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერება“[12].

უკანასკნელ დროს ჩვენს ქვეყანაში მტკიცედ მოიკიდა ფეხი ზნეობრივი ხასიათის და სოციალური სამართლიანობის საკითხების წამოყენებამ. განსაკუთრებით მწვავედ რეაგირებენ მშრომელები სოციალისტური წყობილების არსის საწინააღმდეგო მოვლენებზე, ბიუროკრატიზმზე, მექრთამეობაზე, ლოთობაზე. სამართლებრივი და ადმინისტრაციული სანქციების გაძლიერებასთან ერთად აქ უდავოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივი აზრის სიმწვავის ამაღლებას.

---

[10] ქ. თბილისის სასამართლოს არქივი, 1987, საქმე № 2139.

[11] Степанов В. В. Предупреждение взяточничества. Ученые записки Саратовского юридического института.

[12] Кудрявцев В. Н. Причинность в криминологии. М., 1968, с. 78.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის კანონმდებლობის სრულყოფისათვის

ზოთა ფაფიაშვილი,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი, პარტბიუროს მდივანი, დოცენტი

სკკპ 27-ე ყრილობაზე საკმაოდ მწვავე და პრინციპული, მაგრამ ამავე დროს საქმიანი, მეცნიერულად დასაბუთებული სჯა-ბაასი გაიმართა ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დაჩქარების, სოციალისტური მართლწესრიგის, სოციალისტური თანაცხოვრების წესების, სოციალისტური კანონიერების შემდგომი სრულყოფის, მართლმსაჯულებისა და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის გარდაქმნისათვის, ქვეყნად სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვისა და დამკვიდრებისათვის. პარტიის ამ ახალი სტრატეგიული კურსის მიზანია ჩვენი სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცება, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის შემდგომი მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის ამაღლება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ საჭიროა საიმედოდ გადავუღობოთ გზა საზოგადოებრივი დოვლათიდან უშრომელი შემოსავლის მიღების ყოველგვარ ცდას. აქვე ითქვა, რომ უახლოეს დროში უნდა „განვახორციელოთ, მუქთახორობის, სოციალისტური საკუთრების დამტაცებლების, მექრთამეების, ყველა იმათ წინააღმდეგ მიმართული დამატებთი ღონისძიებანი, ვინც დაადგა ჩვენი წყობილების შრომითი ბუნებისათვის უცხო გზას“[1].

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ამ ახალი სტრატეგიის ნების გამოხატულებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 23 მაისის ბრძანებულება „უშრომელი შემოსავლის მიღებასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ“. ამ კანონის მიღება განაპირობა პარტიისა და მთავრობის მტკიცე გადაწყვეტილებამ, რომ კიდევ უფრო გაძლიერდეს ბრძოლა იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებმაც დაივიწყეს კომუნისტური მორალის პრინციპები, განერიდნენ პატიოსან შრომით საქმიანობას და მიზნად დაისახეს უკანონო, უშრომელი შემოსავლით გამდიდრება. როგორც სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს ზოგჯერ ასეთი პირები ერთიმეორესაც კი ეჯიბრებიან დანაშაულებრივი გზით მოპოვებული სიმდიდრის დაგროვებაში. სამწუხაროდ, ასეთი სიხარბით გატაცებული ადამიანები არაფრად აგდებენ საზოგადოებრივ აზრს, ღალატობენ საკუთარი ნათესავებისა და მეგობრების წრეს, იჩენენ გულცივობას, ზემოდან ქედმაღლურად დაჰყურებენ ყველას და, თუ მიეცათ შემთხვევა, აბუჩადაც იგდებენ და დასცინიან იმას, ვინც მართალი, პატიოსანი შრომით ცხოვრობს.

აი მაგალითიც: ერთ-ერთი დაწესებულების ხელმძღვანელი მხილებული და დასჯილი იქნა ქრთამის არაერთხელ აღებისა და გამოძალვისათვის. მის საცხოვრებელ ბინაში აღმოჩნდა მილიონნახევარი მანეთი და სხვა ძვირფასეულობა, რაც მთლიანად გდაირიცხა სახელმწიფო ბიუჯეტში. იგი ისე იყო სიხარბით დაბრმავებული რომ საკუთარი ძმისადმიც კი გამოიჩინა გაუგონარი სიძუნწე, როცა მასთან ახლობლები მივიდნენ ათასი მანეთის სასესხებლად რათა მისივე ავადმყოფი ძმა სამკურნალოდ წაეყვანათ. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია — ასეთი სიმდიდრის პატრონმა ნათესავები უარით გაისტუმრა.

კანონი — „უშრომელი შემოსავლის მიღებასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ დაუნდობელი და მკაცრია ასეთ გადაგვარებულ პირთა მიმართ. რაც შეეხება ცნებას — „უშრომელი შემოსავალი“ — იგი სასამართლო პრაქტიკისათვის ახალი არ არის. ამგვარად შეძენილი ქონება, რაც დაკავშირებული იყო სახელმწიფო ქონების დატაცებასთან, სპეკულაციასთან, ან მექრთამეობასთან ადრეც ყოველთვის სახელმწიფოს ბიუჯეტში ირიცხებოდა ხოლმე. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამარ-

---

[1] მ. ს. გორბაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობას. თბილისი, 1986, გვ. 79.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თლო კოლეგიის 1972 წლის განაჩენით სპეკულაციისათვის მსჯავრდებული იქნა ვინმე ვარ-
თანოვი, რომლის ბინაშიც აღმოჩნდა 60900 მანეთი. ეს თანხა, როგორც სპეკულაციის გზით
უშრომელად მიღებული, მთლიანად ჩაირიცხა სახელმწიფო ბიუჯეტში. ამ კანონის მიღებამდე,
საკმაოდ გახმაურდა მ. ჯანაშვილის ბრალდების საქმე. მას მსჯავრი დაედო სხვადასხვა მედი-
კამენტებით სპეკულაციისათვის და ჩამორთმეული 6546 მანეთის „ვნემპოსილტორგის“ ჩე-
კები, ავტომანქანა „ვაზ-2106“, „მერსედეს —230“-ის რეალიზაციით მიღებული და პირადი
ჩხრეკის დროს ჩამორთმეული ფული მთლიანად ჩაირიცხა სახელმწიფოს ბიუჯეტში.

კერძო მესაკუთრული ტენდენციები და უშრომელი შემოსავალი ყველაზე მეტად სახელ-
მწიფო ქონების დატაცებისა და მექრთამეობის დროს შეინიშნება. ამ გზით მიღებული უშ-
რომელი შემოსავლის მრავალი ხერხი არსებობს. მათ შორის ყველაზე პოპულარულია უსა-
ქონლო ოპერაციების შედეგად სახელმწიფო ქონების დატაცება სამსახურებრივი მდგომა-
რეობის ბოროტად გამოყენებით, რასაც მიმართავენ არა მარტო ძვირად ღირებული საქონ-
ლის ან ხილის დამზადებისას, არამედ ერთი შეხედვით, თითქოს უმნიშვნელო, მაგრამ ყო-
ველდღიური არაძვირადღირებული პროდუქტებით მომარაგების დროსაც. ასეთია მაგალითად,
სხვადასხვა სახის მწვანილი (ოხრახუში, ქინძი, ნიახური და სხვ.). გარდაბნის რაიონის ცენტრა-
ლური პუნქტის ყოფილი ერთ-ერთი მოლარე პუნქტის გამგეებთან ერთად სისტემატურად
ადგენდა ფიქტიურ სატრანსპორტო ზედდებულებს იმის შესახებ თითქოს მათ დამზადებული
მწვანილი „თბილხილბოსტანვაჭრობის“ სხვადასხვა მაღაზიებს ჩააბარეს. სინამდვილეში კი მა-
ღაზიის გამგეებსა და გამყიდველებს საქვეანგარიშოდ გამოტანილი თანხიდან აძლევდა მწვა-
ნილის სარეალიზაციო ღირებულებას. ამ გზით მწვანილის გასაყიდ და საცალო ფასებით მი-
ღებულ სხვაობას კი თვითონ ითვისებდა .ასე დაიტაცა და მითვისა სახელმწიფოსაგან შან
61995 მანეთი. სასამართლომ ეს თანხა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ მთლიანად და-
აკისრა მსჯავრდებულს.

უშრომელი შემოსავლის საკმაოდ გავრცელებული სახეა აგრეთვე მექრთამეობა და რო-
გორც წესი, ქრთამად გადაცემული თანხა სახელმწიფო ბიუჯეტში უნდა ჩაირიცხოს. სწორედ
ამიტომ იყო, რომ ერთ-ერთ მსჯავრდებულს, რომელიც მხილებული იყო თანამდებობის
პირთა სახელით 51000 მანეთის ქრთამად აღებაში, ძირითად სასჯელთან ერთად ქრთამად
აღებული თანხის მთლიანად გადახდაც დაეკისრა სახელმწიფოს ბიუჯეტის სასარგებლოდ. ძი-
რითად სასჯელთან ერთად ქრთამად აღებული 35.000 მანეთის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგე-
ბლოდ გადახდა დაეკისრა აგრეთვე მსჯავრდებულ მ-ს, რომელმაც ჩიქოვანის ქუჩაზე მშენებარე
არქიტექტორთა საბინაო კოოპერატივში ორ ოთახიან ბინაში გაწევრიანების საქმის მოგვარე-
ბისათვის გამოართვა ეს თანხა დაინტერესებულ პირს თითქოსდა თანამდებობის პირებზე გა-
დასაცემად.

ზოგჯერ ისეც ხდება, რომ სასამართლო ქრთამის მიმცემს დაზარალებულად მიიჩნევს
და ქრთამის ამღებს აკისრებს ქრთამის მიმცემისათვის ქრთამის უკან დაბრუნებას. მაგა-
ლითად, ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს 1985 წლის 23 აპრილის განაჩენით ქრთამის
მიცემის წაქეზებაში დამნაშავედ იქნა ცნობილი ვინმე ჩიქური. მასვე დააკისრა ქრთამის მიმ-
ცემის სასარგებლოდ მისგან აღებული 1310 მანეთის გადახდა, რადგან ქრთამის მიმცემი
დაზარალებულად მიიჩნია. ასევე მოიქცა დმანისის რაიონის სახალხო სასამართლო. მან ქრთა-
მის მიცემისთვის მსჯავრდებულს არასწორად დააკისრა ქრთამად აღებული 13000 მანეთის
გადახდევინება ქრთამის მიმცემთა სასარგებლოდ, სახალხო სასამართლოს შეცდომა გაასწორა
საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კო-
ლეგიამ, რომელმაც მსჯავრდებულს დააკისრა ქრთამად აღებული 13000 მანეთის გადახდა სა-
ხელმწიფოს ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ყოველი ამგვარი შეცდომის გამოსწორება ცხადია, შეუძლებელია, რადგან ჯერ ერთი,
ყველა საქმე არ განიხილება საკასაციო წესით და, მეორე, საზედამხედველო წესით მათი გა-
დასინჯვაც შერჩევით ხდება.

გვინდა შევახსენოთ ჩვენს პრაქტიკოს იურისტებს, რომ ქრთამის მიმცემი არც ერთ
შემთხვევაში არ ითვლება დაზარალებულად. როგორც წესი, ქრთამის მიმცემს ქრთამის სა-
განი უკან არ უბრუნდება. ქრთამის მიმცემს ქრთამის საგანი მხოლოდ მაშინ დაუბრუნდება
თუ ადგილი ჰქონდა ქრთამის გამოძალვას და ამის შესახებ მან ნებაყოფლობით განაცხადა
სათანადო ორგანოებში და მათთან შეთანხმებით გადასცა თანამდებობის პირს ქრთამად შეპი-
რებული ფული ან სხვა საგანი და ა. შ.

თუ ადრე უშრომელი შემოსავალი მხოლოდ მაშინ ჩაირიცხებოდა სახელმწიფო ბიუჯეტში

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც დადგინდებოდა, რომ იგი დანაშაულებრივი გზით იყო მიღებული, ახალმა კანონმდებლობამ ასეთ ქმედობათა წრე კიდევ უფრო გააფართოვა. ახალი კანონმდებლობით გამოცხადებული იქნა უშრომელი შემოსავლის მიღების მთელი რიგი ქმედობები თავისი ჩადენის შესაბამისი ხერხებისა და მეთოდების მრავალსახეობებით. ამის შედეგად გარკვეული ცვლილებები განიცადა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსმა. ეს ცვლილებები თავიანთი დანიშნულების მიხედვით პირობითად შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად: პირველს უნდა მიეკუთვნოს ის ცვლილებები, რითაც კიდევ უფრო გაძლიერდა უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლა და რამაც ასახვა ჰპოვა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. მეორეს — ცვლილებები რაც შეტანილია საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში და, მესამეს — ცვლილებები რაც შეტანილია საქართველოს სსრ შრომის კანონმდებლობათა კოდექსში. ამ სიახლეთა სრულად გადმოცემა, ცხადია, ერთ საჟურნალო სტატიაში ყოვლად შეუძლებელია. ამიტომ დღეს ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ იმ ცვლილებაზე, რაც დაკავშირებულია სისხლის სამართლის კანონის გაძლიერებასთან უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით.

დასახელებული ბრძანებულების შემდეგ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავს დაემატა ორი სრულიად ახალი 98[1] და 98[2] მუხლი, რომელთაგან ერთი ეხება სატრანსპორტო საშუალებების, მანქანების ან მექანიზმების თვითნებურ გამოყენებას, მეორე კი — ყოფაცხოვრებაში ენერგიითა და გაზით სარგებლობის წესების დარღვევას. ორივე ეს მოქმედება თავისი ბუნებით საზოგადოებრივად საშიშია არა მარტო იმით, რომ მას შეიძლება დიდი ზარალი ან მძიმე შედეგი მოჰყვეს, არამედ იმითაც, რომ იგი დაკავშირებულია ანგრებასთან და მისი ჩამდენი პირები იღებენ გარკვეულ უშრომელ შემოსავალს.

სისხლის სამართლის კოდექსის სამეურნეო დანაშაულთა თავს დაემატა აგრეთვე 172[1]-ე მუხლი „შემოსავლის შესახებ დეკლარაციის შეტანისათვის თავის არიდება“, რომელიც წინაარსით უაღრესად ფართო და მრავალმხრივია. იგი ეხება ადამიანის ფიზიკური, გონებრივი და პროფესიონალური ცოდნის გამოყენებით მიღებულ შემოსავალსაც, მასზე სათანადო დეკლარაციის შეუტანლობას ან მის არადროულ შეტანას ან დეკლარაციაში წინასწარი შეცნობით დამახინჯებული მონაცემების ჩვენებას. ასეთ დროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისათვის აუცილებელი წინაპირობაა, რომ მსგავსი დარღვევისათვის პირი ერთხელ უკვე იყოს დასჯილი ადმინისტრაციული წესით.

ამ სამი ახალი ნორმის გარდა, პასუხისმგებლობის გაძლიერების თვალსაზრისით, მთელი რიგი სხვა ცვლილებები შევიდა აგრეთვე საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 164-ე, 165-ე, 167-ე, 172-ე. 173[1]-ე და 189-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა შემადგენლობებში. კერძოდ, სსკ 164-ე შუხლს, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას კერძო მეწარმეობითი საქმიანობისათვის სახელმწიფო ან კოოპერატიულ ან სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფორმების გამოყენებით, დაემატა მეორე ნაწილი, თუ ადრე ეს მოქმედება ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე, ქონების კონფისკაციით, ამჟამად მოქმედი კანონით „იგივე მოქმედება რასაც მოჰყვა განსაკუთრებით დიდი ოდენობით გამდიდრება — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ათ წლამდე, ქონების კონფისკაციით“.

ასევე გაძლიერდა პასუხისმგებლობა წვირლმანი სპეკულაციისათვის (სსკ 165-ე მუხ.), კომერციული შუამავლობისათვის (სსკ 167-ე მუხ.), აკრძალული სახეობის ინდივიდუალური შრომითი საქმიანობისათვის (სსკ 172-ე მუხ.), სახელმწიფო ან კოოპერატიულ მაღაზიებში პირუტყვისა და ფრინველის გამოსაკვებად პურისა და სხვა პროდუქტების შესყიდვისათვის (სსკ 173[1]-ე მუხ.), ქრთამის აღებისათვის (სსკ 189-ე მუხ.).

მართალია, ახალი კანონით ქრთამის აღების პასუხისმგებლობის ამსახველი მუხლის დისპოზიცია არ შეცვლილა, მაგრამ სსკ ამ მუხლმა თავისი კონსტრუქციით, პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებათა წრის გაფართოებითა და სანქციებით მაინც განიცადა არსებითი ცვლილება. კერძოდ, თუ ადრე მარტივი სახის ქრთამის აღება ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით სამიდან ათ წლამდე, ქონების კონფისკაციით, ამ მუხლის ახალი რედაქციით მარტივი სახის ქრთამის აღება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ათ წლამდე, ქონების კონფისკაციით. ისე, რომ მასში მითითებული აღარაა თავისუფლების აღკვეთის შეფარდების მინიმალური ზღვარი.

ადრე მოქმედ სსკ 189-ე მუხლის მეორე ნაწილით, დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ქრთამის აღება ისეთი თანამდებობის პირის მიერ, რომელსაც პასუხისაგები მდგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარეობა ეკავა ან ადრე ნამყოფი იყო სამართალში მექრთამეობისათვის, ან ისეთი პირის მიერ, რომელმაც არაერთხელ აიღო ქრთამი, ან თუ მას თან სდევდა ქრთამის გამოძალვა, ისჯება- და თავისუფლების აღკვეთით რვიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით. ამ მუხლის მეორე ნაწილის ახალი რედაქციით კი ქრთამის აღება „ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, ან არაერთხელ, ან რასაც თან სდევდა ქრთამის გამოძალვა, ანდა ქრთამის აღება დიდი ოდენობით, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით“, ე. ი. სასჯელის მინიმალური ზღვარი დავიდა ხუთ წლამდე. დაიხვეწა აგრეთვე მაკვალიფიცირებელ გარემოებათა წრე. ამასთან, ამ მუხლს დაემატა მესამე ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ქრთამის აღებისათვის ჩადენილს ისეთი „თანამდებობის პირის მიერ, რომელსაც პასუხსაგები მდგომარეობა აქვს, ან რომელიც ადრე ნამყოფია სამართალში მექრთამეობისათვის, ანდა რომელმაც აიღო ქრთამი განსაკუთრებით დიდი ოდენობით“ და ასეთი ქმედობა „ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით და გადასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე, ხოლო განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებში — სიკვდილით, ქონების კონფისკაციით“.

ახალი კანონით გაფართოვდა ქრთამის აღების დამამძიმებელ გარემოებათა წრე და ასეთად მიჩნეული იქნა აგრეთვე ქრთამის აღება ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, ქრთამის აღება დიდი ოდენობით და განსაკუთრებით დიდი ოდენობით.

ამ ცვლილებებმა რთული ამოცანის წინაშე დააყენა სასამართლოები, რადგან კანონში არაფერია იმაზე, ნათქვამი, თუ რა ღირებულების ქრთამის საგანი უნდა ჩაითვალოს „დიდ ოდენობად“ ან „განსაკუთრებით დიდ ოდენობად“. ამასთან გასარკვევია ერთჯერადი უნდა იყოს ასეთი ოდენობით ქრთამის აღება, თუ ასეთად უნდა ჩაითვალოს ისიც, როცა ადგილი ჰქონდა ქრთამის აღებას ერთი და იგივე თანამდებობის პირის მიერ რამოდენიმეჯერ და მისი ჯამი იძლევა ქრთამის აღების დიდ ოდენობას ან განსაკუთრებით დიდ ოდენობას. ეს უკვე პრობლემური საკითხია და იგი დროულად უნდა გადაწყდეს. ამიტომ საჭიროა სსრ კავშირის ან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოგვცეს შესაბამისი სახელმძღვანელო ახსნა-განმარტება იმისა, თუ როგორ უნდა გავიგოთ „დიდი ოდენობით“ ან „განსაკუთრებით დიდი ოდენობით“ ქრთამის აღების ცნება, დადგინდეს ზღვარი, რომლის ზემოთაც ქრთამის აღება ჩაითვლება დიდ და განსაკუთრებით დიდ ოდენობად.

ჩვენის აზრით, სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, მარტივი სახის ქრთამის აღებად, მიზანშეწონილია ჩაითვალოს ქრთამის აღება 10000 მანეთის ოდენობამდე და იგი ამ ნიშნის მიხედვით დაკვალიფიცირდეს სსკ 189-ე მუხლის პირველი ნაწილით. დიდი ოდენობით ქრთამის აღებად ჩაითვალოს ქრთამის საგნის მიღება 10000 მანეთიდან 20000 მანეთამდე და ამ ნიშნით ასეთი დანაშაულებრივი ქმედობა დაკვალიფიცირდეს იმავე მუხლის მეორე ნაწილით. განსაკუთრებით დიდ ოდენობად ჩაითვალოს ქრთამის აღება 20000 მანეთის ზევით და ამ ნიშნით, ასეთი დანაშაულებრივი ქმედობა დაკვალიფიცირდეს იმავე მუხლის მესამე ნაწილით.

კანონი კვლავ არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რა იგულისხმება „განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში“ ჩადენილი ქრთამის აღების ცნებაში, რომლისთვისაც სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტაა დაწესებული. ამის შესახებ არაფერია ნათქვამი აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო ახსნა-განმარტებებში. ამიტომ საჭიროა ეს საკითხიც დაუყოვნებლივ მოწესრიგდეს. სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია „განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებათა“ ცნებაში ჩაითვალოს განსაკუთრებით დიდი ოდენობით არაერთხელ ქრთამის აღება ან დიდი ოდენობით ქრთამის გამოძალვა იმ პირის მიერ, ვისაც ეკავა პასუხსაგები თანამდებობა და იყო ქრთამის ამღებ პირთა ჯგუფის ორგანიზატორი.

უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლა ყოველთვის იყო და არის საქართველოს უმაღლესი სასამართლოს ყურადღების ცენტრში. უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ მიმართული კანონმდებლობის, კერძოდ, სახელმწიფო ქონების დატაცების, სპეკულაციისა და მექრთამეობის საქმეების სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადების მიზნით მრავალწელია აქტიურად მუშაობენ ამ პრობლემების შემსწავლელი ჯგუფები. მაგალითად, სახელმწიფო საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის სასამართლო პრაქტიკა სრულყოფილად იქნა შესწავლილი და გაანალიზებული 1983-1985 წლებში, რომლის შედეგებიც გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხილულია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდუიმისა და პლენუმის სხდომებზე, მიღებულია შესაბამისი დადგენილებები.

შესწავლილი და განზოგადოებულია აგრეთვე სპეკულაციის წინააღმდეგ მიმართული კანონმდებლობის გამოყენების სასამართლო პრაქტიკა, რომლის შედეგები რამოდენიმეჯერ მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა და პლენუმმა და მიიღო კიდეც შესაბამისი დადგენილებები.

მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის კანონმდებლობის გამოყენების სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადებას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია იმ პრობლემათა შორის, რომლებზეც საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თანამშრომლები მუშაობენ. ამ პრობლემაზე მომუშავე ჯგუფმა მრავალმხრივი სამუშაოები ჩაატარა. გამოთხოვილი და შესწავლილ-განზოგადებული იქნა საქართველოს სსრ სასამართლოების მიერ 1981-1985 და 1986 წლებში განხილული საქმეები, რის საფუძველზეც მომზადდა და 1986 წლის 28 ნოემბერს მიღებული იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება „მექრთამეობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1977 წლის 23 სექტემბრის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე“.

ახალი კანონის მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებით დამატებით შეიქმნა ახალი საპრობლემო ჯგუფები ისეთი კატეგორიის საქმეების შესწავლა-განზოგადებისათვის, როგორიცაა მყიდველთა და დამკვეთთა მოტყუება, ვაჭრობის წესების დარღვევა, სატრანსპორტო საშუალებების, მანქანების და მექანიზმების თვითნებური გამოყენება, მგზავრების უკანონო გადაყვანა და ტვირთის გადაზიდვა, ანგარების მიზნით სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება, კომერციული შუამავლობა, მოსახლეობის მომსახურეობასთან დაკავშირებული სამუშაოს შესრულებისათვის მოქალაქეებისაგან უკანონო გასამრჯელოს მიღება, კერძო მეწარმეობითი საქმიანობა, შემოსავლის შესახებ დეკლარაციის შეტანისათვის თავის არიდება, აზარტული თამაში, მევახშეობა და სხვ. ამ კატეგორიის საქმეები გამოთხოვილია რესპუბლიკის სახალხო სასამართლოებიდან და მიმდინარეობს მათი შესწავლა-განზოგადება სასამართლო პრაქტიკის სრულყოფისა და დაშვებულ შეცდომებზე სათანადო რეაგირებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წარმომადგენლები სისტემატიურად ატარებენ ლექცია-მოხსენებებს მოსახლეობაში მექრთამეობის, სპეკულაციის, სახელმწიფო ქონების დატაცებისა და სხვა სახის უშრომელი შემოსავლის მიღების წინააღმდეგ ბრძოლის არსებულ კანონმდებლობათა პრობლემებზე. ამავე პრობლემების სრულყოფილად შესწავლის მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მუშაკთათვის ჩატარდა სპეციალური სემინარი, სადაც ცალკეულ პრობლემებზე თავიანთი საინტერესო მოხსენებები წაიკითხეს უმაღლესი სასამართლოს წევრებმა.

უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის კანონების პროპაგანდას მიეძღვნა უმაღლესი სასამართლოს წევრების მასიური გასვლა ლექციების ჩასატარებლად დუშეთის, მცხეთის, გარდაბნის, მარნეულის და საგარეჯოს რაიონებში, რუსთავისა და თბილისის წარმოებადაწესებულებებში.

სახელმწიფო ქონების დატაცების, მექრთამეობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ საბრძოლველად დასახულმა ღონისძიებებმა თავისი შედეგები გამოიღო. ამოქმედდა და გაძლიერდა ამ ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ არსებული კანონები, დასჯის სასამართლო პრაქტიკა, გაიზარდა ამ კატეგორიის დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ ძირითადი და დამატებითი სასჯელების გამოყენების შემთხვევები.

ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ სკკპ 27-ე ყრილობის შესაბამისად მართლაც შესამჩნევად გარდაიქმნა ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობა, გამწვავდა ბრძოლა ამ დანაშაულთა წინააღმდეგ და თანამიმდევრულად წარმოებს მექრთამეობის სამარცხვინო ფაქტების გამოვლინება, დამნაშავეთა დასჯა. დაჩქარებულად მიმდინარეობს აგრეთვე უშეღავათო ბრძოლა ყოველგვარ უშრომელ შემოსავალთან და ტარდება პრინციპული ღონისძიებები მათი საბოლოო აღმოფხვრისა და თავიდან აცილებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარკოტიზმის კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგები

ანზორ გაბიანი,
სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის უფროსი, პროფესორი

ნარკოტიზმის პირველი კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევიდან 10 წლის გასვლის შემდეგ კვლავ დაისვა ახალი გამოკვლევის ჩატარების საკითხი. ამ ამოცანის განხორციელება ისევ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს დამნაშავეობის სოციოლოგიის სამეცნიერო-კვლევითმა ლაბორატორიამ ითავა.

1984-1985 წლებში ინტერვიუს გზით გამოიკითხა ნარკომანები და ნარკოტიკულ ნივთიერებათა მომხმარებლები, რომელთაგან ნაწილი სასჯელს იხდიდა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენისათვის. შეგროვებული ინფორმაცია სრულიად რეპრეზენტატიულად უნდა მივიჩნიოთ, რადგან გამოიკითხა სპეციალურ აღრიცხვაზე მყოფი ნარკომანებისა და ნარკოტიკების მომხმარებელთა თითქმის ნახევარი. ინფორმაციის ავტომატიზებული დამუშავება თანამედროვე ელექტრონულ გამომთვლელ მანქანაზე დამთავრდა 1986 წლის დამდეგს. ამ წერილში მოკლედ განვიხილავთ აღნიშნული გამოკვლევის მხოლოდ ზოგიერთ შედეგს.

გამოკითხულთაგან ქალი 8,3 პროცენტია, ხოლო კიდევ უფრო მაღალია ქალების ხვედრითი წილი იმ პირთა შორის, რომლებიც გამოიკითხნენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში — 15,2 პროცენტი. ეს გარკვეულ წილად შეიძლება აიხსნას იმით, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 252-ე მუხლის I, II, III და IV ნაწილით აღძრული სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების დროს ხშირად ამხელენ ხოლმე ისეთ პირებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. ასეთი პირები სასჯელს იხდიან რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. მათ შორის კი საკმაო რაოდენობით გვხვდებიან ქალებიც.

გამოკითხულთა შორის ქართველია 64,9 პროცენტი, სომეხი — 12, რუსი 7,5, აზერბაიჯანელი — 1,4, უკრაინელი — 1,2, ოსი — 1,8, ბერძენი — 2,2, აფხაზი — 2,2, ებრაელი — 0,6 ხოლო სხვა ეროვნებათა წარმომადგენელი — 6 პროცენტი.

გამოკითხულთაგან 16 წლის ასაკისათვის არ მიუღწევია 0,2 პროცენტს, 16-19 წლისაა 4,3 პროცენტი, 20-24 წლისა — 27,4, 25-29 წლისა — 33,5, 30-34 წლისა — 21, 35-39 წლისა — 8,6, 40-44 წლისა — 2, ხოლო 45 წლის და მეტი ასაკისაა 2,9 პროცენტი.

ამრიგად, გამოკითხულთა უდიდეს უმრავლესობას (86,4 პროცენტი) არ მიუღწევია 35 წლის ასაკამდე.

გამოკითხულებიდან მუდმივად ცხოვრობს ქ. თბილისში 38,1 პროცენტი, რესპუბლიკის სხვა ქალაქებში — 49, ქალაქის ტიპის დასახლებაში — 4, სოფელში — 4,3, არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი 0,6 პროცენტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსანიშნავია, რომ იმ პირთა ხვედრითი წილი, ვინც მუდმივად ცხოვრობს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, გაცილებით მაღალია საპატიმრო ადგლებში გამოკითხულთა შორის (12,4 პროცენტი), ამგვარად, გამოკითხულთა უდიდესი უმრავლესობა (87,1 პროცენტი) ცხოვრობს ქ. თბილისში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში. ეს საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ დღეისათვის ნარკოტიზმის პრობლემა მჭიდროდ არის დაკავშირებული ურბანიზაციასთან, ქალაქური ცხოვრების წესთან, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ნარკოტიზმის პრობლემა არ შეეხება სოფლის მოსახლეობას. პირიქით, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით უკანასკნელი 10 წლის მანძილზე გაფართოვდა ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების გეოგრაფია და ნარკოტიკებმა უკვე შეაღწია ზოგიერთ შორეულ სასოფლო რაიონშიც, თუმცა ზოგიერთი გარემოების გამო (ეროვნული ტრადიციების მეტი ცხოველუნარიანობა, ყოფის თავისებურება, მოზარდებისა და ახალგაზრდების მეტი დასაქმება და ა. შ.) იქ ჯერ ვერ პოვა მეტი განვითარების ნიადაგი. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ რესპუბლიკის სოფლის მოსახლეობის განვითრაების არსებულ ტენდენციებს, განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც მაღალია მატერიალური შემოსავალი და არის კარგი სატრანსპორტო მიმოსვლა, მომავალში მოსალოდნელია მდგომარეობის გაუარესება თუ აქედანვე არ მივიღებთ გადამჭრელ ზომებს.

გამოკითხულთა შორის დაწყებითი განათლება აქვს 2,7 პროცენტს, არასრული საშუალო — 12,5, საშუალო — 66,6, დაუმთავრებელი უმაღლესი — 9,3, უმაღლესი — 7,8 პროცენტს, აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ დღეისათვის ნარკოტიკული ნივთიერბების მოხმარება გავრცელებულია ძირითადად იმ პირთა შორის, რომელთაც საკმაოდ მაღალი განათლების დონე აქვთ.

გამოკითხულთა შორის საკმაოდ მაღალია ადრე ნასამართლევ პირთა ხვედრითი წილი (46 პროცენტი), თანაც ყოველ მეორე ადრე ნასამართლევ პირს (45,4 პროცენტი) მსჯავრი დაედო ნარკომანიასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის, ხოლო ყოველ მეოთხეს (24,5 პროცენტი) ნარკოტიკულ ნივთიერებათა გასაღების მიზნის გარეშე დამზადების, შეძენის, შენახვის, გადაზიდვის ან გადაგზავნისათვის. ცნობილია, რომ ამ ქმედობისათვის უმეტესწილად მსჯავრი ედებათ ნარკოტიკულ ნივთიერებათა მომხმარებლებს, რომლებიც პირადი საჭიროებისათვის ამზადებენ, იძენენ ან ინახავენ ამ ნივთიერებებს.

გამოკითხულ მომხმარებელთა დიდი ნაწილი საკმაოდ კარგ პირობებში ცხოვრობს. კერძოდ, მათგან 46,5 პროცენტი ცხოვრობს პირადი საკუთრების სახლებში, 44,70 პროცენტი ცხოვრობს იზოლირებულ კეთილმოწყობილ ბინაში, 4,3 — კომუნალურ ბინაში საერთო სათავსებით, 0,4 — საერთო საცხოვრებელში, 1,9 — სარდაფში, ხოლო 0,9 პროცენტს არა აქვს თავისი საცხოვრებელი და ცხოვრობენ ნაქირავებ ბინაში. ამასთან გამოკითხულთა 46,2 პროცენტის ოჯახის თითოეული წევრზე მოდის 14 კვ. მ-ზე მეტი. ამგვარად გამოკითხულთა უდიდესი უმრავლესობა ცხოვრობს კარგ პირობებში, ხოლო თითქმის ყოველი მეორე — საკუთარ სახლში.

გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილი მატერიალურადაც კარგად არის უზრუნველყოფილი. კერძოდ, ოჯახის თითოეულ წევრზე საშუალოზე მაღალი ფულადი შემოსავალი აქვს 61,6 პროცენტს.

გამოკითხულთა 9,8 პროცენტმა მიუთითა, რომ მათი ოჯახის რომელიღაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

წევრი ბოროტად იყენებს სპირტიან სასმელებს, ხოლო 7,2 პროცენტმა აღნიშნა, რომ მათ ოჯახში არიან ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებლები. ოჯახის იმ წევრებს შორის, ვინც ლოთობს, 78,5 პროცენტმა დაასახელა მამა, ხოლო ნარკომანი ოჯახის წევრებს შორის 77,8 პროცენტმა — ძმა. ამრიგად, გამოკითხულთაგან ყოველი მეექვსე ცხოვრობს ისეთ ოჯახში, სადაც უზომოდ სვამენ ან ხმარობენ ნარკოტიკულ ნივთიერებებს. ამასთან, გამოკითხულთა 17 პროცენტმა აღნიშნა, რომ მისი ოჯახის რომელიღაც წევრი არის ნასამართლევი. ოჯახის იმ წევრებიდან, ვინც ნასამართლევია, 59,1 პროტენტმა დაასახელა ძმა, 32,6 პროცენტმა — მამა, ხოლო 7,6 პროცენტმა — ქმარი (ცოლი). გამოკითხულთა 27,8 პროცენტმა აღნიშნა, რომ მათი ოჯახის წევრი დაავადებულია ფსიქიკური, ნერვული ან რაიმე სხვა მძიმე ავადმყოფობით. ამგვარად, გამოკითხულთაგან დაახლოებით ნახევარი ცხოვრობს ისეთ ოჯახში, სადაც ერთი ან რამდენიმე წევრი ბოროტად იყენებს სპირტიან სასმელებს, ხმარობს ნარკოტიკულ ნივთიერებებს, ნასამართლევია, ან დაავადებულია მძიმე ავადმყოფობით, რაც უდაოდ უარყოფითად მოქმედებს ოჯახში არსებულ მორალურ-ფსიქოლოგიურ ატმოსფეროზე.

ცნობილია, რომ პიროვნების ჩამოყალიბებაში ოჯახთან ერთად დიდ როლს თამაშობს სასწავლებელი. აღმოჩნდა, რომ გამოკითხვის მომენტში სწავლობდა 9,6, ხოლო წარსულში სწავლობდა — 88,3 პროცენტი. გამოკითხულთა უმეტესობა სწავლობდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, დაახლოებით 1/4 ნაწილი — უმაღლეს სასწავლებელში ან ტექნიკუმში და მხოლოდ 1/10 ნაწილი (8,6 პროცენტი) ერთად აღებული პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელსა, სკოლა-ინტერნატსა და საღამო სკოლაში. საინტერესოა, რომ მათივე სიტყვებით, სწავლისათვის კარგი პირობები ჰქონდა 76,6 პროცენტს. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთაგან კარგად სწავლობდა 15,8 პროცენტი, დამაკმაყოფილებლად 66,1 პროცენტი.

საინტერესო მონაცემებია გამოკითხულთა საქმიანობის შესახებ[1]. აღმოჩნდა, რომ მათგან მუშაობდა 61,7 პროცენტი, სწავლობდა — 5,8, მუშაობდა და სწავლობდა — 5,2, არ ეწეოდა არავითარ საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობას 24,8 პროცენტი, ხოლო ცნობები არა გვაქვს 2,5 პროცენტის საქმიანობის შესახებ. გამოკითხულთა შორის 57,1 პროცენტი მუშაა, კოლმეურნე — 2,9, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი — 9,1, მეცნიერ-მუშაკი — 0,3, პედაგოგი — 0,6, ექიმი — 0,4, სხვა მოსამსახურე — 8,9, მომსახურების სფეროს მუშაკი — 4,5, მძღოლი — 6,6, დიასახლისი — 0,6, სამხედრო მოსამსახურე — 0,2 პროცენტი და ა. შ. აღსანიშნავია, რომ მომუშავე ნარკომანთა და ნარკოტიკების მომხმარებელთა უდიდესი ნაწილი ცუდად მუშაობს, წუნის მკეთებელია, ზარმაცი და გულგრილია საქმიანობის მიმართ. შეიძლება ითქვას, რომ ისინი ნარკოტიკული დეგრადაციის გარკვეულ სტადიაზე უვარგისნი არიან რთული სამუშაოს შესრულებისათვის.

აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთაგან 72 პროცენტი იყენებს ალკოჰოლურ სასმელებს, დანარჩენები კი სრულიად არ სვამენ, რადგან ვერ იტანენ ან ვერ ეგუებიან სპირტიან სასმელებს. საზოგადოდ კი ნარკომანები გულგრილნი არიან სპირტიანი სასმელების მიმართ და ამჯობინებენ ნარკოტიკულ ნივთიერებებს.

---

1 პატიმრობაში მყოფი ნარკომანებისა და ნარკოტიკების მომხმარებლების მიმართ მონაცემები ეხება დაპატიმრებამდე პერიოდს.

ამიტომ არის, რომ გამოკითხულთა იმ ნაწილიდან, ვინც მიუთითა, რომ იღებს სპირტიან სასმელებს, 72,6 პროცენტი სვამს იშვიათად, 25,1 პროცენტი — ხშირად და მხოლოდ 2,3 პროცენტი — სისტემატიურად. ვინც სისტემატიურად ან ხშირად სვამს, უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს არაყსა და სხვა მაგარ სპირტიან სასმელებს.

გამოკითხულთა 72,8 პროცენტმა აღნიშნა, რომ ნარკოტიკული ნივთიერების მიღება დაიწყო ჰაშიშით (პლანით). მორფიუმით — 9,1, ოპიუმით — 6,7, კოდეინის აბებით — 3,8 პროცენტმა და ა. შ. ამგვარად, გამოკითხულთა უმრავლესობამ „ნარკოტიკული კარიერა" ჰაშიშით (პლანით) დაიწყო, მაგრამ შემდეგ ბევრი მათგანი გადავიდა ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკების მიღებაზე.

გამოკვლევით დადგინდა, რომ გამოკითხულთა 26,5 პროცენტი ნარკოტიკებს იღებს დღეში — 3-ჯერ ან მეტჯერ, 19,4 — დღეში 2-ჯერ, 21,2 — დღეში ერთხელ, 16 — კვირაში სამჯერ ან მეტჯერ, 6,2 — კვირაში ორჯერ, 4,6 — კვირაში ერთხელ, ხოლო 4,2 პროცენტი — უფრო იშვიათად, ამგვარად, აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა ნარკოტიკულ ნივთიერებებს ხმარობს დღეში ერთხელ ან უფრო ხშირად.

ნარკოტიკებს ხმარობს ოთხი წლის მანძილზე გამოკითხულთა 15,7 პროცენტი, ხოლო ხუთი წელზე მეტი ხნის მანძილზე — 49 პროცენტი, ეს მონაცემები საფუძველს იძლევა დავასკვნათ, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა ქრონიკული ნარკომანების კატეგორიას მიეკუთვნება.

გამოკითხულთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ნარკოტიკული ნივთიერებების მიღება ადრეულ ასაკში დაიწყო. კერძოდ, ნარკოტიკების მიღება 16 წლის ასაკის შესრულებამდე დაიწყეს 9,8 პროცენტმა, 16-დან 19 წლამდე — 35.8, ხოლო 20-დან 24 წლამდე — 35,8 პროცენტმა, ესე იგი გამოკითხულთა თითმის ნახევარმა ნარკოტიკების ხმარება 20 წლის ასაკამდე დაიწყო.

გამოკითხულთა 77,1 პროცენტმა მიუთითა, რომ ნარკოტიკების მიღება სხვა პირთა გავლენით დაიწყო. დანარჩენებმა აღნიშნეს, რომ მათზე არავის არ მოუხდენია ზეგავლენა. ცხადია, ყველა ის პირი, ვისი გავლენითაც დაიწყეს გამოკითხულებმა ნარკოტიკების მიღება, თვითონ არიან ნარკომანები ან ნარკოტიკულ ნივთიერებათა მომხმარებლები. ამდენად, სწორედ ნარკომანები არიან ნარკომანიის აქტიური გამავრცელებლები.

რაც შეეხება ნარკოტიკული ნივთიერებების შოვნის წყაროებს აღმოჩნდა, რომ ნარკოტიკულ ნივთიერებათა ძირითად ნაწილს ნარკოტიკების მომხმარებლები ყიდულობენ გადამყიდველებისაგან ან ამა თუ იმ მედიცინის მუშაკისაგან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა გვხვდება შემთხვევები, როდესაც მედიცინის ზოგიერთი ზნედაცემული მუშაკი ხელს ითბობს ამ გზით, მაგრამ ჩვენი აზრით, ამ ეტაპზე ძირითადი ძალები უნდა წარიმართოს სხვა მოკავშირე რესპუბლიკებიდან არალეგალურად შემოტანილი ნარკოტიკული ნივთიერებებით დანაშაულებრივი ვაჭრობის წინააღმდეგ, რადგან სწორედ ეს ქმნის ამიხდს „შავ ბაზარზე". გამოკვლევით დადასტურდა, რომ გამოკითხულთა 44,1 პროცენტი. ანუ თითქმის ნახევარი, ნარკოტიკების შეძენაზე ყოველთვიურად ხარჯავს 300 მანეთზე მეტს. ბუნებრივია, რომ ასეთი თანხა უმრავლესობას შეუძლია მოიპოვოს მხოლოდ დანაშაულებრივი გზით, რადგან ბევრი ნარკომანი არ მუშაობს, ხოლო ვინც მუშაობს, შედარებით მცირე გასამრჯელოს იღებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოზარდი თაობის მართლშეგნება და სამართლებრივი აღზრდა

დალი აბაშიძე

სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების სტრატეგიული ამოცანის შესაბამისად ჩვენს ქვეყანაში ყოველდღიურად ფართოვდება სამართლისა და სამართლებრივი ურთიერთობების მეცნიერული კვლევის სფერო. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მასების სამართლებრივ აღზრდას, რომელიც როგორც იდეური აღზრდის ნაწილი, პარტიის საპროგრამო მოთხოვნად არის გამოცხადებული[1].

მოზარდ თაობაში საზოგადოებრივი და სამართლებრივი ურთიერთობების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, სამართლის ნორმების დაცვა და კანონისადმი შეგნებული დამოკიდებულება პედაგოგიკის, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის და სამართლის მეცნიერების ერთობლივი კვლევის საგანია[2].

მეცნიერულ მიღწევებზე დაყრდნობით და სადღეისო მოთხოვნათა გათვალისწინებით სკოლა, ოჯახი და სამართალდამცავი ორგანოები სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ მოზარდებში სამართალდარღვევათა პროფილაქტიკას, სოციალისტური ცხოვრების წესის დაცვის საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ღონისძიებებთან ერთად აქ დადებით შედეგებს იძლევა ზოგადასაგანმანათლებლო სკოლების მე-8 კლასებში „საბჭოთა სახელმწიფოს და სამართლის საფუძვლების“ სწავლება, ყოველდღიური პრაქტიკა იმაშიც გვარწმუნებს, რომ ჯერ კიდევ მაინც არასათანადო დონეზეა მოზარდთა სამართლებრივი აღზრდა. ისინი სათანადოდ ვერ ერკვევიან სამართლის, საბჭოთა კანონების ელემენტარულ საკითხებში, ერთმანეთთან აიგივებენ სამართალდარღვევებსა და მოსწავლეთა ქცევის წესებს და წარმოდგენა არ აქვთ საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრების ნორმებზე. ეს კი მოზარდთა დამნაშავეობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია.

პრობლემათა იმ ფართო წრეში, რომელიც მოზარდი თაობის სამართლებრივი აღზრდის სრულყოფას ეხება, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სკოლისა და ოჯახის, მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა პასუხისმგებლობის ამაღლებას, რისთვისაც, ცხადია, გათვალისწინებული უნდა იყოს მათი შეხედულებები და წინადადებები. სწორედ ამ მიზნით ჩატარდა მოსწავლეთა და მასწავლებელთა სოციოლოგიური გამოკვლევა თელავის რაიონის სკოლებში ამ სამიოდე წლის წინ, რომელსაც საფუძვლად დაედო საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტე-

---

[1] „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა“, თბილისი, 1986, გვ. 81.

[2] განსაკუთრებით ბევრი გაკეთდა ამ მხრივ სამართლის მეცნიერებაში. გამოქვეყნდა მთელი რიგი ფუნდამენტური მონოგრაფიები, ჩატარდა მრავალი სოციოლოგიური გამოკვლევა. ერთ-ერთია თ. შავგულიძის „საზოგადოებრივი აზრი, მართლშეგნება და მოსწავლე ახალგაზრდობა“, თბ., 1981 წ.

ტის პედაგოგიკის კათედრის მიერ ერთობლივად შედგენილი ანკეტის კითხვები (რადგანაც საზოგადოებრივი აზრი მეტნაკლებად მყარი კატეგორიაა და მისი შეცვლა გარკვეულ დროს მოითხოვს, მიგვაჩნია, რომ სამი წლის წინ ჩატარებული კვლევის შედეგები დღესაც იმსახურებს ყურადღებას).

მოსწავლეებისათვის განკუთვნილი ანკეტა ითვალისწინებდა იმის გარკვევას, თუ რამდენად სწორად განასხვავებენ ერთმანეთისაგან მოზარდები სამართალდარღვევებს და მოსწავლეთა ქცევის წესების დარღვევებს, რაში ხედავენ ისინი სამართალდარღვევების გამომწვევ მიზეზებს, როგორია მათი მონაწილეობა სამართლის ნორმების დამრღვევი თანაკლასელის, ამხანაგის, მეგობრის გამოსწორების საქმეში, რა როლი ეკისრება აღზრდის საქმეში მასწავლებელს, ოჯახს, მშობელს.

მასწავლებლებს პასუხი უნდა გაეცათ ისეთ კითხვებზე, სადაც გამახვილებული იყო ყურადღება სამართალდარღვევებსა და მის გამომწვევ მიზეზებში მასწავლებელთა გაცნობიერების დონეზე, სამართალდარღვევათა აღკვეთის საქმეში მასწავლებელთა როლსა და მათ მიერ გატარებულ ღონისძიებათა ქმედითობაზე. სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის გზებსა და საშუალებებზე, მასწავლებელთა მოსაზრებებისა და შეხედულებების გამოკვლევაზე.

მოსწავლეთათვის განკუთვნილი ანკეტის პირველ კითხვას — „რა სახის სამართალდარღვევებს და მოსწავლეთა ქცევის წესების დარღვევის შემთხვევებს შეხვედრიხართ თქვენს კლასში და სკოლაში და თქვენი აზრით, რამ გამოიწვია იგი“ — სწორი პასუხი გასცა გამოკითხულთა მხოლოდ 30 პროცენტმა. სხვებმა მოსწავლეთა ქცევის წესების დარღვევა გააიგივეს სამართალდარღვევებთან. მოსწავლეთა პასუხებიდან ჩანს, რომ მათ ნამდვილად აღელვებთ თანატოლების მიერ ქცევის წესებისა და სამართლებრივი ნორმების დარღვევის ფაქტები, განსაკუთრებით წვრილმანი ხულიგნობა, მიდრეკილება ალკოჰოლისადმი, მანქანის უნებართვოდ მართვა, სასკოლო ინვენტარის დაზიანება და ქურდობა, გულახდილად მსჯელობენ ამ დანაშაულთა გამომწვევ მიზეზებზე და მათ შორის პირველ რიგში ასახელებენ ოჯახის, სკოლის, მოსწავლეთა კოლექტივის, საზოგადოების უყურადღებობისა და გულგრილობის მაგალითებს.

გამოკითხულთა 30-მა პროცენტმა ბავშვის სწორად აღზრდაში გადამწყვეტი როლი მიანიჭა ოჯახისა და მშობლების მაგალითს.

მოზარდები დიდი გულისტკივილით წერენ აგრეთვე მშობლების გულგრილობის, უკონტროლობის, უშრომელი გზით ცხოვრების, შვილების ზედმეტად, გადაჭარბებულად მზრუნველობისა და მატერიალური უზრუნველყოფის, მუქთახორობის, ლოთობის, სიცრუის, ოჯახური აურზაურისა და სხვა ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებების შესახებ.

მოზარდთა უმეტესობა იმის მომხრეა, რომ ბავშვები გადაჭარბებული მზრუნველობით არ იზრდებოდნენ. „მშობელს — წერენ ისინი — არ უნდა მიაჩნდეს რომ მატერიალური უზრუნველყოფა ყველაფრის უნარს და შესაძლებლობებს წარმოშობს, რომ ასეთ დროს ბავშვი თანაბრად დაეუფლება მუსიკას, სპორტს, უცხო ენებს და ა. შ. სამწუხაროდ, შეძლებული ოჯახის შვილები გამუდმებით დარბიან მუსიკისა და უცხო ენების მასწავლებლებთან, ცურვისა და ფეხბურთის წრეებზე (მაშინაც კი როცა მათ საამისო ნიჭი და უნარი არ გააჩნიათ), ათასნაირი სახის რეპეტიტორებთან, ხოლო უფროსები სულ არ ფიქრობენ იმაზე, რომ გაორებული და გასამებული ბავშვები საბო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოოდ ყველაფრიდან ხელმოცარულნი რჩებიან. უკეთესი არ იქნება ისინი მუშები გახდნენ და თავიანთი პატიოსანი შრომით მოუტანონ სარგებლობა სამშობლოს".

გამოკითხულთა თითქმის ყოველი მეორე კატეგორიულად აცხადებს, რომ საჭიროა არ ინგრეოდეს ოჯახები და ბავშვები არ რჩებოდნენ დედის, ან მამის გარეშე. აქვე ისეთ მაგალითებსაც ასახელებენ, როდესაც ამგავრი ტრავმის შედეგად ბევრი მათი თანატოლი აცდა გზას და გახდა სამართალდამრღვევი. თითქმის ყველა ბავშვის ნატვრა ის არის, რომ მშობლებს ბოლომდე უყვარდეთ ერთმანეთი, უყვარდეთ ბავშვები, არ იყოს ჩხუბი და აყალმაყალი ოჯახში, უფროსები მუდამ გრძნობდნენ უდიდეს მოვალეობას შვილებისადმი და ზრუნავდნენ ოჯახის სიმტკიცისათვის.

გამოკითხულთა აზრით მშობელი უნდა იყოს პატიოსანი, შრომისმოყვარე, სამართლიანი, გულისხმიერი, ზომიერი, მაგრამ მკაცრი, გულწრფელი და რაც მთავარია, მეგობრული შვილისადმი დამოკიდებულებაში.

მოზარდებს მიაჩნიათ, რომ ოჯახში ყველაფერი ურთიერთპატივისცემასა და კეთილსინდისიერ შრომაზე უნდა იყოს დაფუძნებული, ბავშვების მიმართ იგრძნობოდეს თბილი, მზრუნველი და მეგობრული, მაგრამ ობიექტური, მომთხოვნი დამოკიდებულება, პატივს უნდა სცემდნენ სხვის შრომას და შესაფერისად აფასებდნენ ღირსეულ ადამიანებს.

გამოკითხვამ ისიც გამოავლინა, რომ მოზარდები სათანადოდ ვერ აფასებენ თანატოლთა სამართალდარღვევის ფაქტებს. გულახდილობა ასეთ დროს მათ მაბეზღარობად მიაჩნიათ და უნარი არ შესწევთ საერთო გამონახონ სამართალდამრღვევთან, რადგან შეთავაზებულ დახმარებას ხშირად შეურაცხმყოფელი პასუხი მოსდევს. ეს კი, რა თქმა უნდა, ართულებს დანაშაულის თავიდან აცილებას. მოზარდებს მიაჩნიათ, რომ ასეთ დროს ისევ მასწავლებლებმა და მშობლებმა უნდა გამონახონ სწორი გზა, ხოლო კომკავშირულმა და პიონერულმა ორგანიზაციებმა სასარგებლო საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩააბან ძნელადაღსაზრდელები.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების ამოცანა ისიცაა, რომ ადრეული ასაკიდანვე ასწავლონ მოზარდებს სოციალისტური ცხოვრების წესისადმი პატივისცემა, მეგობართან, თანატოლთან გვერდით დგომა, პრინციპულობა და შეურიგებლობა ყოველგვარ გადაცდომასთან და დარღვევასთან.

მხოლოდ ასე შეიძლება სამართალდარღვევათა პროფილაქტიკა, მოსწავლეთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ქმედითობის ამაღლება.

ანკეტური გამოკითხვის ანალიზი საინტერესო მასალებს იძლევა მოზარდთა სამართლებრივი აღზრდის საქმეში მასწავლებლის როლსა და პასუხისმგებლობაზე. იგრძნობა, თუ რა განსაკუთრებულ ნდობას უცხადებენ მასწავლებელს მოზარდები მაშინ, როცა რაიმე რთულ სიტუაციას გადაეყრებიან. აკი ამიტომაც ისინი სწორედ მათგან მოითხოვენ საჭირო თანადგომას, სასიკეთო რჩევას და სამართლიანობას.

„სკოლაში ბევრჯერ შევხვედრივართ როგორც წვრილმანი ხულიგნობის, ასევე ქურდობის შემთხვევებს — წერს ერთ-ერთი მათგანი — პირდაპირ გასაკვირია, რამ უნდა უბიძგოს მოზარდს ასეთი საშინელებისაკენ და საერთოდ, საიდან მოდის ყველაფერი ეს? ამ დროს ყველაზე მეტადაა საჭირო ისეთი უფროსი მეგობარი, რომელიც სწორ გზაზე დააყენებს მას, ურჩევს

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ მოიქცეს .მასწავლებელს ასეთ ძნელადაღსაზრდელებზე მართლაც განსაკუთრებული ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, მაგრამ ბევრ მათგანს საკუთარი საგნის გარდა არაფერი აინტერესებს. განა მარტო ეს არის მათი მოვალეობა? ვფიქრობთ არა. მასწავლებლებს ყოველდღიური, მჭიდრო კონტაქტი უნდა ჰქონდეთ ბავშვებთან, კარგად უნდა იცნობდნენ თითოეულ მათგანს". „მე მომწონს ამხანაგური, მეგობრული მასწავლებელი, — წერს მეორე — ასეთ აღმზრდელთან მოსწავლე უფრო გულახდილია და ადვილად იღებს მის კეთილ, მშობლიურ, საქმიან დახმარებას. მასწავლებელი ნაკითხი და განათლებული უნდა იყოს, რადგან იგი ცოდნის სარკეა, ცოდნის ჩირაღდანი. განსაკუთრებით მომწონს გარეგნულად და მორალურად შემკული პედაგოგი, ასეთი აღმზრდელი ჩემი ხატება, ჩემი მაგალითია".

გამოკითხულთა 70-მა პროცენტმა ჩათვალა, რომ მასწავლებელი მომთხოვნი, პრინციპული და ზომიერი უნდა იყოს ბავშვებთან ურთიერთობაში, მათში იგი უპირველესად პასუხისმგებლობის გრძნობას უნდა ზრდიდეს, აყალიბებდეს სოციალისტური საკუთრების დაცვა-გაფრთხილების, ყოველდღიური ყოფა-ქცევის უნარ-ჩვევებს, თავდაუზოგავად ზრუნავდეს მომავალი თაობის ზნეობრივი აღზრდისა და ჩამოყალიბებისათვის, ნერგავდეს მათში სამართლიანობის უნარსა და კანონისადმი პატივისცემის შეგნებას.

გამოკითხულ მასწავლებელთა 30 პროცენტი, როგორც ეს მოზარდებშიც გვხვდება, მოსწავლეთა ქცევის წესებს აიგივებს სამართალდარღვევებთან. ეს კი იმის უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ შეუძლებელია ვილაპარაკოთ სამართლებრივი აღზრდის სრულყოფასა და წარმატებებზე, თუ არ გაიზრდება მომთხოვნელობა მასწავლებელთა მიმართ, თუ აღმზრდელი პედაგოგები სათანადოდ არ დაეუფლებიან სამართლებრივი ცოდნის საფუძვლებს, სამართლებრივი აღზრდის ფორმებსა და მეთოდებს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მასწავლებელთა ერთი ნაწილი ზერელე დამოკიდებულებას იჩენს ამ მნიშვნელოვანი საქმისადმი. მაშ რით აიხსნება ის ფაქტი, რომ გამოკითხულთა 20 პროცენტი ადასტურებს თითქოს თავისი მუშაობის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მოზარდების არავითარ დანაშაულს არ შეხვედროდეს, სინამდვილეში კი როგორც ცნობილია, ალბათ არ მოიძებნება სკოლა, სადაც არ ჰყავდეთ ან არ ჰყოლოდეთ ძნელადაღსაზრდელი ან სამართალდამრღვევი არასრულწლოვანი.

მასწავლებელთა უმრავლესობა მოსწავლეთა სამართალდარღვევების ძირითად მიზეზად მიიჩნევს მშობელთა კონტროლისა და ყურადღების შესუსტებას ან მათივე გადაჭარბებულ მატერიალურ უზრუნველყოფას, ცხოვრებით გამედიდურებულთა პირად მაგალითებს ოჯახში და რაც ყველაზე მთავარია, საკანონმდებლო ორგანოების კერძოდ კი არასრულწლოვანთა ინსპექციების არაკომპეტენტურობას, მათ სუსტ მუშაობას. გამოკითხულთა მხოლოდ 10 პროცენტს სჯერა, რომ სამართალდარღვევების მიზეზი სკოლაში აღმზრდელობითი მუშაობის შესუსტების შედეგია. ხშირია შემთხვევა, როდესაც სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის მიზნით ჩატარებული ღონისძიებები ნაკლებეფექტური და უშედეგოა, რადგან სკოლებში იგი უმეტესად მხოლოდ კლასის ხელმძღვანელებს ან პიონერულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს აქვთ დავალებული. პედაგოგთა უმრავლესობა კი არავითარ მონაწილეობას არ იღებს ამ საქმეში და მხოლოდ პერიოდული საუბრებით კმაყოფილდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ ამით არის განპირობებული, რომ გამოკითხულ მასწავლებელთა მხოლოდ 25 პროცენტი ასახელებს სამართალდამრღვევთა მიმართ გატარებულ კონკრეტულ ღონისძიებებს და მიუთითებს გარკვეულ შედეგებზე. თუმცა, 28 პროცენტი იმასაც აღნიშნავს, რომ თავისი პედაგოგიური მუშაობის პრაქტიკაში არცერთი შემთხვევა არ ჰქონია, რომ ძნელადაღსაზრდელის ან სამართალდამრღვევი არასრულწლოვანის მიმართ რაიმე ღონისძიება გაეტარებინოს.

გამოკითხული მასწავლებლები კვლავაც განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ ოჯახისა და მშობლების როლის პასუხისმგებლობის გაძლიერებაზე, საჭიროდ მიიჩნევენ მშობელთა პედაგოგიზაციის სრულყოფას. მათ ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ მოზარდთა სამართლებრივი აღზრდის სრულყოფა და მისი თანმიმდევრულად წარმართვა ადრეული ასაკიდანვე უნდა დაიწყოს, რათა მოსწავლეს თავიდანვე ჩამოუყალიბდეს სამართლებრივი ნორმებისა და საბჭოთა კანონებისადმი პატივისცემა. ძირითადად ეს უნდა მოხდეს კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის პირობებში. აქ უფრო ეფექტურად უნდა გამოვიყენოთ პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების შესაძლებლობანი, მოზარდთა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში აქტიურად მოზიდვის პრაქტიკა, თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენების, შრომითს კოლექტივებთან სკოლების საქმიანი კონტაქტების გაფართოება-გააქტიურების ღონისძიებანი და სხვ.

მოსწავლეთა დამოკიდებულება სამართელბრივი პრობლემებისადმი ნათლად მოწმობს მათ დიდ დაინტერესებას და სამართალში გათვითცნობიერების სურვილს. მაგრამ იმის უარყოფაც არ შეიძლება, რომ მოზარდებში სამართლებრივი მუშაობის გააქტიურებასთან ერთად, რაც განსაკუთრებით ამ ბოლო პერიოდში შეიმჩნევა, ახალგაზრდობის მართლშეგნება მაინც დაბალია, ხოლო ჩატარებული ღონისძიებები ნაკლებეფექტური. ალბათ თვით სამართლებრივი სწავლების პროპაგანდის მეთოდიკაა შესასწავლი და გადასახედი.

მიგვაჩნია, რომ ამ მხრივ გარკვეულ ინტერესს იწვევს ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ მეტად ორიგინალური წამოწყება. როგორც ცნობილია, 1986 წლის პირველი ნომრიდან ჟურნალმა დაიწყო ბეჭდვა სერიალისა „ქმნა მართლისა სამართლისა...“ (ავტორები ე. ყიფიანი, თ. შავგულიძე), რომელსაც მეტად კეთილშობილური მიზანი აქვს დასახული. ავტორებს სურთ შექმნან საყოველთაო ხელმისაწვდომი მხატვრულ-პოპულარული ნაშრომი, სადაც გამოყენებული იქნება საქართველოს სასამართლო პრაქტიკის მდიდარი გამოცდილება, სისხლის სამართლის კანონმდებლობა, აგრეთვე, მეცნიერული და პოპულარული იურიდიული ლიტერატურა. მხატვრულ მხარეს ამ შემთხვევაში გამოყენებითი მნიშვნელობა აქვს, ძირითადი მიზანი კი ისაა, რომ მასებმა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებმა სამართალი ისწავლონ. ნაწარმოები საინტერესოა, ადვილად იკითხება და ყველასათვის გასაგებია. ეს კი ძალიან ბევრ რამეს ნიშნავს.

ცხადია, სამართლის ცოდნის ასეთი ფორმა დამოუკიდებელი და სერიოზული კვლევის საგანია, მაგრამ წინასწარვე შეიძლება ითქვას, რომ იგი თავისი ორიგინალობით და აღქმის სიადვილით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. ვფიქრობთ, რომ სამართლებრივი ცოდნის მიწოდების და საერთოდ, სამართლებრივი აღზრდის ახალი ფორმის ძიების დროს სწორედ საკითხის ამგვარი გადაწყვეტაა საჭირო.

ცეცხლსასროლი იარაღის უნებართვოდ შენახვის პროფილაქტიკის ზოგიერთი საკითხი

მამუკა რაზმაძე,
ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის სახალხო მოსამართლე

სოციალისტური კანონიერების განმტკიცების პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და მათი აღმოფხვრის გზების დადგენას. დანაშაულის თავიდან აცილების რთული ამოცანა ითვალისწინებს ბრძოლას როგორც უკვე ჩადენილ დანაშაულთან, ასევე იმ პირობებთან და მიზეზებთან, რომლებმაც აღნიშნული დანაშაულის ჩადენას შეუწყვეს ხელი. კერძოდ, იარაღის ან ფეთქებად ნივთიერებათა უკანონო ტარების, შენახვის, დამზადების ან გასაღების მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროება იმაში გამოიხატება, რომ იგი ხშირად სხვა მძიმე დანაშაულის ჩადენის გაადვილების წყაროდ და მის ერთერთ პირობად იქცევა.

სწორედ ამიტომ, საბჭოთა სახელმწიფომ თავისი არსებობის პირველივე დღეებიდან ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის, საბრძოლო და ფეთქებადი მასალის შენახვაზე, დამზადებაზე და გასაღებაზე მკაცრი კონტროლი დაამყარა. ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს პირველივე დეკრეტებმა, მკაცრი პასუხისმგებლობა დააწესეს იარაღისა და ფეთქებადი ნივთიერებების უკანონო შენახვის, ჩაუბარებლობისა და გადამალვისათვის[1].

დიდი ყურადღება დაუთმო ამ სახის დანაშაულს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა, თავის 1972 წლის 3 მარტის დადგენილებაში[2]. ამავე საკითხს ეხება საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1972 წლის დადგენილებაც[3].

მიუხედავად იმისა, რომ ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის უკანონოდ ფლობის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა მიმდინარეობს, მისი პროფილაქტიკის გზების ძიება კვლავ აქტუალურ ამოცანად რჩება. ამ მიზნით შევისწავლეთ და განვაზოგადეთ 1984-1985 წლებში საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოებში განხილული ამ კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეები.

გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ სასამართლოები ამ კატეგორიის საქმეებს, ძირითადად, სწორად იხილავენ და სასჯელის სახისა და ზომის შეფარდება ჩადენილი ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროებისა და დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებით ხდება, რაც ამ დანაშაულის პროფილაქტიკაზე დადებით გავლენას ახდენს.

შესწავლილი სისხლის სამართლის საქმეებიდან საქართველოს სსკ 238-ე მუხლის პირველი ნაწილით მსჯავრი დაედო დამნაშავეთა 65,3 პროცენტს,

---

[1] Сборник документов по истории уголовного законодательства СССР и РСФСР 1917—1952 гг. М., Госюриздат, 1953, с. 48.

[2] См.: Сборник постановлении Пленума ВС СССР 1924—1977 гг., ч. 2, М., 1981, с. 321.

[3] საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1972, № 2, გვ. 13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე ნაწილით კი (ძველი რედაქციის მესამე ნაწილი) — 34,7 პროცენტს. ამ მუხლის პირველი ნაწილით თავისუფლების აღკვეთა რეალურად შეეფარდა მსჯავრდებულთა 60 პროცენტს. საქართველოს სსკ 25[1] მუხლი — პირობით თავისუფლების აღკვეთა მსჯავრდებულის შრომაში სავალდებულო ჩაბმით — გამოყენებულია დამნაშავეთა 2,7 პროცენტის მიმართ, ამავე კოდექსის 47[1] მუხლის შესაბამისად, განაჩენის აღსრულება გადაედო 10,5 პროცენტს. საქმის გარემოებებისა და ბრალეულის პიროვნების გათვალისწინებით, საქართველოს სსკ 46-ე მუხლის შესაბამისად, პირობითი მსჯავრი დაედო დამნაშავეთა 1,1 პროცენტს, ხოლო ამავე კოდექსის 45-ე მუხლის თანახმად, საქმის განსაკუთრებული გარემოებებისა და დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებით, სახალხო სასამართლოებმა მსჯავრდებულთა 3,5 პროცენტს კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელი შეუფარდეს.

საქართველოს სსკ 238-ე მუხლის II ნაწილით თავისუფლების აღკვეთა მსჯავრდებულთა 35,6 პროცენტს შეეფარდა, ხოლო 25[1] მუხლი გამოყენებულია მსჯავრდებულთა 4,5 პროცენტის მიმართ. სსკ 28-ე მუხლის შესაბამისად გამასწორებელი სამუშაოები თავისუფლების აღუკვეთლად შეეფარდა დამნაშავეთა 37,8 პროცენტს, დაჯარიმდა 3,3 პროცენტი, ხოლო განაჩენის აღსრულება გადაედო 4,6 პროცენტს.

აღნიშნული კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეების შესწავლით გამოირკვა, რომ დანაშაულის სუბიექტები უმეტესად 25-დან 40 წლამდე ასაკის პირები არიან და დამნაშავეთა 58 პროცენტს შეადგენენ.

საქართველოს სსრ სსკ 238-ე მუხლით მსჯავრდებულთა შორის განათლების დონე საკმაოდ დაბალია: უმაღლესი განათლება აქვს დამნაშავეთა მხოლოდ 6 პროცენტს, არასრული უმაღლესი — 3, საშუალო — 69, ხოლო არასრული საშუალო — 22 პროცენტს. მსჯავრდებულთაგან სკკპ წევრია 4,6 პროცენტი, ხოლო ალკკ წევრი — 8,4 პროცენტი.

მაღალია დანაშაულის რეციდივი. დამნაშავეთაგან ნასამართლევი იყო და წარსულში სასჯელს იხდიდა 35 პროცენტი. საინტერესოა მსჯავრდებულთა სოციალური მდგომარეობა: 47,6 პროცენტი მუშაა, მოსამსახურეა 20 პროცენტი, კოლმეურნე — 14,6, პენსიონერი — 3, დიასახლისი — 1,5 ხოლო 13 პროცენტი დანაშაულის ჩადენის დროს არსად არ მუშაობდა.

მსჯავრდებულთა შორის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ჰქონდა 93,2 პროცენტს, ადგილობრივი მაცხოვრებელია 87 პროცენტი.

სისხლის სამართლის საქმეების ანალიზმა გვიჩვენა, რომ დანაშაულის საგანი, უმეტეს შემთხვევაში, ცივი იარაღია — 33,7 პროცენტი, საბრძოლო მასალა, ვაზნა, ხელყუმბარა — 8,7 პროცენტს შეადგენს, შაშხანა, გლუვი თოფი — 16,2 პროცენტს, რევოლვერი, პისტოლეტი — 21,2 პროცენტს ხოლო თვითნაკეთი ცეცხლსასროლი იარაღი — 11,2 პროცენტს.

მიუხედავად გაწეული სერიოზული მუშაობისა, ამ კატეგორიის დანაშაულთა განხილვისას სახალხო სასამართლოთა საქმიანობაში ჯერ კიდევ არსებობს გარკვეული ნაკლოვანებები.

სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ნოემბრის დადგენილებაში ნათქვამია, რომ სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის უზრუნველყოფისათვის მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესე-

ბის დაცვის საქმეში მუშაობა ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ ვექტიანი და სრულად არ შეესაბამება გარდაქმნისა და განახლების სადღეის მოთხოვნებს. სამართალდაცვითი ორგანოების მუშაობის პრაქტიკიდან მთლად უნდა გამოირიცხოს დაუსაბუთებელ დაკავება-დაპატიმრებათა, სისხლ სამართლის პასუხისგებაში მოქალაქეთა უკანონოდ მიცემის ფაქტები[4]

შესწავლილი სისხლის სამართლის საქმეები გვარწმუნებრომ ზოგ შემთხვევაში ადგილი აქვს უკანონო მსჯავრდებას. მაგალითად: ნ საქართველოს სსკ 238-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის აღსრულება პირობით 2 წლით საგამოცდო ვადით ეცვალა იმისათვის, რომ სათანადო ნებართვის გარეშე ინახავდა მცირეყაბიან შაშხანას, რომელიც ნებაყოფლობით ჩააბარა მილიციის ორგანოს. ეს ცხადია, პირის პასუხისგებაში მიცემას გამორიცხავდა. 238-ე მუხლის მეე ნაწილის (ძველი რედაქციით) თანახმად საქართველოს სსრ უმაღლესი სამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ საქმე შეწყვიტა დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.[5] საქმეთა შესწავლით გამოირკვა, რომ საქართველოს სსრ სსკ 238-ე მუხლით პასუხისგებაში მიცემული არ ოჯახის დიასახლისები და მოხუცები, რაც ეჭვის ქვეშ აყენებს მათი ბრალეულობის საკითხს. მაგალითად, სასამართლომ ვინმე ა. დამნაშავედ სცნო საქართველოს სსრ სსკ 238-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და ამავე კოდექსის 45-ე მუხლის საფუძველზე დააჯარიმა სამასი მანეთით. ა-ს. მსჯავდი დაედო საბრძოლიმახლის, კერძოდ, „ტტ“ სისტემის იარაღის 3 ცალი ვაზნის შენახვისათვის, რომლებიც მისმა მცირეწლოვანმა შვილიშვილმა მოიტანა, პაპამ კი წაართვა. ადამალა კარადის უჯრაში[6].

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ზემოხსენებული დადგენილებით გადაჭრით დაიგმო მოკვლევის, წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს საქმეთა უსაფუძვლო გაჭიანურება. მიუხედავად ამისა, ასეთ დარღვევებს ჯერ კიდევ ხშირად აქვს ადგილი სისხლის სამართლის საქმეთ პრაქტიკაში. მაგალითად, განხილული საქმეებიდან კანონით დადგენილი ათვიანი ვადა დარღვა საქმეთა 22,3 პროცენტზე.

საქმეთა გაჭიანურება, ხშირ შემთხვევაში, სამსჯავ სხდომის მოუმზადებლობით არის გამოწვეული. მაგალითად, თ-ს ბრალ ის საქმე, საქართველოს სსრ სსკ 238-ე მუხლის 1-ლი ნაწილით სახალხ სასამართლოში 1985 წლის 5 დეკემბერს შევიდა, სასამართლო პროცესი 2 დეკემბრისათვის დაინიშნა, მაგრამ საქმის განხილვა 5-ჯერ გადაიდო, აქე 3-ჯერ განსასჯელის, ხოლო 2-ჯერ მოწმეთა გამოუცხადებლობის გამო[7].

საქმის განხილვის გაჭიანურება ზოგჯერ უსაფუძ შეჩერებით არის გამოწვეული. მაგალითად ც-ს ბრალდების საქმე განსალის მეუღლის ზეპირი განცხადების საფუძველზე შეჩერდა, აქაოდა ავად ვა მაშინ, როცა საქმეში არ არის სათანადო სამედიცინო ცნობა განსასჯელისადმყოფობის შესახებ[8].

სისხლის სამართლის საქმეებში ხშირად არ არ დადგენილი და ფიქსი-

---

[4] გაზ. „კომუნისტი“, 1986 წლის 2 დეკემბერი.

[5] ბოლნისის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი, საქ № 1983132.

[6] ქ. ჭიათურის სახალხო სასამართლოს არქივი, საქმე № 4784025.

[7] ზნაურის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი. საქ № 6780.

[8] ქობულეთის რაიონის სახალხო სასამართლოს არქი საქმე № 976.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებული დანაშაულის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, რომლებიც გაეინას ახდენენ სასჯელის განსაზღვრაზე.

ამ კატეგორიის საქმეთა სამსჯავრო და წინასწარი გამოძიების დროს, სათანადო ღონისძიებს არ მიმართავენ იმის დასადგენად, თუ საიდან აქვს დაშნაშავეს ეს იარაღი. ამის გასარკვევად არ იყენებენ შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებულ რტოთეკებს და სხვა მასალებს. ხშირად წინასწარი გამოძიების ორგანოები ღონისძიებებს ანხორციელებენ მხოლოდ მოვალეობის მოხდის ნით და კრიტიკულად არ აფასებენ ბრალდებულთა ჩვენებებს ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის, საბრძოლო მასალის, ან ფეთქებადნივთიერებათა შეძენის შესახებ.

სასამართლო სერიოზულ დარღვევებს უშვებენ ამ კატეგორიის საქმეებზე ნივთმტკიცებათა განკარგვის საკითხის გადაწყვეტისას. როგორც წესი, არ სრულდება შინაგან საქმეთა ინსტრუქციის მოთხოვნა განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის, საბრძოლო მასალისა და ფეთქებადნივთიერებათა განადგურების ან მისი შესაბამის ორგანოსათვის ჩაბარების შესახებ. საქმეებში არ არის ამის დამადასტურებელი აქტები და ცნობებიც. უფრო მეტიც, ზოგჯერ, თვით განაჩენშიც კი არაფერია ნათქვამი ნივთმტკიცებათა განკარგვის თაობაზე.

იარაღის უკანონო ტარების, შენახვის, დამზადების ან გასაღების ფაქტები ხშირად მხოლოდ ეს შემდეგ ვლინდება, როცა ამ იარაღის გამოყენებით უკვე ჩადენილია სხვა, უფრო მძიმე დანაშაული. შესწავლილი სასამართლო პრაქტიკიდან ჩანს, რომ საქართველოს სსრ სსკ 238-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩამდენ პირებს ეშვიათად ავლენენ საზოგადოების წარმომადგენლები, ნეზობლები თუ თანამშრომლები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ჯერ კიდევ ბიკოჭლებს მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდა და პროფილაქტიკური მუშაობა.

იმისათვის, რომ რესპუბლიკის სახალხო სასამართლოებმა კიდევ უფრო გააქტიურონ ბრძოლა ისეთ საშიშ სამართალდარღვევასთან, როგორიცაა იარაღის ან ფეთქებადნივთიერებათა უკანონო ტარება, შენახვა, დამზადება ან გასაღება, საჭიროა საქართველოს სსრ სსკ 238-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ფეთა განხილვისას ზუსტად დავიცვათ სისხლის სამართლის მატერიალური საპროცესო ნორმათა შემდეგი მოთხოვნები:

— ყველა შემთხვევაში ძირფესვიანად და გულდასმით უნდა შემოწმდეს მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოების მიერ ჩატარებული ღონისძიებები იარაღის ძენის წყაროს დასადგენად;

— გადაჭრით გაუბესდეს განსახილველ საქმეთა მომზადების ორგანიზაცია, აღმოიფხვრას ფეთა გაჭიანურებისა და უსაფუძვლოდ შეჩერების ფაქტები;

— მიზანშეწონილია საქმეების განხილვა მოხდეს გამსვლელ სხდომაზე, საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობით, რადგან ასეთი ღონისძიება დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანი საშუალებაა.

— განაჩენის სარეზუტაციო ნაწილში ინსტრუქციის შესაბამისად, უნდა მიეთითოს ნივთმტკიცებანკარგვის თაობაზე, შინაგან საქმეთა ორგანოებს მოეთხოვოთ სათანადო ინფორმაცია მათი განადგურების ან სათანადო წესით ჩაბარების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობა

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევნების შედეგების შესახებ

მონაცემები არჩევნების შედეგების შესახებ ქვეყნდება იმ მასალების მიხედვით, რომლებიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებისა და სახალხო დეპუტატთა საოლქო რაიონული და საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტებისაგან

კვირას, 1987 წლის 21 ივნისს, გაიმართა საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნები.

საარჩევნო კამპანია მიმდინარეობდა დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის ღირსეული შეხვედრისა და 1987 წლისა და მთლიანად მეთორმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის მშრომელთა ბრძოლის ნიშნით.

არჩევნებმა ორგანიზებულად, ამომრჩეველთა დიდი აქტიურობით ჩაიარა. გადაიქცა სოციალისტური დემოკრატიის ჭეშმარიტ ზეიმად, ერთხელ კიდევ დაბეჯითებით ცხადყო რესპუბლიკის მშრომელთა დიდი პოლიტიკური შებნება, ლენინური პარტიის გარშემო მათი მონოლითური შეკავშირება.

ყველა საარჩევნო უბანში კენჭისყრა დაიწყო დილის 6 საათზე და დამთავრდა საღამოს 10 საათზე.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 99,98 პროცენტმა.

სახალხო მოსამართლეობის კანდიდატებს ხმა მისცა ამომრჩეველთა 99,90 პროცენტმა.

სულ საქართველოს სსრ რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოებში არჩეულია 184 სახალხო მოსამართლე. მათ შორის სკკპ წევრი და წევრობის კანდიდატია 176, ანუ 95,6 პროცენტი, ქალი — 42, ანუ 22,8 პროცენტი.

რესპუბლიკის რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოებში სახალხო მოსამართლეთა შემადგენლობა 34,8 პროცენტით განახლდა.

1987 წლის აპრილ-მაისში შრომითს კოლექტივებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში არჩეულ იქნა 12880 სახალხო მსაჯული, მათ შორის: მამაკაცი — 6027, ანუ 46,8 პროცენტი, ქალი — 6853 ანუ 53,2 პროცენტი, სკკპ წევრი და წევრობის კანდიდატი — 5522, ანუ 42,9 პროცენტი, უპარტიო — 7358 ანუ 57,1 პროცენტი, კომკავშირელი — 1389 ანუ 10,8 პროცენტი, მუშა — 3473, ანუ 27 პროცენტი, კოლმეურნე — 1180, ანუ 9,2 პროცენტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ ახლადარჩეულ სახალხო მოსამართლეთა სია

ქ. თბილისი

ლენინის რაიონი

საძაგლიშვილი ვალერიან ივანეს ძე
კობალაძე ლამარა სიმონის ასული
წულუკიანი ავთანდილ ვლადიმერის ძე
დვალიძე გელა გიორგის ძე
აბაკელია ვაჟა ბორისის ძე
ხარებოვა ცისანა ვლადიმერის ასული

პირველი მაისის რაიონი

ერქვანია დავით დავითის ძე
ლომიძე ნაზი ილიას ასული
კვარაცხელია ცეზარ ვალერიანის ძე
კოტრიკაძე მიხეილ მირიანის ძე

კალინინის რაიონი

დევდარიანი ზურაბ თეიმურაზის ძე
ხურციძე იოსებ შოთას ძე
დადიანი სამსონ ცოტნეს ძე
ხაბულიანი ნაირა ერაჯის ასული

კიროვის რაიონი

მახარაძე ალეკო სერგოს ძე
მაზმიშვილი ცირა ვალერიანის ასული
ოთარაშვილი მიშა პავლეს ძე
ჭუმბურიძე თეიმურაზ გრიგოლის ძე

ოქტომბრის რაიონი

ლილუაშვილი გურამ სიმონის ძე
გოგოხია მარინა გალაქტიონის ასული
თევდორაძე მერაბ დურმიშხანის ძე
ბაქრაძე აკაკი პიმენის ძე

ორჯონიკიძის რაიონი

ანდღულაძე თეიმურაზ შოთას ძე
კობახიძე თენგიზ ვიქტორის ძე
გაგუა ვიოლეტა არსენის ასული

26 კომისრის რაიონი

ბარათაშვილი ოთარ მამიას ძე
ლეონიძე ჯემალ ლევანის ძე
გვანცელაძე ალექსანდრე ისიდორეს ძე
ოსიპოვი ალექსანდრე ედუარდის ძე
რაზმაძე მამუკა ვახტანგის ძე
კიკაძე ზურაბ ლევანის ძე

საქარხნო რაიონი

ამბოკაძე ნატალია ნიკოლოზის ასული
შანიძე თეიმურაზ ალექსანდრეს ძე
ადაზიძე ლიანა დავითის ასული
ნადირაძე რევაზ შალვას ძე

გლდანის რაიონი

გოგოტიშვილი კარლო მიხეილის ძე
კოზმანაშვილი შოთა ალექსის ძე
ალანია იური შალვას ძე
რზგოევი ვლადიმერ გიდოს ძე
ფირფილაშვილი ქეთევან მელიტონის ასული

საგურთალოს რაიონი

გაბუნია ზურაბ შალვას ძე
ნარიმანიძე ლეილა ივანეს ასული
ბირკაია ნუგზარ ნიკიტას ძე
ხუნწარია რამაზ არჩილის ძე
ჯიბლაძე რამაზ შოთას ძე

რესპუბლიკის ქალაქების სახალხო მოსამართლეები

ქ. გორი

ბზიშვილი კარლო როსტომის ძე
ჯანელიძე რევაზ პეტრეს ძე

ქ. ზუგდიდი

შეროზია დაზმირ ვლადიმერის ძე
მორგოშია ჯეირან იპოლიტეს ძე

ქ. რუსთავი

მაისურაძე ალბერტ იოსების ძე
პაიჭაძე გრიგოლ კარპეზის ძე
გულედანი მურთაზ არჩილის ძე
ხუბუა ნიკოლოზ გიორგის ძე

ქ. ტყიბული

ჭელიძე როლანდ ვასილის ძე

ქ. ფოთი

გაბუნია მზევინარ შალვას ასული
ბარამია ბორის შალვას ძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. ქუთაისის ლენინის რაიონი

მაღლაკელიძე სერგო კონსტანტინეს ძე
ალფაიძე ნაზიბროლა სევერიანის ასული
კილასონია გიული ვალიკოს ძე

ქ. ქუთაისის ავტოსაძარხნო რაიონი

შენგელია ავთანდილ ფარსადანის ძე
თოდრია ინგა ალექსის ასული
ჭუმბურიძე ლუარა ლევანის ასული
ფილიპაშვილი გურამ ლევანის ძე

ქ. ფუალტუგო

შენგელია ოთარ აკაკის ძე
მამაგეიშვილი ლია სერგოს ასული

ქ. მარნეული

მუსტაფაევი ნასრედინ ყაზიმ-ოღლი

ქ. ჭიათურა

სხირტლაძე გოჩა ნოდარის ძე
ცხადაძე კაზმერ ანდრიეს ძე

რესპუბლიკის რაიონების სახალხო მოსამართლეები

აბაშის რაიონი

ჩაჩავა ბადრი ბორისის ძე

ადიგენის რაიონი

ჩაფიძე ნელი ჭიჭიკოს ასული

ამბროლაურის რაიონი

ყაველაშვილი ალფეოზ ტოპიშის ძე

ასპინძის რაიონი

ლონდარიძე გიორგი გრიგოლის ძე

ახალქალაქის რაიონი

მანუკიანი სუსანა ვაროსის ასული

ახალციხის რაიონი

მაზმიშვილი ამირან ივანეს ძე

ახმეტის რაიონი

თურმანაული ნიკოლოზ ხუმარის ძე

გოგდანოვკის რაიონი

ჩობანიანი არარატ გარნიკის ძე

გოლნისის რაიონი

არუთინიანი სერგო ვაგანის ძე
გრძელიშვილი იზოლდა ნიკოლოზის ასული

გორჯომის რაიონი

ჯაფარიძე თენგიზ პავლეს ძე
ნოზაძე დავით აბესალომის ძე

გარდაბნის რაიონი

ხაბაშვილი გივი ვასილის ძე
დაშთამიროვი ელდარ გაჯის ძე
ლუაშვილი ქეთევან სოსოს ასული
წურწუმია ბესარიონ ოთარის ძე

გეგეჭკორის რაიონი

კაკულია მუხრან პორფილეს ძე

გორის რაიონი

სოსიაშვილი იოსებ ალექსის ძე
ძლიერიშვილი ჯემალ ალექსის ძე

გურჯაანის რაიონი

ლაპიაშვილი მიხეილ ნიკოლოზის ძე
ღვალაძე მაგული შალვას ასული

დმანისის რაიონი

ციხელაშვილი დიმიტრი ლევანის ძე

დუშეთის რაიონი

ფხალაძე მირიან ტარიელის ძე

ვანის რაიონი

კოვზირიძე დავით დავითის ძე

ზესტაფონის რაიონი

კუპატაძე ლოტბერდ სერგოს ძე
ბოგვერაძე ზინაიდა დარმანტის ასული

ზუგდიდის რაიონი

არნანია ნუგზარ კონსტანტინეს ძე
არონია ნაზი თეოფანეს ასული

თეთრიწყაროს რაიონი

დარჩიაშვილი თამაზ ილიას ძე

თელავის რაიონი

პოპიაშვილი მურად გიორგის ძე
გარსევანიშვილი ლეილა ვახტანგის ასული

ეროვნული ბიბლიოთეკა

თიანეთის რაიონი

ჯაბანაშვილი გივი გიორგის ძე

კასპის რაიონი

შაყულაშვილი ნოდარ არჩილის ძე
ხორგუაშვილი თენგიზ სერგოს ძე

ლაგოდეხის რაიონი

ხუციშვილი ნუგზარ ფორეს ძე
ჩალათაშვილი ნადეჟდა ბიჭიკოს ასული

ლანჩხუთის რაიონი

გვარჯალაძე ვლადიმერ კუკურის ძე

ლენტეხის რაიონი

უშხვანი ოლღა სოგრატის ასული

მაიაკოვსკის რაიონი

ჩინჩალაძე ნუგზარ ვალერიანის ძე

მარნეულის რაიონი

პეტრიაშვილი ნოდარ ვასილის ძე
ალიევი იდაიატ ალეკბერ-ოღლი

მახარაძის რაიონი

თოიძე ავთანდილ თეიმურაზის ძე
ჯანელიძე მედეა ისიდორეს ასული

მესტიის რაიონი

სუბელიანი მარინა რაჟდენის ასული

მცხეთის რაიონი

აბესაძე თეიმურაზ დავითის ძე
ჯერვალიძე თეიმურაზ ნიკოლოზის ძე
ჭაფოძე მედეა შალვას ასული

ონის რაიონი

ჩიკვილაძე ნოდარ ონისიმეს ძე

ორჯონიკიძის რაიონი

ზვიადაძე ნათელა გივის ასული

საგარეჯოს რაიონი

გურჯიძე გუნზარ ნოეს ძე
კერატიშვილი რობერტ სერგოს ძე

სამტრედიის რაიონი

ყუფარაძე ლუიზა შოთას ასული

ცაცუა მარლენ კონდრატეს ძე
რუხაძე ზურაბ ევგენის ძე

საჩხერის რაიონი

ზაბახიძე ნუგზარ ვახტანგის ძე

სიღნაღის რაიონი

გუგუნაშვილი ნანა ივანეს ასული
ბეგიაშვილი იოსებ გიორგის ძე

ქარელის რაიონი

რამიშვილი ზაზა ანზორის ძე
ქოქოევი თამაზ სოსლანის ძე

ყაზბეგის რაიონი

ჯანუკაშვილი ლალი იაგოს ასული

ყვარლის რაიონი

ბერიაშვილი გიორგი იოსების ძე

ჩოხატაურის რაიონი

კოვზირიძე პავლე სულიკოს ძე

ჩხოროწყუს რაიონი

ადამია ჯემალ მამიას ძე

ცაგერის რაიონი

სტურუა მიტროფანე გრიგოლის ძე

ცხაკაიას რაიონი

კუჭავა ომარდი ვახტანგის ძე
სალაყაია ინეზა ირაკლის ასული

წალენჯიხის რაიონი

ჩიქობავა ვალერიან ვლადიმერის ძე
გურჩიანი გულივერ გულიას ძე

წალკის რაიონი

ჩერტანასოვა აფინა ფეოხარის ასული

წითელწყაროს რაიონი

ყავრელაშვილი გიორგი იროდიონის ძე

წულუკიძის რაიონი

გაბეჩავა ომარ გიორგის ძე
გოგაია მზია ვარლამის ასული

ხაშურის რაიონი

მუღალაშვილი ომარ იოსების ძე
კოფორიძე კუკური ივანეს ძე

ხობის რაიონი

კოდუა ვახტანგ გიორგის ძე

აფხაზეთის ასსრ

ქ. სოხუმი

ადეიბა შალვა კისკინჯის ძე
ავიძბა ალა ოთარის ასული
სოხაძე რევაზ ივანეს ძე
მიქაია ზაურ ალექსანდრეს ძე
ალიუტინა ნატალია ნიკოლოზის ასული

ქ. ტყვარჩელი

კუპრავა კოჩია თეიმურაზის ძე

სოხუმის რაიონი

ჭანტურია ვლადიმერ პროკოფის ძე

გაგრის რაიონი

გავაშელაშვილი ნიკოლოზ ემილიანეს ძე
საჯაია ვლადიმერ ალექსანდრეს ძე
ხიშბა ფატიმა ფილიპეს ასული
ქეცბა ასტამურ შამილის ძე

გუდაუთის რაიონი

ბიგვავა აკაკი მიხეილის ძე
ლაკერბაია თენგიზ იგორის ძე
მუკბა მერი რომანის ასული

გულრიფშის რაიონი

ხაბურზანია ნური მიხეილის ძე
არაქელიანი რაზმიკ მინასის ძე

გალის რაიონი

სიჭინავა რუბენ დოროთეს ძე
ტურავა შალვა პლატონის ძე

ოჩამჩირის რაიონი

ქეცბაია ჯუმბერ ივანეს ძე
სალია რაუდენ პროკოფის ძე

აჭარის ასსრ

ქ. ბათუმი

კომახიძე ამირან მამიას ძე
ნაკაშიძე მამია ახმედის ძე
ლომთათიძე სოსო ივანეს ძე
ბეჟანიძე ავთანდილ მიხეილის ძე

ქედის რაიონი

ანანიძე დავით ხალილის ძე

ხელვაჩაურის რაიონი

ბერიძე შოთა ფელულოს ძე
ჯორთმენაძე თამაზ დავითის ძე

ქობულეთის რაიონი

ჯაფარიძე როსტომ გიორგის ძე
ტაკიძე რევაზ ასლანის ძე
მემარნე რეზო უსუფის ძე

შუახევის რაიონი

ქადაგიძე მურმან იურის ძე

ხულოს რაიონი

ბოლქვაძე ომარ დავითის ძე

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი

ქ. ცხინვალი

ვანეევი სვეტლანა ნიკიფორეს ასული
ქელეხსაევი ვალენტინ ვლადიმერის ძე

ცხინვალის რაიონი

გოჩაშვილი ნიკოლოზ სოლომონის ძე

ლენინგორის რაიონი

ნიაური ეუეუნა ისაკის ასული

ზნაურის რაიონი

ტერაშვილი აკაკი ლევანის ძე

ჯავის რაიონი

გაბარაევი ურუზმაგ იასონის ძე
ფარასტაევი ალან ივანეს ძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ილიას საიუბილეოდ

ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებები*

გიორგი სოსელია

I მართლმსაჯულების ორგანიზაცია

1) ადგილობრივი სასამართლო დაწესებულებანი

თავის შემოქმედებასა და პუბლიცისტურ წერილებში ილია ჭავჭავაძე დიდ ყურადღებას უთმობს მართლმსაჯულების საკითხებს: სასამართლო დაწესებულებების ორგანიზაციას, მართლმსაჯულების აღსრულების წესს, სასამართლო წყობილებისა და სამართალწარმოების მოქმედ დებულებათა ანალიზს. ამას ეძღვნება მისი ორი წერილი სერიიდან „ცხოვრება და კანონი“ (1877-1881) და ნარკვევი „საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიკური მიზეზები“ (1897). მართლმსაჯულების საკითხები აღძრულია მის სხვა ნაწერებშიც.

ი. ჭავჭავაძის შეხედულებანი მართლმსაჯულების საკითხებზე ძირითადად საქართველოში სასამართლოს რეფორმის განხორციელებას ეხება.

1864 წლის სასამართლოს რეფორმა რუსეთში, სასამართლო წყობილებისა და სამართალწარმოების ლიბერალურ-ბურჟუაზიული გარდაქმნა, როგორც ცნობილია, 60-იანი წლების „დიდი“ რეფორმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რგოლს წარმოადგენდა. თვითმპყრობელობამ, რომელიც იძულებული იყო შეგუებოდა ახალი ისტორიული პირობების სახელმწიფო ორგანიზაციას, განვითარებადი კაპიტალიზმის საჭიროებებისათვის, დიდი ნაბიჯი გადადგა მართლმსაჯულების გადახალისების, „რუსეთის მოქალაქეობრივი განახლების“ საქმეში. ძველი, დრომოჭმული ფეოდალური სასამართლო ევროპული ტიპის სასამართლო დაწესებულებებით შეიცვალა. პირისაგან მიწისა აღიგაჟა „უგვანი ნაშთი ძველი დროებისა“ (ი. აქსაკოვი). სასამართლო წყობილების ძველი, ვიწროწოდებრივი სისტემის, მთლიანად ადმინისტრაციაზე დამოკიდებული სასამართლოს, მრავალრიცხოვანი სასამართლო ინსტანციების, ინკვიზიციური პროცესის ნაცვლად შემოღებულ იქნა არაწოდებრივი, ადმინისტრაციისაგან დამოუკიდებელი, უცვლელი, ღია და საჯარო სასამართლო შეჯიბრებითი პროცესი («С состязательным процессом») დაწესდა აგრეთვე (საოლქო სასამართლოში) ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.

თუმცა, ახალი სასამართლო დაწესებულებების ამ ძირითადმა პრინციპებმა ჯერ კიდევ 1864 წლის სასამართლო წესდებებში განიცადა არსებითი შეზღუდვები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ წოდებრივ პრივილეგიებს გაბატონებული კლასისათვის და დროთა განმავლობაში ეს შეზღუდვები კიდევ უფრო საგრძნობი გახდა, მათ ასეთი შეზღუდული სახითაც არ მიუღწვიათ რუსეთის იმპერიის ძალზე ბევრ ადგილამდე. ახალი სასამართლო დაწესებულებების შემოღება რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე, როგორც ცნობილია, XIX საუკუნის დამლევამდე გაჭიანურდა. მაგრამ ამ დროისათვისაც მათ ერთობ მნიშვნელოვანი ცვლილებებით და დამატებითი შეზღუდვებით მიაღწიეს ბევრ მხარეს.

მნიშვნელოვანი ცვლილებებით, ფრიად საგრძნობი შეზღუდვებით და დამახინჯებებით ჩატარდა სასამართლოს რეფორმა კავკასიაშიც და კერძოდ, საქართველოში...

ი. ჭავჭავაძე მოკლედ აანალიზებს რუსეთის 1864 წლის სასამართლო რეფორმას და დაწ-

---

* სტატია წარმოადგენს ერთ ნაწილს განსვენებული პროფესორის, გიორგი ქუთიას ძე სოსელიას (1897-1961 წწ.), გამოუქვეყნებელი მონოგრაფიიდან „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებები“. მართალია ამ მონოგრაფიაში აღძრული საკითხებისადმი მიძღვნილი ლიტერატურა ბოლო ათწლეულებში მნიშვნელოვნად გამდიდრდა მთელი რიგი გამოკვლევებით (ს. ჯორბენაძე, ვ. აბაშმაძე. ვ. მეტრეველი, ვ. ყვანია, ნ. კევლიშვილი, გ. ნადარეიშვილი...) მაგრამ გ. ქ. სოსელიას შრომა დღესაც ინარჩუნებს თავის მეცნიერულ ღირებულებას. სწორედ ამან განაპირობა მისი პუბლიკაციაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვრილებით ეხება საქართველოში ამ რეფორმის განხორციელების საკითხს ადგილობრივი სასამართლო დაწესებულებების — სამომრიგებლო და სასოფლო სასამართლოების მიმართ.

მართლმსაჯულებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და სახელმწიფოს წარმატებისათვის, განმარტავს ი. ჭავჭავაძე. მართლმსაჯულების არასწორი ორგანიზაცია დიდად ამუხრუჭებს საზოგადოებრივი ცხოვრების პროგრესს, ხალხის ეკონომიკურ განვითარებას. მხოლოდ მტკიცე კანონებს, მიუკერძოებელ, ობიექტურ მართლმსაჯულებას შეუძლია განუმტკიცოს ადამიანს საზოგადოებრივი ურთიერთობების სიმყარის რწმენა, იმის რწმენა, რომ მისი უფლებები დაცული იქნება, რომ იგი თავისას არ დაკარგავს. ამ რწმენის გარეშე ფერხდება ადამიანის ნორმალური საქმიანობა, ბრკოლდება ხალხის სიმდიდრის ზრდა. ქვეყნის აყვავება[1]. ამ თვალსაზრისით რუსეთის 1864 წლის სასამართლო რეფორმა, რომელიც განვითარებადი ეკონომიკური წყობის მოთხოვნილებებმა განაპირობა, „არის ჭეშმარიტი ნაყოფი მეცნიერებისა და ევროპის ცივილიზაციის გამოცდილებისა“[2]— წერს ი. ჭავჭავაძე.

იგი ააშკარავებს სასამართლო რეფორმის წინააღმდეგ გამოთქმულ მოსაზრებების უსაფუძვლობას, ამზეურებს ახალი სასამართლო დაწესებულებების მოწინააღმდეგეთა რეაქციულ ზრახვებს[3].

ი. ჭავჭავაძე მაღალ შეფასებას აძლევს სასამართლოს რეფორმას რუსეთში და აღნიშნავს, რომ ახალი სასამართლო დაწესებულებები უდიდეს ნაბიჯს დგამენ წინ სასამართლო დაწესებულებების ძველ სისტემასთან შედარებით, თუმცა ამ ახალი დაწესებულებების ნაკლოვანებებსაც წარმოაჩენს. ისინი ზოგადად, წერს იგი, „უფრო მოსაწონია, ვიდრე დასაწუნი“, რაკი უზრუნველყოფენ „ც ო ტ ა დ თ უ ბ ე ვ რ ა დ“ სწორ მართლმსაჯულებას[4]. მაგრამ მთავარი გასაჭირი ის არის, რომ საქართველოს მიმართ ახალი სასამართლო სისტემა მოკლებულია სწორედ ამ მოსაწონ მხარეს, მას არ ახასიათებს „უკეთესნი თვისებანი და ღირსებანი“, „ის აზრიც, ის საფუძველიც, ის საწადელიც, რომელიც სულია და ხორცი ამ ახალი წესისა“[5].

მართლაც, „სასამართლო დაწესებულებების შემოღების“ ახალი წესდებით რუსეთის იმპერიის ბევრ ადგილში, მათ შორის კავკასიის მხარეშიც, შემოიღეს „სასამართლო დაწესებულებების განსაკუთრებული დადგენილებანი“, რომელთა მიხედვით:

1. ამიერკავკასიაში უქმდება მოსამართლის შეუცვლელობა, რაც გარანტირებულია ცენტრალური რუსეთისათვის 243 მუხლით (მუხლი 448);

2. ამიერკავკასიაში უქმდება მომრიგებელი მოსამართლის არჩევითობა, რაც გარანტირებულია ცენტრალური რუსეთისათვის მე-10-ე მუხლით. მომრიგებელ მოსამართლეს იუსტიციის მინისტრი ნიშნავს (მუხლი 247);

3. სისხლის სამართლის საქმეები, რომლებსაც მომრიგებელი მოსამართლე აღარ განაგებს, (მე-7 მუხლისაგან განსხვავებით) კავკასიაში იწარომება ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე (მუხლი 437);

4. ამიერკავკასიაში უქმდება მუხლები 202-207, 210 და 211, რომლებიც მოითხოვენ იურიდიულ განათლებას სასამართლოსა და საპროკურორო ზედამხედველობის მუშაკებისათვის (მუხლი 448);

5. ამიერკავკასიაში უქმდება „სამოქალაქო სამართალწარმოების წესდების „130-ე მუხლი, რომელიც მომრიგებელ მოსამართლეს უფლებას აძლევს იხელმძღვანელოს გარკვეულ შემთხვევებში საყოველთაოდ ცნობილი ადგილობრივი ჩვეულებებით.

შეტანილია აგრეთვე სხვა ნაკლებმნიშვნელოვანი ცვლილებები და შეზღუდვებიც.

სამომრიგებლო სასამართლოს ორგანზიაციის მაგალითით ი. ჭავჭავაძე ცხადყოფს, რომ საქართველოში ხალხი მოკლებულია იმ სიკეთეს, რომელსაც მეტნაკლებად მაინც იძლევა მართლმსაჯულების წესი რუსეთში.

მომრიგებელი მოსამართლე ჩვენში ხელფეხშეკრულია, — წერს იგი,— იგი თავის სიმაღლეზე ვერ დგას, ხალხის ორგანოს არ წარმოადგენს და ამიტომაც „ჩვენებურს ხალხს, როგორც სიკვდილი — ისე ეჯავრება“ მასთან „სიარული, და თუ ძალიან არ გაუჭირდა, ხელში თოკი არ მოეჭირა, ძნელად თუ ჰბედავს

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული რედაქციით, ტ. VIII, თბილისი, 1928, გვ. 95-96.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 77-78.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 78-80.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 78, 98.

[5] ი ქ ვ ე, გვ. 80-81.

კრებული პ. ინგოროყვასა და ალ. აბაშელის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომრიგებელ მოსამართლის ხელში ჩავარდნას"[6].

ახალი სასამართლო დაწესებულებების მთელი დედააზრი ის არის, რომ: ა) სასამართლო ახლოს უნდა იყოს ხალხთან, ყველას ნებისმიერ დროს და ყველაზე უმნიშვნელო საქმეზეც კი უნდა მიუწვდებოდეს ხელი მასზე; ბ) სასამართლოში ისეთი გამარტივებული წარმოება უნდა იყოს, რომ თითოეულ ნაკლებ გათვითცნობიერებულ კაცს თვითონ შეეძლოს საკუთარი საქმის გაძღოლა; გ) სასამართლოს ხელს არ უნდა უშლიდეს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ფორმალურობა სიმართლის გამორკვევისას; დ) სასამართლო უნდა ხელმძღვანელობდეს ადგილობრივი გარემოს, ადგილობრივი მოსახლეობის ზნე-ჩვეულებებისა და ადათ-წესების ცოდნით; ე) მართლმსაჯულება მინდობილი უნდა ჰქონდეს ისეთ კაცს, რომელსაც მოსახლეობა იცნობს, პატივს სცემს და სავსებით ენდობა, და რომელიც, თავის მხრივ, კარგად იცნობს მოსახლეობას და, როგორც ადგილობრივი მცხოვრები, დაინტერესებულია თავისი მხარის კეთილდღეობით... „თითქმის ყოველივე ესე, — დასძენს ი. ჭავჭავაძე, — ჩვენში სრულად შეიცვალა... შეიცვალა კი არა, ქერეჭი დარჩა და გული კი გამოეცალა"[7].

1. „სასამართლო დაწესებულებათა დადგინების" მე-10-ე მუხლის თანახმად, მომრიგებელ მოსამართლეს ირჩევენ (სამაზრო საერობო კრებებზე და ქალაქების სათათბიროებში). ეს დებულება საქართველოში უქმდება. „ამისი მიზეზი სხვა ვერა მოგვისაზრებია რა, გარდა იმისა, რომ ხალხს ვერ ენდობიან", — განმარტავს ი. ჭავჭავაძე, — ფიქრობენ, რომ თავისი ჩაომრჩენილობისა და მოუმზადებლობის გამო ხალხს არ ძალუძს მოსამართლედ ღირსეული კაცის არჩევა[8]. მაგრამ, ჯერ ერთი, — აღნიშნავს იგი, — ყოვლად უმართებულოა საქართველოს მიჩნევა უფრო ჩამორჩენილ ქვეყნად, ვიდრე რუსეთის ბევრი მხარეა, და მეორეც — გაუნათლებლობა და ჩამორჩენილობა აქ არაფერს შუაშია: „საზოგადოდ ცნობილია, რომ ადამიანი თვით ისტორიის პირველ ხანებში... როცა ფეხიც არ დაედგა ცივილიზაციის გზაზედ... მოსამართლეს, თუ არ არჩევანით, სხვაფრით არ განიწესებდა"[9].

ი. ჭავჭავაძე იცავს სასამართლო დაწესებულებების ადგილობრივი ორგანოების და, მათ შორის, მომრიგებელი მოსამართლის არჩევითობის პრინციპს. მართლმსაჯულების ორგანიზაციის საქმე ადგილებზე ხალხის ადგილობრივი თვითმმართველობის ხელში უნდა იყოს. „მომრიგებელი მოსამართლე თითონ მცხოვრებლებმა უნდა აღმოირჩიონ ხოლმე თვის შორის"[10].

2. ი. ჭავჭავაძე განსაკუთრებით არის აღშფოთებული იმ გარემოებით, რომ მომრიგებელ მოსამართლეს არამცთუ ადგილობრივი მოსახლეობა არ ირჩევს, არამედ მას საერთოდ არა ადგილობრივ მოსახლეთაგან ნიშნავენ. „ამის გამო ხშირია ჩვენში, აღნიშნავს იგი, რომ იაროსლაველი კაცი სვანებს, მაგალითად, ანუ ფშავხევსურებს მოსამართლედ ენიშნება"[11].

ი. ჭავჭავაძე ააშკარავებს არარუსულ (инородных) მხარეებში ცარიზმის ასეთი პოლიტიკის მთელ მზაკვრობას. „ახლად შემოერთებულ ქვეყანას კალიასავით მიესია თურმე ყველა კალიაზედ უფრო მსუნაგი, უფრო გაუმაძღარი წვრილი ჩინოვნიკობა, — წერს იგი სხვა ადგილას (1879), — საცა გამოუსადეგი, უხეირო, თავზედ-ხელაღებული იყო, იმ ახალ ქვეყნებში მოხელეობა მიიღო. აბა რა კეთილს დააყრიან ხალხს?"[12].

„რაღა შეუძლია არგოს ხალხს მოხელემ და, მეტადრე მოსამართლემ, — აღშფოთებას გამოთქვამს ი. ჭავჭავაძე, — თუ მას ენა მოჭრილი აქვს და ყური დახშული, „რაღას უნდა გამოელოდეთ მისგან კარგსა და კეთილს, თუნდა სხვაში ყველაფერში ციდამ ჩამოსულიც იყოს. მოსამართლეს რომ თავის ყურით არ ესმოდეს მოჩივარის საჩივარი..., რა მოსამართლეა?" მან „საჭიროა კარგად იცოდეს აქაურის ხალხის ვითარება, ჩვეულება, ტკივილი და სიხარული და... ხალხს უშუამავლოდ ელაპარაკოს"[13]. არადა საქართველოში ხომ სწორედ ასეთი მოსამართლეები არიან, ადამიანები, რომლებმაც არ იციან ადგილობრივი მოსახლეობის არც ენა. არც ადათ-წესები, არც ზნე-ჩვეულე-

[6] იქვე, გვ. 86-99.
[7] იქვე, გვ. 86-87.
[8] იქვე, გვ. 90-91.
[9] იქვე, გვ. 91-93.
[10] იქვე, გვ. 44-45.
[11] იქვე, გვ. 88-89.
[12] თხზ., ტ. VI, გვ. 38-39.
[13] იქვე, გვ. 42-43 და სხვ.

ბები! განა შეუძლია ასეთ მომრიგებელ მოსამართლეს თავისი ძირითადი ამოცანის შესრულება-მოდავე მხარეების მორიგება?"[14].

ი. ჭავჭავაძეს მოჰყავს ამიერკავკასიის 1869-1875 წლების სასამართლო ანგარიშების ანალიზის მონაცემები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ პირველ სამ წელიწადში, როცა მომრიგებელ მოსამართლეებად ჯერ კიდევ ადგილობრივი მკვიდრნი ინიშნებოდნენ, მხარეთა მორიგებით დამთავრებულ საქმეთა რიცხვი შეადგენდა გარჩეული საქმეების საერთო რიცხვის 34, 5/6 პროცენტს, ხოლო 1875 წელს, როცა გაუქმდა მომრიგებელ მოსამართლეებად ადგილობრივი პირების დანიშვნის პრაქტიკა, ასეთი საქმეების რიცხვი შემცირდა 20, 1/5 პროცენტამდე, ანუ თითქმის ორჯერ, თუმც კი, ეს მაჩვენებელი, პირიქით, უნდა გადიდებულიყო, ვინაიდან გაიზარდა მომრიგებელ მოსამართლეთა რიცხვი[15].

3. ი. ჭავჭავაძე ყურადღებას მიაპყრობს მართლმსაჯულების საქმის ორგანიზაციის ისეთ მხარეს, როგორიცაა მანძილი დასახლებულ ადგილსა და სასამართლოს ადგილმდებარეობას შორის. რაგინდ კარგად, მარტივად, ყველასათვის ხელმისაწვდომად იყოს ორგანიზებული სამართალწარმოება, თუ სასამართლო დაწესებულება ახლოს არ არის იმასთან, ვინც უნდა ისარგებლოს ამ დაწესებულებით, მაშინ მართლმსაჯულება მიზანს ვერ მიაღწევს, ვინაიდან, — განმარტავს იგი, — ადამიანს სულაც არ აძლევს ხელს წვრილმანი, უმნიშვნელო საქმეების გამო შორს იაროს და იქ ეძებოს სამართალი. არადა ცხოვრებაში, ადამიანის ყოველდღიურ საქმიანობაში, ეს „წვრილმანები" დიდ როლს ასრულებენ, და სწორედ ისინი „შეადგენენ საკუთრივ ხალხის ზნეობითსა და ქონებითს სიმდიდრეს". და თუ ასეთი საქმეების გამო მართლმსაჯულების ახლოს ძებნა შეუძლებელია, მაშინ მართლმსაჯულება საერთოდ არ არსებობს[16].

ი. ჭავჭავაძეს მოჰყავს 100-150 კილომეტრზე გადაჭიმული მაზრების მაგალითი, სადაც მხოლოდ ორ-ორი მომრიგებელი მოსამართლეა, რაც სრულიად არასაკმარისია ესოდენ ვრცელ ტერიტორიაზე განსახლებული ხალხის მოსამსახურებლად. „თუ სამართალი ასეთია, — იმეორებს იგი კიდევ ერთხელ, — რომ მისი არც კარგი სჯერათ და არც ავი, მაშინ, ყოველფერი ამაოა"[17].

4. ი. ჭავჭავაძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სამართალწარმოებას, საქმის გაძღოლ, პროცესს სამომრიგებლო სასამართლოში. ი. პროტესტს აცხადებს სამართალწარმოებაში ფორმალიზმის წინააღმდეგ. ახალი სასამართლო დაწესებულებების ეროვ-ერთ უდიდეს დამახინჯებად საქართველოში ეს მიაჩნია „სამოქალაქო სამართალწარმოების წესდების" 130-ე მუხლის გაუქმება, რომელიც მომრიგებელ მოსამართლეს, თუმც კი ძალზე იშვიათ შემთხვევებში, მაგრამ მაინც აძლევდა საყოველთაოდ ცნობილი ადგილობრივი ჩვეულებებით ხელმძღვანელობის უფლებას. მარტოოდენ კანონებით, ამტკიცებს ი. ჭავჭავაძე, მომრიგებელი მოსამართლე ვერ დაკმაყოფილდება. მარტოოდენ კანონებს არ ეალუძთ ადგილობრივი ყოფის მრავალფეროვნების, ადგილობრივი ეკონომიკური ცხოვრების თავისებურების ამოწურვა. სასამართლოს უფლება უნდა ჰქონდეს იხელმძღვანელოს ადგილობრივი ჩვეულებებით, ადგილობრივი არსებული ადამიანთა ურთიერთობის წესით[18].

ი. ჭავჭავაძე ილაშქრებს ფორმალურ მტკიცებულებათა თეორიის წინააღმდეგ, რომელიც გაბატონებული ყო რეფორმამდელი სასამართლოს პროცესში. საქმის გადაწყვეტისას სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს არა ფორმალური საფუძვლით (მტკიცებით), არამედ ზოგადად ყველა ფორმებით, რომლებსაც შეუძლიათ შუქი მოჰენონ საქმეს. სასამართლო არ უნდა იყოს შეზღუდული არავითარი ფორმალობებით. მისი ეხედულება უნდა ემყარებოდეს, მეცნიერები მოთხოვნათა გათვალისწინებით, საქმესთან აკავშირებული ყველა ფაქტის შესწავლას, რომელთა შორის მთავარი ადგილი უკავია ადგლობრივ ზნე-ჩვეულებებს, ცხოვრების ეკონოკურ პირობებსა და ადამიანების ურთიერთობას[19].

5. 1865 წელს, „დებულებით სასფლო საზოგადოებების, მათი საზოგადოებრი მმართველობისა და სახელმწიფო და ზოგადო ბეგარების შესახებ", საქართველოში (ეუსეთის 1861 წლის დებულების მსგავსად) მოიღეს სასოფლო სასამართლო, რომელიც განაგებდა გლეხთა შორის დავასა (საჩივ-

---

[14] თხზ., ტ. VIII, გვ. 99-102.
[15] იქვე, გვ. 102-103.
[16] იქვე, გვ. 82-83, 86, 93-94.
[17] იქვე, გვ. 94-95.
[18] იქვე, გვ. 103-109.
[19] იქვე, გვ. 104 და შემდგომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეს მათი ნაკლებმნიშვნელოვანი დანაშაულობის თაობაზე.

დგილობრივი თვითმმართველობისადმი მიძღვნილ სტატიებში ი. ჭავჭავაძე მკვეთრად აკრიტიკებს ამ ახალ სასამართლო დაწესებულებას.

ი. ჭავჭავაძე უწინარეს ყოვლისა ყურადღებას მიაპყრობს სასოფლო სასამართლოს წოდებრივ ხასიათს, რაც არღვევს ახალი სასამართლო დაწესებულებების არაწოდებრობის ზოგად პრინციპს. ახალ სასოფლო სასამართლო დაწესებულებაში, აღნიშნავს იგი, აწარად ირღვევა კანონის წინაშე ყველას თანასწორობის პრინციპი. სასოფლო სასამართლოს იურისდიქციას მარტო გლეხები ექვემდებარებიან, მარტო მათზე ვრცელდება მისი ძალა-უფლება. იმ შემთხვევაში, როცა გლეხი რაიმეს დაუშავებს სხვას, დაარღვევს თავის ვალდებულებას, მისგან დაკმაყოფილება სასოფლო სასამართლოში შეუძლია ითხოვოს ყველამ თავადმაც, აზნაურმაც, მღვდელმა და დიაკვანმაც, ბდუქნელმაც. მაგრამ თვით გლეხს უფლება არა აქვს ითხოვოს ასეთივე დაკმაყოფილება ამ უკანასკნელთაგან სასოფლო სასამართლოში. საამისოდ მან ათობით კილომეტრი უნდა ირბინოს მომრიგებელ მოსამართლესთან. „ეს ყველა იმისთანა მძიმე რამ არის გლეხისათვის — განმარტავს ი. ჭავჭავაძე, — რომ მის გამო გლეხი უფრო ხშირად იძულებულია თვისი დაჩაგვრა არა-გლეხისაგან გულში გაბოროტებით ჩაიმარხოს, ხელი აიღოს საჩივარზე, გული აიყაროს კანონზედაც, რომელიც მისთვის ისე მიუწვდომელია, როცა დიდი სჩადავს... სამმართველოზედაც, რომელიც ულიმა დიდის წინაშე“[20].

ი. ჭავჭაძე იცავს დებულებას, რომ სასოფლო სამართლო, ისევე როგორც მთელი ადგილობრივი მმართველობა, მოცემული ტერიტორიის მთელი მოსახლეობის არაწოდებრივი ორგანო იყოს[21].

სასოფლო სასამართლოს ორგანიზაციის ერთ-ერთ არსით ნაკლად ი. ჭავჭავაძე თვლის აგრეთვე სი და სოფლის მამასახლისის კომპეტენციის გამიჯვნის გაურკვევლობას. იგი აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ ორივე ორგანო — სოფლის მოსამართლესაც და მამასახლისაც — კანონით მინიჭებული აქვს უფლება გლეხს დააკისროს გადასახადი „ნაკლებმნიშვნელოვანი დანაშაულისათვის“, მაგრამ სრულიად გაურკვეველია ამ „ნაკლებმნიშვნელოვან დანაშაულთაგან“ სახელდობრ რომელს ვანაგებს ცალკე სოფლის მოსამართლე და რომელს — მამასახლისი.

„დებულების“ 27-ე მუხლი ამბობს: „მამასახლისს ენიჭება უფლება მისდამი 23-ე მუხლის საფუძველზე დაქვემდებარებული პირების მიერ ჩადენილი ნაკლებმნიშვნელოვანი საპოლიციო დანაშაულისათვის ბრალეულთ მიუსაჯოს: საზოგადოებრივ სამუშაოებზე გამწესება ორ დღემდე ვადით, ან ერთ მანეთამდე ფულადი ჯარიმა, ანდა არაუმეტეს ორი დღის პატიმრობა. უფრო მაღალ სასჯელს დანაშაულისათვის განსაზღვრავს სასოფლო სასამართლო (მუხლი 40“. 35-ე მუხლში ნათქვამია: „სასოფლო სასამართლო შემდგომი მუხლების საფუძველზე განაგებს როგორც გლეხების დავასა და საჩივრებს, ისე მათი ნაკლებმნიშვნელოვანი დანაშაულის საქმეებსაც“. მე-40 მუხლში აღნიშნულია: „სასოფლო სასამართლო უფლებამოსილია ნაკლებმნიშვნელოვანი დანაშაულის გამო ბრალეულთ მიუსაჯოს: საზოგადოებრივი სამუშაოები ექვს დღემდე ვადით, ან სამ მანეთამდე ფულადი ჯარიმა, ანდა შვიდ დღემდე პატიმრობა“.

ამგვარად, „დებულება“ განსაზღვრავს, რომ სასოფლო სასამართლოც და სოფლის მამასახლისიც განაგებენ „ნაკლებმნიშვნელოვანი დანაშაულის“ საქმეებს, ხოლო თითოეული მათგანისადმი ცალ-ცალკე დაქვემდებარებული ამ დანაშაულების გამიჯვნა ხდება ბრალეულისათვის დაკისრებული სასჯელის სიმძიმის მიხედვით: ნაკლებ სასჯელს მამასახლისი განსაზღვრავს, მეტს — სასოფლო სასამართლო. მაგრამ არსად არ არის მითითებული, თუ სახელდობრ რა „ნაკლებმნიშვნელოვანი დანაშაულისათვის“ ეკისრება ბრალეულს ნაკლები სასჯელი (საზოგადოებრივი მუშაობა ორ დღემდე ვადით, ან ერთ მანეთამდე ფულადი ჯარიმა, ან ორ დღემდე პატიმრობა), რომელიც სოფლის მამასახლისის კომპეტენციაში შედის, და რა დანაშაულისათვის ეკუთვნის მას მეტი სასჯელი (საზოგადოებრივი მუშაობა ექვს დღემდე ვადით, ან სამ მანეთამდე ფულადი ჯარიმა, ანდა შვიდ დღემდე პატიმრობა), რომელიც სასოფლო სასამართლოს კომპეტენციაშია. ისე გამოდის, დაასკვნის ი. ჭავჭავაძე, რომ თუ მამასახლისი მოისურვებს, არც ერთ საქმეს არ მიიყვანს სასოფლო სასამართლომდე და ყველას თვითონ გაარჩევს, აქაოდა, მათთვის მეტი სასჯელი არ არის დაწესებული და, მაშასადამე, მე მექვემდებარებაო.

ი. ჭავჭავაძე მოითხოვს სასოფლო სასამარ-

---

20 ქვე, გვ. 63-65.

21 ქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თლოსა და მამასახლისის კომპეტენციის მკაცრად გამიჯვნას[22].

ი. ჭავჭავაძე ყურადღებას მიაპყრობს სასოფლო სასამართლოს დაწესებულების მესამე, მისი აზრით, ერთობ არსებით ნაკლსაც. სასოფლო სასამართლოს გადაწყვეტილება ას მანეთამდე (ჩათვლით) დავისა და საჩივრის გამო საბოლოო და უაპელაციოა (მუხლი 36).

გლეხს შეიძლება ასი მანეთი ჯარიმა მიუსაჯონ, რასაც უმრავლეს შემთხვევაში შეიძლება მთელი მისი მეურნეობის გაჩანაგება მოჰყვეს, იგი კი მოკლებულია უფლებას გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება, ითხოვოს მისი გადასინჯვა. „ამას არა წოდების კაცი მოკლებული არ არის, გლეხის მეტი, — წერს ი. ჭავჭავაძე, — გლეხისა, რომელიც ყველაზედ უფრო მეტად საჭიროებს გულმოდგინეს, განათლებულს და კეთილსინდისიან მოსამართლესა და ყველაზედ მეტს განსაცდელშია, რომ საქმეს რიგიანად ვერ გაურჩევენ, რადგანაც ვერც თითონ არის რიგიანად საქმის ამხსნელი, და მოსამართლედაც თავისებრ ბნელი და უვიცი მოხელენი ჰყავს“[23].

ი. ჭავჭავაძეს საჭიროდ მიაჩნია სამომრიგებლო სასამართლოში სასოფლო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების დაწესება[24].

6. და ბოლოს, ი. ჭავჭავაძე ეხება მართლმსაჯულების კიდევ ერთ ძალზე მნიშვნელოვან საკითხს — ეგრეთ წოდებული ადმინისტრაციული გარანტიის საკითხს.

ადმინისტრაციული გარანტიის ინსტიტუტი, რომელიც რუსეთში ოდითგანვე ჩამოყალიბდა და 60-იან წლების რეფორმამდე არსებობდა, რეფორმისშემდგომი რუსეთის ახალ დაწესებულებებშიც გადავიდა. ეს ინსტიტუტი არსებობდა დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ბურჟუაზიულ ქვეყანაშიც (მაგალითად საფრანგეთში). ადმინისტრაციული გარანტიის დედააზრი ის არის, რომ თანამდებობის პირი მისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის არ შეიძლება სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცეს, თუ არ იქნება იმის თანხმობა, ვისაც იგი სამსახურებრივად ემორჩილება.

სისხლის სამართლის სამართალწარმოების ახალი, რეფორმისშემდგომი წესდება ადგენდა, რომ თანამდებობრივი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში „ბრალდებულის განმარტების განხილვისა და მისი მოქმედების გამოძიების შემდეგ, თუკი იგი განხორციელდა, მისი უფროსობა ან ადმინისტრაციული წესით გადაწყვეტს საქმეს, ან გამოიტანს დადგენილებას, ანდა, სადაც საჭიროა, იქ წარადგენს სარჩელს სასამართლოსათვის ბრალდებულის გადაცემის შესახებ“ (1087-ე მუხლი).

ესე იგი, თანამდებობრივი დანაშაულისათვის ბრალეულის სასამართლოსათვის გადაცემა მხოლოდ თანამდებობით მასზე უფროსს შეეძლო. ასეთი მდგომარეობა დაუსჯელობის გარანტიას აძლევდა ყველა თანამდებობრივ დანაშაულს, რომელთა გამოძიებაც არ შეესაბამებოდა ადმინისტრაციის ინტერესებს.

ი. ჭავჭავაძე მკაცრად კიცხავს მოხელეების დანაშაულის დაუსჯელობის ასეთ ადმინისტრაციულ გარანტიას. იგი ეხება სოფლად თანამდებობის პირების თვითნებობის მაგალითებს და მათი დანაშაულებრივი ქმედებისადმი ადმინისტრაციის დამოკიდებულებას. სოფელი არ არის, აღნიშნავს იგი, რომელიც არ უჩიოდეს თანამდებობის პირთა დანაშაულებრივ ქმედებებს, მაგრამ განა ბევრი ვიცით იმის მაგალითი, რომ თანამდებობის პირი სასამართლოსათვის გადაეცეთ? ასეთი შემთხვევები არ არის, ან თითქმის არ არის, ვინაიდან ყველა ასეთი საჩივარი მაზრის უფროსს ან გუბერნატორს უნდა გაუგზავნონ, რომლებიც თვითონ წყვეტენ სასამართლოსათვის ბრალეულის გადაცემის საკითხს. მაგრამ გადასცემენ კი ისინი თავიანთ ხელქვეითს სასამართლოს? უმაღლესი ადმინისტრაციაც და უდაბლესი თანამდებობის პირნიც ხომ, აღნიშნავს. ი. ჭავჭავაძე, ერთი და იგივე კიბის ერთგვაროვან საფეხურებს წარმოადგენენ, ისინი ხომ ხელს ბანენ ერთმანეთს, მათი ინტერესები ურთიერთგადახლართულია. ასეთი მდგომარეობის დროს არ უნდა მოველოდეთ, რომ თანამდებობრივი დანაშაული დაისჯება...

ი. ჭავჭავაძე დაჟინებით მოითხოვს, რომ „ყოველი თანამდებობის კაცი პასუხისმგებელი უნდა იყოს საზოგადო სამართლისა და სამსჯავროს წინაშე, და არა წინაშე თვისთა უფროსთა“[25].

(დასასრული შემდეგ ნომერში)

---

22 იქვე, გვ. 74-75.
23 იქვე, გვ. 75-76.
24 იქვე.
25 იქვე, გვ. 68-69.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდება

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985
წლის 30 აგვისტოს დადგენილებით

კოოპერატივის შექმნის წესი

1. საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეებს უფლება აქვთ გახდნენ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრები და მიიღონ ამ კოოპერატივში ბინა.

2. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები იქმნება სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან, საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან, აგრეთვე კოლმეურნეობებთან და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. გადაწყვეტილება კოოპერატივების შექმნის შესახებ მიიღება შრომითი კოლექტივების წინადადებათა გათვალისწინებით.

ახალგაზრდული საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები იქმნება სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან კომკავშირის რაიონული კომიტეტების წინადადებით, ხოლო საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან — ამ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა შრომითი კოლექტივების, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების წინადადებით.

რამდენიმე საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის მუშა-მოსამსახურეები, რომლებშიც არ არის კოოპერატივის შექმნის მსურველთა საჭირო რიცხვი, აგრეთვე პენსიონერები შეიძლება მათი სურვილით გაერთიანოს ერთ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივად სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა.

3. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის შესაქმნელად საჭიროა გაერთიანება: ქალაქ თბილისში არანაკლებ 36 მოქალაქისა, ქალაქებში ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, რუსთავში — არანაკლებ 24 მოქალაქისა, ხოლო დანარჩენ ქალაქებში, ქალაქის ტიპის დაბებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში — არანაკლებ 12 მოქალაქისა.

4. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივში შესვლის მსურველ მოქალაქეთა აღრიცხვა ხორციელდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული საქართველოს სსრ-ესპუბლიკაში საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვისა და საცხოვრებელი სადგომების მიცემის წესების შესაბამისად.

5. სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან შესაქმნელი კოოპერატივის დამფუძნებელთა სიას საბინაო-სამშენებლო კოოპერატივში შესვლის აღრიცხვაზე მყოფ მოქალაქეთაგან, აგრეთვე ამტკიცებს სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის ან მართვის შესაბამისი ორგანოსა და პროფკავშირული კომიტეტის მიერ შედგენილ აღნიშნულ აღმასრულებელ კომიტეტთან ან საწარმოსთან, დაწესებულებასთან, ორგანიზაციასთან, კოლმეურნეობასთან ანდა კო-

ოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან შესაქმნელი კოოპერატივის დამფუძნებელთა სიას.

6. გადაწყვეტილებას საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის შექმნის შესახებ იღებენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

7. მას შემდეგ, რაც სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი მიიღებს გადაწყვეტილებას კოოპერატივის შექმნის შესახებ, მოიწვევა კოოპერატივში შესვლის მსურველ მოქალაქეთა საერთო კრება წესდების მისაღებად და კოოპერატივისათვის სახელის მისაკუთვნებლად.

8. საერთო კრების მიერ მიღებულ კოოპერატივის წესდებას, აგრეთვე მასში შეტანილ ცვლილებებსა და დამატებებს რეგისტრაციაში გაატარებს სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის შექმნის შესახებ.

საბინაო-სამშენელო კოოპერატივის წესდება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სსრ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდებას და სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სხვა კანონმდებლობას.

9. წესდების რეგისტრაციის შემდეგ მოიწვევა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრთა საერთო კრება კოოპერატივის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ასარჩევად.

10. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი იურიდიული პირის უფლებებს იძენს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში მისი წესდების რეგისტრაციის მომენტიდან.

კოოპერატივი სარგებლობს ბეჭდით, რომელზეც გამოსახულია მისი ნომერი და სახელწოდება.

11. სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დამტკიცებულ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივში შემსვლელთა სიაში შეტანილი მოქალაქენი ამ კოოპერატივის წევრებად ითვლებიან წესდების რეგისტრაციის დროიდან.

წესდების დამტკიცების შემდეგ კოოპერატივის წევრად მიღება ხდება კოოპერატივის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, რომელსაც ამტკიცებს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

12. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ახორციელებენ კონტროლს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების საქმიანობისადმი, მათი კუთვნილი სახლების ექსპლუატაციისა და რემონტისადმი. სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს უფლება აქვს გააუქმოს კოოპერატივის საერთო კრების (რწმუნებულთა კრების) ან გამგეობის გადაწყვეტილება, თუ იგი ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას ან საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წესდებას.

თუ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი ხელმეორედ მიიღებს კანონმდებლობის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას ან გადაწყვეტილების გასაუქმებლად მიცემულ ერთი თვის ვადაში არ გადასინჯავს. თავის გადაწყვეტილებას, სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი გამოიტანს საბოლოო გადაწყვეტილებას.

კოოპერატივის მიზანი და უფლება-მოვალეობანი

13. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი შესაბამისი სახელწოდებითურთ იქმნება იმ მიზნით, რომ დააკმაყოფილოს კოოპერატივის წევრები საცხოვრებელი ფართობით სამეურნეონაგებობებიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (სახლების) მშენებლობის გზით კოოპერატივის საკუთარი სახსრებით სახელმწიფო კრედიტის დახმარებით, აგრეთვე ამ სახლის (სახლების) შემდგომი ექსპლუატაციისა და მართვის მიზნით.

სასოფლო დასახლებულ პუნქტებში, ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებისათვის მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებთან ერთად შეიძლება აშენდეს საკარმიდამო ტიპის ერთბინიანი და ორბინიანი საცხოვრებელი სახლები, აგრეთვე საეზოენაგებობებიანი მრავალბინიანი და ბლოკის საცხოვრებელი სახლები პირადი დამხმარე მეურნეობის გასაძღოლად. (გარდა დასახლებული პუნქტებისა, რომლებშიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აკრძალულია მიწის ნაკვეთების გამოყოფა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის).

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. საცხოვრებელი სახლის (სახლების) მშენებლობა შეიძლება განახორციელოს კოოპერატივმა მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი ბანკში შეიტანს საკუთარ სახსრებს სახლის ღირებულების არანაკლებ 30 პროცენტის ოდენობით, მიიღებს სახელმწიფო კრედიტს სახლის მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 70 პროცენტამდე ოდენობით 25 წლამდე ვადით ყოველწლიურად თანაბარწილად დაფარვით და მშენებლობის შესაბამის ნებართვას.

საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს უფლება აქვთ პროფკავშირულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით, წარმართონ ეკონომიკური სტიმულირების ფონდების სახსრები იმისათვის, რათა უსასყიდლო მატერიალური დახმარება გაუწიონ და ნაწილობრივ დაუფარონ კოოპერაციული საბინაო მშენებლობისათვის მიღებული ბანკის კრედიტი მუშაკებს, რომლებმაც ამ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში იმუშავეს სულ ცოტა 5 წელი, ხოლო ახალდაქორწინებულებს — სულ ცოტა 2 წელი, შემდეგი წესით:

— გაუწიონ უსასყიდლო მატერიალური დახმარება მატერიალური წახალისების ფონდის და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების ხარჯზე კოოპერაციული საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დაწყებამდე შესატანი საკუთარი სახსრების პირვანდელი შესატანის 15 პროცენტამდე ოდენობით, ხოლო ახალდაქორწინებულებს — 20 პროცენტამდე;

— დაუფარონ მატერიალური წახალისების ფონდის და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების ხარჯზე ბანკის კრედიტის დარჩენილი დავალიანება მუშაკებს, რომლებმაც იმუშავეს საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში 5 წელზე მეტი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივში შესვლის შემდეგ, დავალიანების 15 პროცენტამდე ოდენობით, ხოლო რომლებმაც იმუშავეს 10 წელზე მეტი — 30 პროცენტამდე;

— დაუფარონ მატერიალური წახალისების ფონდის, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის და აღნიშნული მიზნებისათვის გათვალისწინებული სხვა ფონდების (სახსრების) ხარჯზე ბანკის კრედიტის დარჩენილი დავალიანება ახალგაზრდული საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრ მუშაკებს, რომლებმაც საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, იმუშავეს სულ ცოტა 5 წელი, ხოლო ახალდაქორწინებულებს — სულ ცოტა 2 წელი, კოოპერატივში შესვლის შემდეგ პირველ 10 წელიწადში წლის განმავლობაში დასაფარავი თანხის 50 პროცენტამდე, ხოლო 10 წლის გასვლის შემდეგ— 30 პროცენტამდე ყოველწლიურად.

— მისცენ დადგენილი წესით ამ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა კომკავშირული ორგანიზაციების რეკომენდაციით და შრომითი კოლექტივების თანხმობით მატერიალური წახალისების ფონდის, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის და აღნიშნული მიზნებისათვის გათვალისწინებული სხვა ფონდების (სახსრების) ხარჯზე 30 წლამდე ასაკის მუშაკებს, რომლებმაც მოცემულ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში იმუშავეს სულ ცოტა 5 წელი და შევიდნენ ახალგაზრდულ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებში, უპროცენტო სესხი კოოპერაციული საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად საკუთარი სახსრების პირვანდელი შესატანისათვის 1500 მანეთამდე ოდენობით, რაც უნდა დაიფაროს 10 წლამდე ვადაში.

იმ მუშაკთა კანდიდატურებს, რომელთაც შეიძლება გაეწიოთ უსასყიდლო მატერიალური დახმარება და ნაწილობრივ დაეფაროთ ბანკის კრედიტი, ამტკიცებენ საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა შრომითი კოლექტივები.

კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შეუძლიათ აგრეთვე დაადგინონ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთათვის უსასყიდლო მატერიალური დახმარების გაწევისა და ბანკის კრედიტის ნაწილობრივ დაფარვის ზემოაღნიშნული წესი.

სოფლად განლაგებული საბჭოთა მეურნეობების და საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის სოფლის მეურნეობის, წყალთა მეურნეობისა და სოფტექნიკის სხვა სახელმწიფო საწარმოების ხელმძღვანელებს უფლება აქვთ, როგორც გამონაკლისი, დაფარონ პროფკავშირულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების ხარჯზე იმ ბანკის კრედიტის 50 პროცენტამდე, რომელიც მიეცათ სოფლად შექმნილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრ მექანიზატორებსა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეკეთებით დასაქმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულ მუშებს, იმ პირობით, თუ მათ მოცემულ საწარმოში იმუშავეს სულ ცოტა 5 წელი კოოპერატივში შესვლის მომენტიდან.

კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად და კრედიტის ნაწილობრივ დასაფარავად უსასყიდლო მატერიალური დახმარების წესით გაცემული სახსრები საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს 5 წლის ვადაში უნდა დაუბრუნონ კოოპერატივის წევრებმა საკუთარი სურვილით არასაპატიო მიზეზით, შრომის დისციპლინის დარღვევისა და დანაშაულის ჩადენისათვის სამუშაოდან დათხოვნის შემთხვევაში.

15. კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება განისაზღვრება სახელმწიფო საბინაო მშენებლობისათვის დადგენილი ფასების, ნორმებისა და წესის თანახმად.

გაუმჯობესებულ მოპირკეთებასთან და უფრო სრულყოფილი მოწყობილობის დადგმასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა ანაზღაურდეს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების საკუთარი სახსრებიდან დამატებითი ხარჯთაღრიცხვების მიხედვით, სახლების მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ხელახლა დამტკიცების გარეშე.

16. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრები შეიძლება იყვნენ მოქალაქეები, რომლებსაც შეუსრულდათ 18 წელი, მუდმივად ცხოვრობენ მოცემულ ადგილზე (თუ სხვა წესი არ არის დადგენილი სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით) და საჭიროებენ საბინაო პირობების გაუმჯობესებას.

ახალგაზრდული საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრები შეიძლება იყვნენ 30 წლამდე ასაკის მოქალაქეები.

17. საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები არ შეიძლება იყვნენ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრები.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის თანხმობით კოოპერაციული სახლის ჩაშენებულ და მიშენებულ სადგომებში შეიძლება განლაგდეს ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები და დაწესებულებანი, აგრეთვე მოეწყოს საზოგადოებრივი დანიშნულების სადგომები.

აღნიშნული სადგომების მშენებლობა ხორციელდება ამ მიზნებისათვის დადგენილი წესით გათვალისწინებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე.

18. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი ახორციელებს მისი კუთვნილი საცხოვრებელი სახლის (სახლების) ექსპლუატაციას ხარჯდაფარვადობის საწყისებზე.

საცხოვრებელი სახლის და სახლმფლობელობის ტერიტორიის მართვის, მოვლა-პატრონობისა და ექსპლუატაციის ხარჯები და კოოპერატივის სხვა ხარჯები ნაწილდება კოოპერატივის წევრთა შორის, დაკავებული სასარგებლო ფართობის ოდენობის შესაბამისად.

საცხოვრებელი სახლის (სახლების) და მისი მიმდებარე ტერიტორიის მომსახურება და მოვლა-პატრონობა კოოპერატივს შეუძლია განახორციელოს საკუთარი ძალებით თავისი სახსრების ხარჯზე ან გადასცეს ამ სამუშაოთა შესრულება ხელშეკრულების მიხედვით საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციას, ხოლო სოფლად — საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, აგრეთვე კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებთანაც შექმნილია საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები, შესაბამის კოოპერატივებთან დადებული ხელშეკრულებების მიხედვით.

აღნიშნულ მომსახურებასთან და მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებულ ხარჯებს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები ანაზღაურებენ საკუთარი სახსრებიდან განაკვეთების მიხედვით ან სახელმწიფო საბინაო ფონდის სახლების მომსახურებისათვის დაწესებული პირობებით.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლებში წყალსადენი, საკანალიზაციო, თბოქსელების, ელექტროქსელებისა და მოწყობილობათა ტექნიკური მომსახურების ხარჯებს კოოპერატივებს უნაზღაურებენ საწარმოები, რომლებიც იღებენ შემოსავალს ამ ქსელებისა და მოწყობილობათა ექსპლუატაციით.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლებში თბოენერგიით, ელექტროენერგიით, გაზით, წყალსადენითა და კანალიზაციით სარგებლობის გადასახდელები წარმოებს სახელმწიფო საბინაო ფონდისათვის დაწესებული ტარიფების მიხედვით.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლების საცხოვრებელი სადგომები შეიძლება შეტანილ იქნეს სამსახურებრივი სადგომების შემადგენლობაში მხოლოდ კოოპერატივის წევრთა საერთო კრების თანხმობით.

19. **კოოპერატივს უფლება აქვს:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) მიიღოს დადგენილი წესით უვადო სარგებლობისათვის მიწის ნაკვეთი კოოპერაციული საცხოვრებელი სახლის (სახლების) და სამეურნეო ნაგებობათა ასაშენებლად;

ბ) მიიღოს დადგენილი წესით ბანკის კრედიტი.

ბანკთან ურთიერთობაში კოოპერატივმა უნდა იხელმძღვანელოს სსრ კავშირის მშენბანკის მიერ დამტკიცებული კოოპერაციული საბინაო მშენებლობის დაფინანსებისა და დაკრედიტების წესებით.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები ბანკის კრედიტით სარგებლობისათვის იხდიან წლიურ 0,5 პროცენტს. ბანკის სესხების ვადაგადაცილებული გადასახდელების თანხაზე გადაცილებული დროისათვის დაირიცხება წლიურ 3 პროცენტი;

გ) განახორციელოს საცხოვრებელი სახლის (სახლების) მშენებლობა მოქმედი ტიპობრივი პროექტების მიხედვით, რომლებიც გამოიყენება მოცემულ ქალაქში (ქალაქის ტიპის დაბაში), საბჭოთა მეურნეობაში ან სოფლად მდებარე დაბაში, მოცემული რაიონის განაშენიანებისათვის დაწესებული სართულიანობის გათვალისწინებით და სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე მშენებარე საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის გათვალისწინებულ ვადებში.

კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების მშენებლობა ინდივიდუალური პროექტების მიხედვით ნებადართულია დადგენილი წესით.

ამ სახლების მშენებლობა სოფლად შეიძლება განხორციელდეს ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის ნორმების შესაბამისად შემუშავებული პროექტების მიხედვით;

დ) დაუდოს საიჯარო ორგანიზაციას ხელშეკრულება სახლის მშენებლობის შესახებ ან გადასცეს ამ მშენებლობის შემკვეთის ფუნქციები სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კაპიტალური მშენებლობის განყოფილებას (სამმართველოს).

სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილების (სამმართველოს) მიერ კოოპერაციული სახლის (სახლების) მშენებლობის შემკვეთის ფუნქციების შესრულებისას ხორციელდება ტექნიკური ზედამხედველობა შესაბამისი სახსრებით, რომლებიც გათვალისწინებულია კოოპერაციული სახლის (სახლების) მშენებლობის ხარჯთაღრიცხვებში;

ე) მონაწილეობა მიიღოს თავისი წარმომადგენლის მეშვეობით მშენებლობადამთავრებული კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების საექსპლუატაციოდ მიმღები სახელმწიფო კომისიის შემადგენლობაში;

ვ) საქართველოს სსრ სახმშენის ნებართვით და მოიჯარესთან შეთანხმებით მოახდინოს მშენებარე საცხოვრებელ სახლში (სახლებში) გაუმჯობესებული მოპირკეთება და დადგას უფრო სრულყოფილი მოწყობილობა;

ზ) გადასცეს დადგენილი წესით კომუნალური მეურნეობის შესაბამის საწარმოებს მომსახურებისათვის წყალსადენის, კანალიზაციის, თბომომარაგების ქსელი, გაზის მოწყობილობა, ელექტროქსელები, ლიფტები და სხვ;

თ) დადოს საცხოვრებელი სახლის (სახლების) ექსპლუატაციისა და კაპიტალური რემონტის განხორციელებისათვის საჭირო ხელშეკრულებანი;

ი) სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვით გადააკეთოს კოოპერატივის საჭიროებისთვის კოოპერაციული სახლის ცალკეული საცხოვრებელი სადგომები არასაცხოვრებლად.

20. კოოპერატივის მიერ აშენებული საცხოვრებელი სახლები და სამსახურებრივ-სამეურნეო ნაგებობანი ეკუთვნის მას კოოპერაციული საკუთრების უფლებით და არ შეიძლება მათი ჩამორთმევა, გაყიდვა ან გადაცემა როგორც მთლიანად, ისევე ნაწილ-ნაწილად (ბინები, ოთახები) არც ორგანიზაციებისათვის, არც ცალკეული პირებისათვის, გარდა ისეთი გადაცემისა, რაც კოოპერატივის ლიკვიდაციის დროს ხორციელდება.

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფასთან დაკავშირებით საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის კუთვნილი სახლის აღების შემთხვევაში კოოპერატივს ასაღები სახლის ნაცვლად გადაეცემა საკუთრებაში ტოლფასოვანი საცხოვრებელი სახლი.

21. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი მოვალეა:

ა) დაიცვას საბინაო ფონდის ტექნიკური ექსპლუატაციის მოქმედი წესები და ნორმები;

ბ) უზრუნველყოს კოოპერაციული საცოვრებელი სახლის (სახლების) დაცვა-შენახვა, კაპიტალური და მიმდინარე რემონტის დროულად ჩატარება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) დადგენილი წესით მოახდინოს გადარიცხვა საამორტიზაციო ფონდში კოოპერაციული საცხოვრებელი სახლის (სახლების) კაპიტალური რემონტისათვის;

დ) დააზღვევოს მისი კუთვნილი სახლი (სახლები);

ე) დაიცვას სანიტარო უსაფრთხოების წესები;

ვ) დროულად გადაიხადოს შესატანები სახელმწიფო კრედიტის დასაფარავად;

ზ) არ დაუშვას საცხოვრებელი სადგომებისა და სამეურნეო ნაგებობათა თვითნებური დაგეგმარება და გადაკეთება;

თ) დაიცვას კოოპერატივის ნაგებობათა და სახლმფლობელობის ტერიტორიის კეთილმოწყობის, აგრეთვე შიგა და გარე არქიტექტურული გაფორმების დადგენილი წესები, შეასრულოს მწვანე ნარგავთა დაცვის დადგენილი წესები;

ი) რეგისტრაციაში გაატაროს თავისი კუთვნილი სახლი (სახლები) ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში მისი საექსპლუატაციოდ მიღებიდან ორი თვის განმავლობაში;

კ) წარუდგინოს დაწესებულ ვადებში სახალხო დეპუტატთა შესაბამისი ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ანგარიშები კოოპერატივის საქმიანობის შესახებ.

22. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი თავისი ვალდებულებების მიხედვით პასუხს აგებს მისი კუთვნილი მთელი ქონებისათვის, რომელზეც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად შეიძლება მიქცეულ იქნეს გადახდევინება.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განთავისუფლებულია ნაგებობათა გადასახადისა და მიწის რენტისაგან.

კოოპერატივის სახსრები

23. კოოპერატივის სახსრები შედგება:

ა) კოოპერატივის წევრთა შესასვლელი შენატანებისაგან;

ბ) საპაიო შენატანებისაგან;

გ) სახლის (სახლების) მოვლა-პატრონობისა და ექსპლუატაციის შენატანებისაგან;

დ) სხვა შემოსავლისაგან.

შესასვლელი შენატანების ოდენობას აწესებს კოოპერატივის წევრთა საერთო კრება.

კოოპერატივის მთელი საკუთარი სახსრები შეიტანება ბანკის დაწესებულებებში კოოპერატივის სათანადო ანგარიშებზე.

24. საერთო კრების გადაწყვეტილებით კოოპერატივს შეუძლია შექმნას სპეციალური ფონდები (საორგანიზაციო ხარჯებისათვის, საამორტიზაციო ანარიცხები, კაპიტალური რემონტისათვის და სხვ.), რომლებიც იხარჯება კოოპერატივის წესდებით გათვალისწინებული ამოცანების შესაბამისი მიზნებისათვის. ამ ფონდების შექმნისა და ხარჯვის წესს განსაზღვრავს კოოპერატივის წევრთა საერთო კრება.

კოოპერატივის წევრთა უფლება-მოვალეობანი

25. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრად მიღებულ პირს კოოპერატივის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, რომელიც დამტკიცებულია სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სახლში ეძლევა ერთი ან რამდენიმე ოთახისაგან შემდგარი ცალკე ბინა მისი ოჯახის წევრთა რაოდენობისა და საპაიო შენატანის თანხის შესაბამისად.

კოოპერატივის წევრს საცხოვრებელი ფართობი ეძლევა, როგორც წესი, 12 კვადრატული მეტრის ოდენობით და არა უმეტეს ერთი ოთახისა ოჯახის თითოეულ წევრზე.

უფრო მეტი ფართობის ბინა შეიძლება მიეცეს იმ შემთხვევებში, როცა კოოპერატივის წევრს ან მისი ოჯახის წევრს აქვს დამატებითი საცხოვრებელი ფართობის უფლება.

კოოპერატივის მარტოხელა წევრთათვის მიცემული ბინა შეიძლება აღემატებოდეს 12 კვადრატულ მეტრს. ამასთან მარტოხელებს ეძლევათ როგორც წესი, ერთოთახიანი ბინა.

კოოპერატივში შესვლისას კოოპერატივის წევრი მოვალეა მიუთითოს, მისი ოჯახის წევრთაგან ვინ ჩასახლდება მასთან ერთად კოოპერატივის სახლში, და განცხადებას თან დაურთოს ოჯახის სრულწლოვან წევრთა წერილობითი თანხმობა კოოპერატივის სახლში გადასახლების შესახებ.

მოქალაქე, რომელმაც კოოპერატივში შესვლისას აღნიშნა, რომ კოოპერაციულ სახლში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადავა მისი ოჯახი სრული შემადგენლობით, კოოპერაციულ სახლში მისთვის ბინის მიცემისას მოვალეა გაათავისუფლოს დაკავებული ფართობი და ჩააბაროს სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას ან მოქალაქეს, რომელსაც იგი ეკუთვნის პირადი საკუთრების უფლებით.

26. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრის ოჯახის წევრებს განეკუთვნებიან საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 62-ე მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნული პირები.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრის ოჯახის წევრებს, რომლებიც მასთან ერთად ცხოვრობენ, აქვთ კოოპერატივის წევრთან თანაბარი უფლება ისარგებლონ სადგომით საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სახლში, თუ მათი ჩასახლებისას დათქმული არ ყოფილა სხვა წესი. სადგომით სარგებლობის უფლება კოოპერატივის წევრის ოჯახის წევრს უნარჩუნდება კოოპერატივის წევრთან ოჯახური ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაშიც.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრის ოჯახის წევრები მოვალენი არიან მონაწილეობა მიიღონ სახლისა და ბინის მოვლა-პატრონობისა და რემონტის ხარჯების გადახდაში.

27. კოოპერატივის სახლებში საცხოვრებელი ფართობი ეძლევათ მხოლოდ კოოპერატივის წევრებს, რომლებმაც შეასრულეს დაწესებული შესასვლელი და საპაიო შენატანების გადახდის ვალდებულებანი (იხ. დანართი). ბინებში ჩასახლება ხდება ორდერებით, რომლებსაც გასცემს იმ ადგილის სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, სადაც კოოპერაციული საცხოვრებელი სახლი მდებარეობს, კოოპერატივის წევრთა და მათი ოჯახების წევრთა დამტკიცებული სიის შესაბამისად.

უარი ორდერის გაცემაზე შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლო წესით.

28. კოოპერატივის წევრის პაის ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს კოოპერაციულ სახლში მისთვის მიცემული ცალკე ბინის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებას. კოოპერაციულ სახლში ბინების სახარჯთაღრიცხვო ღირებულებას განსაზღვრავს საპროექტო ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს მოცემული სახლის (სახლების) დაპროექტებას სსრ კავშირის სახმშენის მიერ 1985 წლის 20 მაისს დამტკიცებული მითითებების შესაბამისად.

იმ შემთხვევებში, როცა მოპირკეთება გაუმჯობესებულია ან უფრო სრულყოფილი მოწყობილობა დაიდგა, პაის ოდენობა იზრდება დამატებითი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

კოოპერატივის თითოეული წევრი მოვალეა შეიტანოს კოოპერატივის მიმდინარე ანგარიშზე სახლის მშენებლობის დაწყებამდე ფულადი სახსრები ბინების მშენებლობის ღირებულების არანაკლებ 30 პროცენტის ოდენობით.

პაის დანარჩენ ნაწილს კოოპერატივის წევრი შეიტანს იმ ვადებში, რომლებიც გათვალისწინებულია კოოპერატივის ვალდებულებით სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მიერ გაცემული სახელმწიფო კრედიტის დასაფარავად.

29. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრს საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის მიღებული კრედიტების დავალიანებას, კაპიტალური რემონტის საამორტიზაციო ანარიცხებს, საექსპლუატაციო და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაწესებულია საერთო კრების მიერ გადაახდევინებს კოოპერატივი უდავო წესით სანოტარო ორგანოების აღსრულებითი წარწერების საფუძველზე.

30. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრი, როგორც წესი, ამავე დროს არ შეიძლება იყოს სხვა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრი.

მაგრამ თუ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრს ესაჭიროება საბინაო პირობების გაუმჯობესება იმ შემთხვევაში, როცა ოჯახის თითოეულ წევრზე მოდის არა უმეტეს 8 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, იგი შეიძლება მიღებულ იქნეს სხვა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივში საერთო საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, თუ კოოპერატივის წევრი შევიდა ახალშექმნილ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივში ახალი კოოპერაციული საცხოვრებელი სახლის მშენებლობის პერიოდში, მან ამავე დროს უნდა შეასრულოს ამ წესდებით გათვალისწინებული მოვალეობანი და ისარგებლოს შესაბამისი უფლებებით ორივე კოოპერატივში.

სხვა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სახლში ბინის ორდერის მიღების შემდეგ აღნიშნული პირი უნდა ამოირიცხოს კოოპერატივის წევრობისაგან წინანდელ საცხოვრებელ ადგილზე. ოჯახის წევრს, რომელიც საცხოვრებლად დარჩა კოოპერაციულ საცხოვრებელ ფართობზე წინანდელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, აქვს მოცემულ კოოპერატივში შესვლის უპირატესი უფლება.

იმ შემთხვევებში, როცა საცხოვრებლად დარჩა ოჯახის რამდენიმე წევრი, კოოპერატივში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ერთ-ერთი მათგანი მათი თანხმობით, ხოლო თუ თანახმა არ არიან, — კოოპერატივის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით.

31. კოოპერატივის წევრს უფლება აქვს:

ა) იცხოვროს თავის ოჯახიანად მისთვის მიცემულ ბინაში;

ბ) მასთან ერთად მცხოვრები ოჯახის ყველა წევრის თანხმობით ჩაასახლოს დადგენილი წესით თავის ბინაში ნათესავები და შრომისუუნარო კმაყოფაზე მყოფნი. მეუღლისა და არასრულწლოვანი შვილების ჩასასახლებლად ასეთი თანხმობა საჭირო არ არის;

გ) ნებაყოფლობით, თავისი განცხადებით გავიდეს კოოპერატივიდან მისი არსებობის ნებისმიერ დროს, როგორც სახლის მშენებლობის დაწყებამდე და მშენებლობის დროს, ისევე მისი დამთავრების შემდეგ და სახლის ექსპლუატაციის პერიოდში, და მიიღოს საპაიო დანაგროვი;

დ) კოოპერატივის წევრთა საერთო კრების (რწმუნებულთა კრების) თანხმობით გადასცეს თავისი პაი მასთან ერთად მუდმივად მცხოვრებ მისი ოჯახის სრულწლოვან ნებისმიერ წევრს. ერთ-ერთ მეუღლეს შეუძლია გადასცეს პაი ოჯახის სხვა წევრს მხოლოდ მეორე მეუღლის თანხმობით, თუ საპაიო დანაგროვი მათს საერთო ერთობლივ ქონებას წარმოადგენს.

ამასთან კოოპერატივის წევრი, რომელმაც პაი გადასცა, გადის კოოპერატივიდან, ხოლო პირი, რომელსაც პაი გადაეცა, მიიღება კოოპერატივის წევრად შესასვლელი შენატანის გარეშე;

ე) აირჩიოს და არჩეულ იქნეს კოოპერატივის მმართველობის ორგანოებში და სარევიზიო კომისიაში.

32. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრს უფლება აქვს მასთან ერთად მცხოვრებ ოჯახის წევრთა თანხმობით, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვით, გაცვალოს მის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომი კოოპერატივის სხვა წევრთან ან სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლში საცხოვრებელი სადგომის დამქირავებელთან, მათ შორის სხვა დასახლებულ პუნქტში მცხოვრებთან, იმ პირობით, თუ საცხოვრებელი სადგომის გამცვლელი პირი მიიღება კოოპერატივის წევრად. კოოპერატივის წევრთა საერთო კრების უარი კოოპერატივის სახლში საცხოვრებელი სადგომის გამცვლელი პირის კოოპერატივის წევრად მიღებაზე შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლო წესით.

კოოპერატივის წევრს უფლება აქვს ნება დართოს თავისი ოჯახის წევრს გაუცვალოს დაკავებული სადგომის ნაწილი სხვა პირს (დამქირავებელს სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლში ან საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრს), თუ იგი გასვლის წესით ჩასახლდება როგორც კოოპერატივის წევრის ოჯახის წევრი (მეუღლე, პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი ხაზით ნათესავი, და, ძმა).

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის უარი გასაცვლელ საცხოვრებელ სადგომებზე ორდერის გაცემაზე, თუ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრთა საერთო კრებამ კოოპერატივში მიიღო პირი, რომელმაც სურვილი გამოთქვა გაცვალოს მის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომი კოოპერატივის სახლში მდებარე სადგომზე, შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლო წესით.

თუ კოოპერატივის წევრი და მისი ოჯახის წევრები ვერ შეთანხმდებიან გაცვლის თაობაზე, მაშინ კოოპერატივის წევრს, აგრეთვე მისი ოჯახის წევრს, რომლის უფლება საპაიო დანაგროვის ნაწილზე ცნობილია, შეუძლიათ სასამართლო წესით მოითხოვონ დაკავებული სადგომის იძულებითი გადაცვლა სადგომებზე სხვადასხვა სახლებში (ბინებში).

გაცვლა არ დაიშვება საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 79-ე მუხლში აღნიშნულ შემთხვევებში, აგრეთვე საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სახლებში საცხოვრებელი ფართობი არ გაიცვლება პირადი საკუთრების უფლებით მოქალაქის კუთვნილ სახლზე.

ერთი და იგივე კოოპერატივის წევრთა მიერ კოოპერაციული საცხოვრებელი ფართობის გაცვლისას ისინი საპაიო დანაგროვის თანაბარ თანხებს ურთიერთს გადასცემენ.

საპაიო დანაგროვის სხვაობა უნდა შეიტანოს ახლად მიღებულმა შესაბამის კოოპერატივში, ხოლო უნდა მიიღოს გასულმა ამ კოოპერატივისაგან .

33. თუ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრი ან მისი ოჯახის წევრი, რომლის უფლება საპაიო დანაგროვის ნაწილზე ცნობილია, დროებით სხვაგან იმყოფებიან, მათ უნარჩუნდებათ საცხოვრებელი სადგომი სხვაგან ყოფნის ვადის მიუხედავად. საბინაო-სამშენებ-

ლო კოოპერატივის წევრის დროებით სხვაგან ყოფნა არ ათავისუფლებს მას შესაბამის საწესდებო მოვალეობათა შესრულებისაგან.

კოოპერატივის წევრის ოჯახის სხვა წევრთა დროებით სხვაგან ყოფნისას საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლება მათ უნარჩუნდებათ საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 69-ე და 71-ე მუხლებით დაწესებულ შემთხვევებში და ვადების ფარგლებში. აღნიშნული ვადების გასვლის შემდეგ კოოპერატივის წევრს უფლება აქვს მოითხოვოს სასამართლო წესით, რომ ოჯახის ეს წევრები ცნობილ იქნენ სადგომით სარგებლობის უფლებადაკარგულებად.

34. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრს უფლება აქვს გააქირავოს კოოპერატივის გამგეობის თანხმობით დაკავებული საცხოვრებელი სადგომის ნაწილი, ხოლო მთელი ოჯახის დროებით სხვაგან წასვლისას — მთელი საცხოვრებელი სადგომი ისეთ ფასად, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს კოოპერატივის წევრის მიერ გადასახდელ იმ საექსპლუატაციო ხარჯებს, რაც გასაქირავებელ სადგომზე მოდის.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სახლში საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულებისათვის გამოიყენება იგივე წესები, რაც სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში ქვექირავნობის ხელშეკრულებისათვის (საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 90-ე და 92-ე მუხლები).

35. იმ შემთხვევაში, როცა ოჯახის თითოეულ წევრზე მოდის არა უმეტეს 8 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ წევრს აქვს უპირატესი უფლება მიიღოს ამ კოოპერატივის სახლში განთავისუფლებული ბინა. თუ განთავისუფლებულ ბინაზე პრეტენზიას აცხადებს კოოპერატივის რამდენიმე წევრი, რომელთაც საბინაო პირობების გაუმჯობესება ესაჭიროებათ, და ერთ-ერთი არ ეთანხმება საერთო კრების გადაწყვეტილებას, მაშინ დავას იმის შესახებ, თუ რომელი მათგანი უნდა იქნეს მიღებული კოოპერატივის წევრად, წყვეტს საერთო კრება, რომლის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლო წესით.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრი სარგებლობს ყველა სხვა პირის წინაშე უპირატესი უფლებით მიიღოს განთავისუფლებული ოთახი იმავე ბინაში, რომელშიც იგი ცხოვრობს.

თუ საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან შექმნილ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებში არ არიან კოოპერატივის წევრები, რომელთაც საბინაო პირობების გაუმჯობესება ესაჭიროებათ, განთავისუფლებულ ბინაში უნდა ჩაასახლონ პირველ რიგში ამ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაკები იმ პირობით, რომ ისინი მიიღონ კოოპერატივის წევრებად დადგენილი წესით.

36. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრი მოვალეა:

ა) შეასრულოს კოოპერატივის წესდების მოთხოვნები, კოოპერატივის წევრთა საერთო კრების (რწმუნებულთა კრების), კოოპერატივის გამგეობის გადაწყვეტილებანი;

ბ) შეიტანოს შესასვლელი და საპაიო შენატანები, გასწიოს სახლის (სახლების) ექსპლუატაციის (კაპიტალური რემონტის ჩათვლით) და მოვლა-პატრონობის ხარჯები იმ ოდენობით, რასაც განსაზღვრავს კოოპერატივის წევრთა საერთო კრება (რწმუნებულთა კრება);

გ) ისარგებლოს საცხოვრებელი და დამხმარე სადგომებით მათი დანიშნულების შესაბამისად;

დ) მზრუნველობით მოეპყრას საბინაო ფონდსა და კოოპერატივის სხვა ქონებას, დროულად ჩაატაროს ბინაში მიმდინარე რემონტი, სრულ წესრიგში იქონიოს დაკავებული საცხოვრებელი და დამხმარე სადგომები;

ე) დაიცვას სოციალისტური საერთო ცხოვრების წესები;

ვ) დაიცვას სანიტარიული და ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნები;

ზ) საცხოვრებელი ფართობის განთავისუფლებისას ჩააბაროს საცხოვრებელი და დამხმარე სადგომები და მოწყობილობა წესივრულ მდგომარეობაში.

37. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრი შეიძლება გაირიცხოს კოოპერატივიდან იმ შემთხვევებში, როცა:

ა) მიიღო სხვა საცხოვრებელი სადგომი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლში, სხვა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სახლში, აგრეთვე აიშენა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი;

ბ) გავიდა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივიდან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) გადასცა პაი ოჯახის ერთ-ერთ წევრს;

დ) იგი გარდაიცვალა ან გამოცხადდა გარდაცვლილად სასამართლო წესით;

ე) წავიდა სხვა მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე;

ვ) სისტემატურად არ ასრულებს კოოპერატივის საერთო კრების (რწმუნებულთა კრების) მიერ დადგენილ ვალდებულებებს;

ზ) სისტემატურად არღვევს კოოპერატივის წესდების მოთხოვნებს;

თ) წარმოადგინა სინამდვილის შეუსაბამო მონაცემები, რაც მისი კოოპერატივში შესვლის საფუძველი გახდა, აგრეთვე კოოპერატივის წევრად მიღების საკითხის გადაწყვეტისას თანამდებობის პირებმა დაუშვეს არამართლზომიერი მოქმედება;

ი) სასამართლოს განაჩენით დადგინდა, რომ პაი შეტანილია დანაშაულებრივი გზით მიღებული სახსრებიდან;

კ) სისტემატურად არ იხდის შენატანებს ბანკის კრედიტის დასაფარავად ან შენატანებს კოოპერატივის სახლის კაპიტალური რემონტის, მოვლა-პატრონობისა და ექსპლუატაციისათვის;

ლ) სისტემატურად აქირავებს საცხოვრებელ სადგომს არაშრომითი შემოსავლის მიღების მიზნით;

მ) სისტემატურად ანგრევს, აფუჭებს საცხოვრებელ სადგომს, იყენებს მას არადანიშნულებისამებრ ან სისტემატურად არღვევს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს, რის გამოც სხვებისთვის შეუძლებელი ხდება კოოპერატივის წევრთან ერთად ერთ ბინაში ან ერთ სახლში ცხოვრება, ხოლო გამაფრთხილებელი და საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომები უშედეგო აღმოჩნდა;

ნ) ჩამოერთვა მშობლის უფლებები, თუ მისი ცხოვრება ბავშვებთან ერთად, რომელთა მიმართაც ჩამოერთვა მშობლის უფლებები, შეუძლებლად იქნა ცნობილი.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივიდან გარიცხვა ხდება კოოპერატივის საერთო კრების გადაწყვეტილებით.

გადაწყვეტილება საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრობიდან გარიცხვის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

თუ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივიდან გარიცხული კოოპერატივის წევრი უარს ამბობს გაათავისუფლოს დაკავებული საცხოვრებელი სადგომი, იგი გამოსახლებულ უნდა იქნეს სასამართლო წესით სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად. თუ კოოპერატივის წევრი გაირიცხა კოოპერატივიდან ამ პუნქტის „თ“, „ი“, „კ“, „ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საფუძველზე, მაშინ გამოსახლებულ უნდა იქნენ აგრეთვე მისი ოჯახის წევრები და მასთან ერთად მცხოვრები სხვა პირები.

სხვა საფუძველზე გარიცხულის ოჯახის წევრები ინარჩუნებენ სადგომით სარგებლობის უფლებას იმ პირობით, თუ ერთ-ერთი მათგანი გახდება კოოპერატივის წევრი.

38. კოოპერატივიდან გასულ კოოპერატივის წევრს დაუბრუნდება პაის ღირებულება.

პაი არ დაუბრუნდება იმ შემთხვევაში, როცა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრი გაირიცხა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდების 37-ე პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საფუძველზე, და თანხა დადგენილი წესით ჩაირიცხება სახელმწიფო შემოსავალში ან დაუბრუნდება შესაბამის პირებს.

კოოპერატივის ახლად მიღებული წევრის პაის ოდენობა არ შეიძლება იმ საცხოვრებელი სადგომის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაზე ნაკლები იყოს, რომელიც ეძლევა მას სარგებლობაში.

იმ შემთხვევაში, როცა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივს ჯერ კიდევ არ დაუფარავს საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად მისთვის მიცემული სახელმწიფო კრედიტი, კოოპერატივის ახლად მიღებული წევრის საპაიო შენატანი კოოპერატივიდან გასული წევრის საპაიო დანაგროვზე ნაკლები არ უნდა იყოს.

კოოპერატივიდან გასულ წევრს პაის ღირებულება დაუბრუნდება მას შემდეგ, რაც პაის შეიტანს კოოპერატივის ახლად მიღებული წევრი.

39. პაი, რომელიც მეუღლეთა საერთო ერთობლივ ქონებას წარმოადგენს, ერთ-ერთი მეუღლის მოთხოვნით შეიძლება გაიყოს მხოლოდ განქორწინების შემთხვევაში და იმ პირობით, რომ თითოეულ მეუღლეს შეიძლება გამოეყოს იზოლირებული საცხოვრებელი სადგომი მათ მიერ დაკავებულ ბინაში.

თუ საცხოვრებელი სადგომი მომიჯნავე არაიზოლირებული ოთახებისაგან შედგება, გაყოფა შეიძლება იმ პირობით, თუ ისინი გადაკეთდება იზოლირებულ ოთახებად, და საცხოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებელი სადგომის გადაკეთების ან გადაგეგმარების შესახებ არის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის ნებართვა.

მეუღლეს, რომლის უფლება პაის ნაწილზე ცნობილია, შეუძლია გახდეს კოოპერატივის წევრი და მოითხოვოს მისცენ მის სარგებლობაში ოთახი (ოთახები) მისი პაის ოდენობის შესაბამისად.

თუ პაის გაყოფა შეუძლებელია, განქორწინებული მეუღლე ინარჩუნებს სადგომით სარგებლობის უფლებას. მას შეუძლია მოსთხოვოს კოოპერატივის წევრს მისი კუთვნილი პაის ნაწილის გადახდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაათავისუფლებს მის მიერ დაკავებულ სადგომს.

40. კოოპერატივის გარდაცვლილი წევრის პაი გადადის მის მემკვიდრეებზე კანონით დადგენილი წესით.

კოოპერატივის გარდაცვლილ წევრთან ერთად მცხოვრები მემკვიდრეები ინარჩუნებენ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სახლში ბინით სარგებლობის უფლებას იმ პირობით, თუ ერთ-ერთი მათგანი გახდება კოოპერატივის წევრი. თუ კოოპერატივში შესვლის მსურველი რამდენიმე მემკვიდრეა, მათ უფლება აქვთ მოითხოვონ პაის გაყოფა და კოოპერატივის წევრად მიღება, თუ თითოეულ მათგანს შეიძლება გამოეყოს იზოლირებული საცხოვრებელი სადგომი.

თუ გარდაცვლილ მეპაიესთან ერთად მცხოვრები რამდენიმე მემკვიდრისათვის იზოლირებული საცხოვრებელი სადგომის გამოყოფა შეუძლებელია, დავა იმის შესახებ, თუ რომელი მათგანი უნდ იქნეს მიღებული კოოპერატივის წევრად, წყდება სასამართლო წესით.

მემკვიდრეს, რომელიც კოოპრატივის წევრად არ მიუღიათ, უნარჩუნდება საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სახლში საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლება.

ასეთივე უფლებით სარგებლობენ კოოპერატივის სახლის მშენებლობის დამთავრებამდე გარდაცვლილ კოოპერატივის წევრთან ერთად მცხოვრები ოჯახის წევრები, რომლებიც მასთან ერთად იმყოფებოდნენ აღრიცხვაზე, როგორც საბინაო-სამშენებლო კოოპერატივში შესვლის მსურველნი.

კოოპერატივის გარდაცვლილი წევრის არასრულწლოვანი მემკვიდრეები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობდნენ მასთან ერთად, ინარჩუნებენ უფლებას ისარგებლონ საცხოვრებელი სადგომით სრულწლოვანების მიღწევამდე და შეიძინონ კოოპერატივში შესვლის უფლება. ამ შემთხვევაში მათს მოვალეობებს შეასრულებენ მეურვეები ერთ-ერთი მემკვიდრის სრულწლოვანების მიღწევამდე და კოოპრატივში მის შესვლამდე.

კოოპერატივის გარდაცვლილი წევრის ოჯახის წევრები, რომლებიც არ არიან მემკვიდრეები, მაგრამ მასთან ერთად ცხოვრობდნენ, ინარჩუნებენ დაკავებული საცხოვრებელი ფართობით სარგებლობის უფლებას იმ პირობით, თუ ერთ-ერთი მემკვიდრე შევა კოოპრატივის წევრად, ხოლო თუ მემკვიდრეები არ არიან ანდა უარს ამბობენ კოოპერატივში შესვლაზე, მაშინ იმ პირობით, თუ კოოპერატივის წევრად შევა ოჯახის თუნდაც ერთ-ერთი ზემოაღნიშნული წევრი და ამავე დროს შეიტანს გარდაცვლილის კუთვნილ საპაიო დანაკარგის თანხას.

მოცემულ დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ მემკვიდრეებს (მეუღლე, პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი ხაზით ნათესავი, და, ძმა), რომლებიც არ სარგებლობდნენ ბინით კოოპერატივის წევრის სიცოცხლეში, აქვთ კოოპერატივში შესვლის უპირატესი უფლება, თუ საჭიროებენ საბინაო პირობების გაუმჯობესებას, ხოლო ბინაში არ ცხოვრობენ კოოპერატივის გარდაცვლილი წევრის ოჯახის სხვა წევრები.

მემკვიდრეებს, რომლებიც კოოპერატივის წევრად არ მიუღიათ, აგრეთვე უარი განაცხადეს ბინით შემდგომ სარგებლობაზე, კოოპერატივი გადაუხდის მემკვიდრეობით მიღებული პაის ან მისი წილის ღირებულებას .

41. კოოპერატივის გასული წევრის ნაცვლად კოოპერატივის წევრად მიღებული პირი პასუხს აგებს მის ვალდებულებათა გამო კოოპერატივის წინაშე.

კოოპერატივის მართვის ორგანოები

42. კოოპერატივის მართვის ორგანოები არიან კოოპერატივის წევრთა საერთო კრება ან რწმუნებულთა კრება და კოოპერატივის გამგეობა.

თუ კოპერატივში 50-ზე მეტი წევრია, მაშინ კოოპერატივის წევრთა საერთო კრების

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაწყვეტილებით საერთო კრების ნაცვლად შეიძლება მოწვეულ იქნეს კოოპერატივის რწმუნებულთა კრება. რწმუნებულთა კრება იმავე უფლებამოსილებით სარგებლობს, როგორც საერთო კრება.

რწმუნებულნი აირჩევიან შემდეგი რაოდენობით:

ერთი რწმუნებული კოოპერატივის სამ წევრზე, თუ კოოპერატივში 50-დან 100-მდე წევრია;

ერთი რწმუნებული კოოპერატივის ოთხ წევრზე, თუ კოოპერატივში 100-დან 150-მდე წევრია;

ერთი რწმუნებული კოოპერატივის ხუთ წევრზე, თუ კოოპერატივში 150-დან 200-მდე წევრია;

თუ კოოპერატივში 200-ზე მეტი წევრია, ერთი რწმუნეული აირჩევა კოოპერატივის წევრთა რაოდენობიდან, რომელსაც დაიწესებს კოოპერატივის წევრთა საერთო კრება.

რწმუნებულნი აირჩევიან სახბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრთა საერთო კრებაზე ორი წლის ვადით. არჩევნები ტარდება, როგორც წესი, კორპუსების მიხედვით.

43. კოოპერატივის წევრთა საერთო კრება (რწმუნებულთა კრება) სახბინაო-სამშენებლო კოოპერატივის უმაღლესი ორგანოა და წყვეტს შემდეგ საკითხებს:

ა) სახბინაო-სამშენებლო კოპერატივის წესდების მიღება;

ბ) კოოპერატივის წევრად მიღება და კოოპერატივის წევრობიდან გარიცხვა;

გ) კოოპერატივის სახლის (სახლების) და სამსახურებრივ-სამეურნეო ნაგებობათა მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, აგრეთვე წლიური სამეურნეო-საფინანსო გეგმის და მისი შესრულების ანგარიშის დამტკიცება;

დ) საცხოვრებელი სახლის (სახლების) მშენებლობისათვის სახელმწიფო კრედიტის მიღება;

ე) საცხოვრებელი სადგომების განაწილება კოოპერატივის წევრთა შორის, აგრეთვე კოოპერატივის წევრთათვის ნებართვის მიცემა პაის გადასაცემად;

ვ) შესასვლელი და საპაიო შენატანების ოდენობის დაწესება;

ზ) კოოპერაციული სახლის (სახლების) ექსპლუატაციისა და მოვლა-პატრონობის წესის, ამ მიზნით შენატანების, მათ შორის კოოპერატიული სახლის (სახლების) კაპიტალური რემონტის შენატანების, ვადებისა და ოდენობის განსაზღვრა. კაპიტალური რემონტის შენატანების ოდენობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

თ) კოოპერატივის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევა;

ი) კოოპერატივის გამგეობასა და სარევიზიო კომისიაზე შემოსული საჩივრების განხილვა; გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა ვადამდე გამოწვევა;

კ) კოოპერატივის შტატის მუშაკთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცება ადგილობრივი საბჭოების სახბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციების შესაბამის მუშაკთათვის დაწესებული ოდენობით;

ლ) კოოპერატივის სახლში სამსახურებრივი საცხოვრებელი ფართობის გამოყოფა მომსახურე პერსონალისათვის;

მ) წყალსადენის, კანალიზაციის, თბომომარაგების ქსელების, ელექტროქსელების, გაზის მოწყობილობის, ლიფტების და სხვა მოწყობილობის გადაცემა დადგენილი წესით სახბინაო-სამშენებლო კოოპერატივის ბალანსიდან კომუნალური მეურნეობის შესაბამის საწარმოთა ბალანსზე;

ნ) კოოპერატივის გამგეობის წევრთა და აქტივის წახალისება.

კოპერატივის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის საკითხს წყვეტს კოოპერატივის წევრთა საერთო კრება.

44. კოპერატივის წევრთა საერთო კრებას (რწმუნებულთა კრებას) მოიწვევს გამგეობა წელიწადში ერთხელ მაინც (კალენდარული წლის გასვლის შემდეგ), ხოლო რიგგარეშე კრებას — ათი დღის ვადაში კოოპერატივის წევრთა (რწმუნებულთა) ერთი მესამედის, აგრეთვე სარევიზიო კომისიის, იმ საწარმოს დაწესებულების ან ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის მოთხოვნით, რომელთანაც შექმნილია კოოპერატივი, კოოპერატივის ადგილსამყოფელის მიხედვით სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის მოთხოვნით.

45. **კოოპერატივის წევრთა საერთო კრება (რწმუნებულთა კრება) უფლებამოსილად ითვლება, თუ მასში მონაწილეობს კოოპერატივის წევრთა (რწმუნებულთა) საერთო რაოდენობის ორი მესამედი მაინც.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრე კოოპერატივის წევრთა (რწმუნებულთა) ხმის უბრალო უმრავლესობით.

საერთო კრება, რომელიც მოწვეულია ისეთი საკითხების გადასაწყვეტად, როგორიცაა საპაიო შენატანებისა და სპეციალური ფონდების ოდენობა, კოოპერაციული სახლის (სახლების) ექსპლუატაციისა და მოვლა-პატრონობის წესი, ამ მიზნით შენატანების ოდენობა, კოოპერატივის წევრად მიღება და წევრობიდან გარიცხვა, კოოპერატივის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, უფლებამოსილად ითვლება, თუ მას ესწრება კოოპერატივის წევრთა (რწმუნებულთა) საერთო რაოდენობის ოთხი მეხუთედი. გადაწყვეტილება ამ საკითხებზე მიიღება დამსწრეთა ხმის უმრავლსობით (სამი მეოთხედი).

46. კოოპერატივის გამგეობა აირჩევა ორი წლის ვადით კოოპერატივის წევრთაგან არანაკლებ სამი კაცის შემადგენლობით და არის კოოპერატივის აღმასრულებელი ორგანო, რომელიც ანგარიშს აბარებს კოოპერატივის წევრთა საერთო კრებას (რწმუნებულთა კრებას).

გამგეობა თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს, მის მოადგილეს (მოადგილეებს), მდივანს.

47. გამგეობის მოვალეობაა:

ა) უზრუნველყოს კოოპერატივის მიერ მოქმედი კანონმდებლობის, კოოპერატივის საქმიანობასთან დაკავშირებით სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის მითითებების და კოოპერატივის წესდების დაცვა;

ბ) კონტროლი გაუწიოს იმას, რომ კოოპერატივის წევრებმა დროულად გადაიხადონ დაწესებული გადასახდელები და დაიცვან კოოპერატივის წევრთა სხვა მოვალეობანი;

გ) შეადგინოს გეგმები, ხარჯთაღრიცხვები და ანგარიშები და წარადგინოს ისინი კოოპერატივის წევრთა საერთო კრების (რწმუნებულთა კრების) დასამტკიცებლად;

დ) წინასწარ განიხილოს მოქალაქეთა განცხადებანი კოოპერატივის წევრად მიღების, კოოპერატივიდან გარიცხვის შესახებ და სხვა საკითხებზე, რომლებიც საერთო კრების (რწმუნებულთა კრების) კომპეტენციას განეკუთვნება;

ე) მართოს სახლის მეურნეობა;

ვ) დაიქირავოს მუშები და მოსამსახურეები სახლის მეურნეობის მომსახურებისათვის და დაითხოვოს ისინი;

ზ) დადოს ხელშეკრულებანი, მისცეს სსრ კავშირის მშენებანკის დაწესებულებას ვალდებულებანი სახელმწიფო კრედიტის დასაფარავად, გააფორმოს და შეასრულოს სხვა გარიგებანი კოოპერატივის სახელით;

თ) განახორციელოს ტექნიკური ზედამხედველობა კოოპერატივის სახლის (სახლების) მშენებლობისადმი, თუ ამ მშენებლობის შემკვეთის ფუნქციები გადაცემული არა აქვს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შესაბამის განყოფილებას (სამმართველო), და მონაწილეობა მიიღოს თავისი წარმომადგენლის მეშვეობით სახლის (სახლების) საექსპლუატაციოდ მიმღებ სახელმწიფო კომისიაში;

ი) წარუდგინოს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საქალაქო, რაიონული, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასკომს განაცხადები და გაანგრიშებანი საპროექტო და სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა გეგმაში კოოპერატივისათვის საჭირო სამუშაოთა შესტანად;

კ) წარმოადგინოს კოოპერატივი სასამართლო და ადმინისტრაციულ დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში;

ლ) აწარმოოს კოოპერატივის წევრთა სია, განახორციელოს საქმის წარმოება, საბუღალტრო და სტატისტიკური აღრიცხვა და ანგარიშგება;

მ) მოამზადოს და ჩაატაროს კოოპერატივის წევრთა საერთო კრებები (რწმუნებულთა კრებები);

ნ) ჩააბაროს ანგარიში კოოპერატივის წევრთა საერთო კრებას (რწმუნებულთა კრებას) წელიწადში ერთხელ მაინც;

ო) შეასრულოს ამ წესდებიდან გამომდინარე სხვა ვალდებულებანი.

48. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის გამგეობა იმ მიზნით, რომ უფრო ფართოდ ჩააბას კოოპერატივის წევრები კუთვნილი საბინაო ფონდის მართვაში, საჭიროების კვალობაზე ქმნის საზოგადოებრივ-დამხმარე ორგანოებს (კომისიებს, საბჭოებს), რომლებიც ხელს უწყო-

ბენ მას საცხოვრებელი სადგომების გამოყენების გაუმჯობესების, ჯეროვანი მოვლა-პატრონობისა და ექსპლუატაციის ღონისძიებათა განხორციელებაში, ამ საკითხებზე წინადადებათა მომზადებასა და შეტანაში.

49. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის გამგეობას იწვევს გამგეობის თავმჯდომარე თვეში ერთხელ მაინც როგორც კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარის ინიციატივით, ისევე სარევიზიო კომისიის ან გამგეობის წევრთა მოთხოვნით.

კოოპერატივის გამგეობის გადაწყვეტილებანი მიიღება გამგეობის წევრთა ხმის უმრავლესობით ღია კენჭისყრით.

გამგეობის სხდომათა ოქმებს ხელს აწერს ყველა დამსწრე წევრი, ხოლო საერთო კრებების (რწმუნებულთა კრებების) ოქმებს — კრების თავმჯდომარე და მდივანი.

კოოპერატივის წევრთა საერთო კრებების (რწმუნებულთა კრებების) ყველა ოქმი, გამგეობის სხდომათა ოქმები გამგეობის თავმჯდომარის არჩევის, კოოპერატივის წევრად მიღებისა და კოოპერატივიდან გარიცხვის (მათ შორის საცხოვრებელი სადგომების გაცვლასთან დაკავშირებით) საკითხებზე ხუთი დღის ვადაში წარედგინება სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასკომს.

50. კოოპერატივის წევრებს საპაიო შენატანები შეაქვთ ბანკის დაწესებულებებში მას შემდეგ, რაც მათ დაამტკიცებს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

კოოპერატივის გამგეობის მიერ საპაიო, შესასვლელი შენატანების, აგრეთვე სხვა გადასახდელების მიღება ნაღდ ფულად არ დაიშვება.

51. კოოპერატივის გამეგობას უფლება აქვს განაგოს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სახსრები, რომლებიც მის ანგარიშებზე ინახება ბანკში, კოოპერატივის წევრთა საერთო კრების (რწმუნებულთა კრების) მიერ დამტკიცებული საფინანსო გეგმისა და მშენებლობის კრებსითი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

52. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე არის მართვის კოლეგიური ორგანოს ხელმძღვანელი და ახორციელებს ყოველდღიურ ხელმძღვანელობას კოოპერატივის საქმიანობისადმი, უზრუნველყოფს საერთო კრების (რწმუნებულთა კრების) და კოოპერატივის გამგეობის გადაწყვეტილებათა შესრულებას.

53. სარევიზიო კომისიას არანაკლებ სამი წევრის შემადგენლობით ირჩევს საერთო კრება (რწმუნებულთა კრება) კოოპერატივის წევრთაგან ორი წლის ვადით და არის ორგანო, რომელიც კონტროლსა და რევიზიას უწევს კოოპერატივის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას.

სარევიზიო კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს .

სარევიზიო კომისიის მოვალეობაა:

ა) ჩაატაროს წელიწადში ერთხელ მაინც კოოპერატივის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზია და ანგარიში რევიზიის შედეგების შესახებ ჩააბაროს კოოპერატივის წევრთა საერთო კრებას (რწმუნებულთა კრებას). გამგეობის თანხმობით რევიზიებში მონაწილეობისათვის შეიძლება მიწვეულ იქნენ შესაბამისი სპეციალისტები;

ბ) შეამოწმოს სახელმწიფო სესხისა და სხვა დაწესებულ გადასახდელთა სწორად და დროულად დარიცხვა და შეტანა ბიუჯეტში;

გ) შეამოწმოს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წესდების დაცვა;

დ) შეამოწმოს კოოპერატივის წევრთა საერთო კრებების (რწმუნებულთა კრებების) გადაწყვეტილებათა შესრულება გამგეობის მიერ.

მოქმედი კანონმდებლობისა და კოოპრატივის წესდების დარღვევის, კოოპერატივის გამგეობის ან კოოპერატივის ცალკეულ წევრთა არასწორი მოქმედების გამოვლენის შემთხვევაში სარევიზიო კომისია ამის შესახებ აცნობებს კოოპერატივის წევრთა საერთო კრებას (რწმუნებულთა კრებას), ხოლო საჭირო შემთხვევებში —სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საქალაქო, რაიონული, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასკომს და სხვა ორგანოებს.

54. გამგეობისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში ერთსა და იმავე დროს არ შეიძლება შედიოდნენ ცოლ-ქმარი, მშობლები, შვილები, შვილიშვილები, ღვიძლი დები, ძმებ და მათი მეუღლეები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

55. საფინანსო წლის დამთავრების შემდეგ ორი თვის განმავლობაში კოოპერატივი მოვალეა წარუდგინოს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საქალაქო, რაიონული, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასკომს კოოპერატივის წევრთა საერთო კრების (რწმუნებულთა კრების) მიერ დამტკიცებული ანგარიში გასული წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შესახებ და მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვა.

56. სამოქალაქო-უფლებრივი დავა კოოპერატივსა და მის წევრებს შორის უნდა გადაწყდეს სასამართლო წესით, ხოლო დავას კოოპერატივსა და სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის განიხილავს სახელმწიფო არბიტრაჟი.

კოოპერატივის საქმიანობის შეწყვეტა და მისი საქმეების ლიკვიდაცია

57. კოოპერატივის საქმიანობა წყდება, მისი საქმეებისა და ქონების ლიკვიდაცია ხდება იმ შემთხვევებში, როცა:

ა) კოოპერატივი სასამართლოს მიერ ცნობილია ვალაუვალად;

ბ) კოოპერატივის ადგილსამყოფელის სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით, ცნობილ იქნა, რომ კოოპერატივმა გადაუხვია წესდებაში აღნიშნულ მიზნებს.

გ) კოოპერატივის წევრთა საერთო კრებამ საჭიროდ სცნო მისი ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია (შეერთება, გაყოფა ან მიერთება). კოოპერატივის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილება კოოპერატივის ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შესახებ უნდა დაამტკიცოს კოოპერატივის ადგილსამყოფელის სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასკომმა.

58. კოოპერატივის ქონება, რაც დარჩენილია კოოპერატივისათვის წაყენებული ყველა პრეტენზიის დაკმაყოფილების, ბანკის სახელმწიფო კრედიტის დასაფარავად ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების და კოოპერატივის წევრთათვის საპაიო შენატანების მიცემის შემდეგ, აგრეთვე კოოპერატივის ყველა საქმე და დოკუმენტი გადაეცემა კოოპერატივის ადგილსამყოფელის სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

59. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს, რომლებიც ლიკვიდირებული კოოპერატივის სახლებში ცხოვრობენ, ეძლევათ უპირატესი უფლება დადონ მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება.

60. კოოპერატივის რეორგანიზაციის შემთხვევაში დაცული უნდა იქნეს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 37-ე და 39-ე მუხლების მოთხოვნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი და მოქალაქეთა უფლება-მოვალეობანი

დავით სუხიტაშვილი

კოოპერატიული ბინათმშენებლობა მოქალაქეთა ბინით დაკმაყოფილების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წ. 17 აპრილის დადგენილებით მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამინისტროებსა და უწყებებს დაევალათ „უფრო ფართოდ გამოიყენონ მოსახლეობის სახსრები ბინების მშენებლობისათვის საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის მეშვეობით".

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის მართვის სრულყოფის მიზნით მიღებული ნორმატიული აქტებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 30 აგვისტოს № 578 დადგენილებით დამტკიცებული „საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდება".

ახლადმიღებული სანიმუშო წესდებით კოოპერატივის ორგანიზაციის წესი ძირითადად იგივეა რაც ადრე იყო, მაგრამ არის აგრეთვე გარკვეული სიახლეებიც.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1985 წლის 5 ივლისს დაადგინა, რომ ახალგაზრდული საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები შეიქმნას ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან კომკავშირის რაიონული კომიტეტის წინადადებით, ხოლო საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან — ამ ორგანიზაციათა შრომითი კოლექტივების, კომკავშირულ და პროფკავშირული ორგანიზაციების წინადადებით. დადგენილია, რომ ახალგაზრდული კოოპერატივის წევრები შეიძლება იყვნენ 30 წლამდე ასაკის მოქალაქენი. ამ სიახლემ კი ასახვა ჰპოვა სანიმუშო წესდებაში და ჩვეულებრივ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივთან ერთად გაჩნდა „ახალგაზრდული საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი".

ახლებურად არის გადაწყვეტილი კოოპერატივის დაფინანსების საკითხიც. ადრე კოოპერატივს სახელმწიფო სესხი ეძლეოდა სახლის მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 60 პროცენტამდე 10-15 წლის ვადით, დღეს კი იგი მიიღებს სახლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 70 პროცენტამდე კრედიტს 25 წლის ვადით.

გაფართოვდა კოოპერატივის წევრთა მატერიალური სტიმულირების ღონისძიებებიც: ამასთან გათვალისწინებულია, რომ კოოპერატიული საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად და კრედიტის ნაწილობრივ დასაფარავად უსასყიდლო მატერიალური დახმარების წესით გაცემული სახსრები საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს 5 წლის ვადაში უნდა დაუბრუნონ კოოპერატივის წევრებმა იმ შემთხვევაში, თუ საკუთარი სურვილით არასაპატიო მიზეზით შრომის დისციპლინის დარღვევის ან დანაშაულის ჩადენისათვის დაითხოვენ სამსახურიდან.

მკაცრადაა რეგლამენტირებული საბინაო-სამშენებლო კოოპერატიული სახლების მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის წესი: კოოპერატივებს, როგორც წესი, მიწის ნაკვეთი გამოეყოფათ მასობრივი საბინაო მშენებლობის რაიონებში, რომელთაც აქვთ გზები, მაგისტრალური საინჟინრო კომუნიკაციები და ახლოს მდებარეობენ იმ საწარმოსთან, დაწესებულებასთან და ორგანიზაციასთან, რომლებთანაც კოოპერატივია შექმნილი.

თუ კოოპერატივისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე მდებარეობენ სახელმწიფო საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ასაღები შენობა-ნაგებობანი, მათი ღირებულება ჩამოიწერება ამ ორგანიზაციათა ბალანსიდან.

თუ ნაკვეთი გამოიყოფა კოლმეურნეობების ან სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სარგებლობაში გადაცემული მიწებიდან, მიწათმოსარგებლეთა ყოველგვარ ზარალს აანაზღაურებენ ის ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, რომლებმაც გადაწყვეტილება მიიღეს კოოპერატიული სახლის მშენებლობის შესახებ. ეს წესი არ გავრცელდება მაშინ, როცა კოოპერატიული საცხოვრებელი სახლი შენდება უშუალოდ კოლმეურნეებისათვის, კოლმეურნეობის სპეციალისტებისათვის, ან სხვა კოოპერაციული საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაკებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები თავისუფლდებიან პირადი საკუთრების ასაღები სახლების, ნაგებობების, ნარგავებისა და ნათესების ღირებულების, ნაგებობების დაშლისა და ნაგვის გატანასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებისაგან, ასევე ასაღები სახლებიდან გადასახლებულ პირთათვის ბინების მიცემისაგან. ამ ხარჯებს ანაზღაურებენ და გასახლებულ პირებს ბინებს აძლევენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები. (სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 19 აგვისტოს № 765 დადგენილების მე-6 პუნქტი, 1983 წლის 21 ოქტომბრის № 1015 დადგენილება, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 24 დეკემბრის № 829 დადგენილება).

ცალკე აღნიშვნის ღირსია, რომ დებულებით „ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შესახებ" (მე-8 მუხლი), საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები განთავისუფლდნენ შენობათა გადასახადისა და იმ ნაკვეთების მიწის გადასახადისაგან, რომლებიც ამ კოოპერატივის წევრებს მუდმივი სარგებლობისათვის აქვთ მიცემული.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის მოქმედი წესებისაგან განსხვავებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ნებართვით, 1965 წლის 16 მარტის დადგენილებით უფლება მისცა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, რომ კოოპერატიული სახლის მშენებლობისათვის გამოეყოთ მიწის ის ნაკვეთებიც, რაც გამოყენებული იყო ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისათვის. მაგრამ ასეთ დროს კოოპერატივი აანაზღაურებდა სახლების აღებასთან დაკავშირებულ ხარჯებს და ბინით დაკმაყოფილებდა იქიდან გამოსახლებულ მოქალაქეებს. კოოპერატივისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის ასეთმა წესმა ბევრი დავა და გაუგებრობა გამოიწვია.

როგორც წესი, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივს თავისუფალი საცხოვრებელი სადგომი არ გააჩნია, ამიტომ გასახლებული მოქალაქეების ბინით დაკმაყოფილება ხდებოდა არა ასაღები სახლიდან გამოსახლების დროს, არამედ კოოპერატიული სახლის მშენებლობის დამთავრების შემდეგ. ამის გამო პრაქტიკაში დამკვიდრდა ე. წ. „საგარანტიო ხელშეკრულების" ინსტიტუტი. შედარებით მარტივად მთავრდებოდა ურთიერთობა ერთის მხრივ კოოპერატივსა და მეორეს მხრივ საგარანტიო ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარეს შორის, რომელიც მოთმინებით ელოდა კოოპერატიული სახლის მშენებლობის დამთავრებას, მაგრამ ის, ვისაც არ ჰქონდა საშუალება წლობით დალოდებოდა ბინას ე. წ. საგარანტიო ხელშეკრულებას ცვლიდა მზა ბინაზე, რაც თავის მხრივ კანონის უხეში დარღვევაა. კონფლიქტს ისიც ართულებდა, რომ გაცვლის შედეგად კოოპერატივში ახლადმიღებული წევრი არ იხდიდა საპაიო და კოოპერატივის წევრთა შესასვლელ შენატანებს.

ამ და სხვა წინააღმდეგობათა აღმოფხვრის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1974 წ. 28 სექტემბერს გააუქმა 1965 წლის 16 მარტის დადგენილება.

კოოპარატივსა და აღებული სახლებიდან გასახლებულ ე. წ. გარანტიის მფლობელ მოქალაქეთა ურთიერთობის გარკვევისა და კოოპერატიული სახლების ასაშენებლად გაცემული სახელმწიფო კრედიტის დროულად დაფარვის უზრუნველყოფისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1983 წლის 25 აპრილს მიიღო სპეციალური დადგენილება.

ბინით სარგებლობა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივში დაფუძნებულია კოოპერატივის წევრობაზე. კოოპერატივის სანიმუშო წესდების მე-5 და მე-11 პუნქტების თანახმად კოოპერატივში გასაწევრიანებლად საჭიროა პირი მონაწილეობდეს კოოპერატივის შექმნაში და იყოს ამ კოოპერატივის დამფუძნებელი, ხოლო სხვა შემთხვევაში მას წევრად მიიღებს საერთო კრება. რომელსაც შემდგომ დაამტკიცებს რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასკომი.

როცა განვიხილავთ კოოპერატივის წევრად მიღების წესს, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კოოპერატივიდან გარიცხული ან გარდაცვლილი წევრის ოჯახის წევრებს და ახლო ნათესავებს წარმოეშობათ კოოპერატივის წევრად მიღების უპირატესი უფლება. დავას ამ საკითხზე სასამართლო წყვეტს, მაგრამ ისმის კითხვა: სასამართლო გადაწყვეტილების შემდეგ საჭიროა თუ არა კოოპერატივის წევრად მიღების საკითხი განიხილოს საერთო კრებამ? ამაზე პასუხს იძლევა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი (1978 წლის 16 ივნისის № 6 დადგენილების მე-17 პუნქტი) მაგრამ ვფიქრობთ, იგი ამომწურავად მაინც არ არის განმარტებული. ჩვენი აზრით, საკითხის სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობისათვის მიკუთვნება და სასამართლო გადაწყვეტილების სავალდებულობის პრინციპიდან გამომდინარე კოოპერატივის საერთო კრებას ასეთი პირის წევრად მიღების პასუხისმგებლობა მოხსნილი აქვს და მან მხოლოდ

ამ პირის კოოპერატივის წევრთა სიაში ჩარიცხვის, რეგისტრაციის მოვალეობა უნდა შეასრულოს.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივში შესვლის მსურველ მოქალაქეთა აღრიცხვა ხორციელდება საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვისა და საცხოვრებელი სადგომის მიცემის წესების შესაბამისად. ეს იმას ნიშნავს, რომ პირი კოოპერატივის წევრად მიღებამდე აღრიცხვაზე უნდა იყოს. ამავე წესების მე-11 პუნქტის თანახმად წარმოებასთან, დაწესებულებასთან და ორგანიზაციასთან შექმნილ კოოპერატივში შეიძლება გაწევრიანდეს საბინაო პირობებგასაუმჯობესებელი მოქალაქე, რომელსაც მოცემულ დასახელებულ პუნქტში მუდმივად ცხოვრებისა და ჩაწერის შესაბამისი სტაჟი არ აქვს და ამდენად არც აღრიცხვაზე იმყოფება, მაგრამ ამ საწარმოს, დაწესებულების და ორგანიზაციის მუშაკთა შორის არ არიან კოოპერატივში გაწევრიანების მსურველი საბინაო პირობებგასაუმჯობესებელი სხვა პირები.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-11 მუხლის თანახმად სრული სამოქალაქო ქმედუნარიანობა წარმოიშობა სრულწლოვანების შემდეგ ე. ი. თვრამეტი წლის ასაკიდან. ეს იმას ნიშნავს, რომ კოოპერატივის წევრად მიღებისათვის დაწესებულია 18 წელი. ამ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებით საყურადღებოა კოოპერატივის გარდაცვლილი წევრის არასრულწლოვანი მემკვიდრის კოოპერატივის წევრად მიღება. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია პრინციპულად ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება, ერთნი მოითხოვენ გარდაცვლილი კოოპერატივის წევრის არასრულწლოვანი მემკვიდრის კოოპერატივის წევრად მიღებას, მეორენი კი ამის წინააღმდეგნი არიან[1].

ჩვენ ვთვლით, რომ როგორც ერთ, ისე მეორე მოსაზრებას აქვს გამამართლებელი და საყოფი მოტივირებული საფუძვლები, ხომ დადგენილია, რომ კოოპერატიული ბინით სარგებლობის ერთადერთი საფუძველი კოოპერატივის წევრობაა. ამატომ, თუ გარდაცვლილი კოოპერატივის წევრის ოჯახში მხოლოდ არასრულწლოვანი მემკვიდრე დარჩა, რა თქმა უნდა სადგომის სარგებლობის შენარჩუნებისათვის მისი წევრად მიღება აუცილებელია. მაგრამ, რადგან კოოპერატივის წევრობა მოიცავს არა მარტო ქონებრივ ურთიერთობებს, არამედ პირად არაქონებრივ ურთიერთობებსაც (მაგალითად საერთო კრებაზე მონაწილეობის უფლება) ხოლო მათი განხორციელება მესამე პირის მიერ არავითარი რწმუნებით და მათ შორის არც მეურვეობით არ დაიშვება,[2] არასრულწლოვანების კოოპერატივის წევრად მიღება ფორმალურ ხასიათს მიიღებს.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდებამ დადებითი სიახლე შეიტანა ამ დავის გადაწყვეტისას. წესდების მე-40 პუნქტის მე-6 ნაწილში ნათქვამია: „კოოპერატივის გარდაცვლილი წევრის არასრულწლოვანი მემკვიდრეები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობდნენ მასთან ერთად, ინარჩუნებენ უფლებას ისარგებლონ საცხოვრებელი სადგომით სრულწლოვანების მიღწევამდე და შეიძინონ კოოპერატივში შესვლის უფლება“.

კოოპერატივში შესვლის დროს კოოპერატივის წევრმა უნდა მიუთითოს, თუ ვინ ჩასახლდება მასთან ერთად კოოპერატიულ ბინაში მისი ოჯახის წევრთაგან, რადგან სწორედ ოჯახის წევრთა რაოდენობასა და საპაიო შენატანის ოდენობაზეა დამოკიდებული გამოყოფილი ბინის მოცულობა და ოთახების რაოდენობა. სანიმუშო წესდების 43-ე პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად კოოპერატივის წევრთა შორის საცხოვრებელი სადგომების განაწილება კოოპერატივის საერთო კრების კომპეტენციაა, რა წესით და როდის უნდა მოხდეს ბინების განაწილება, წესდებით არ არის გათვალისწინებული. არსებული პრაქტიკის მიხედვით კი, როგორც წესი, კოოპერატივის წევრებს შორის ბინების განაწილება ხდება კენჭისყრით, სახლის მშენებლობის დამთავრების შემდეგ.

მიგვაჩნია, რომ კოოპერატიული ბინების განაწილება უნდა ხდებოდეს სახლის მშენებლობის დაწყებამდე, რადგან აუცილებელია კოოპერატივის წევრმა იცოდეს თუ მერამდენე სარ-

---

[1] Ш. Д. Чиквашвили. Личные и имущественные правоотношения в жилищных кооперативах, Москва — 1973 г. стр. 40, 41, 42, 43; В. И. Замятин, М. А. Нечецкий, Комментарий к примерному уставу жилищно-строительного кооператива, Москва — 1974 г., стр. 12; Д. П. Ватман, М. С. Липецкер, В. М. Хинчук, Кооперативы, квартира, дача, гараж, Москва — 1982 г. стр. 26. 27.

[2] პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როცა კოოპერატივის წევრის ნაცვლად კოოპერატივის კრებაზე მონაწილეობენ მისი ოჯახის წევრები, რაც კანონის უხეშ დარღვევად უნდა ჩაითვალოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თულზე და რა ბინას მიიღებს. ამის მიხედვით გადაწყდება შემდეგში მისი კოოპერატივში დარჩენის თუ კოოპერატივიდან გასვლის საკითხი. ამ საკითხზე ბევრჯერ აღინიშნა სპეციალურ ლიტერატურაში[3] და ამან ჩანს, ზოგიერთ რესპუბლიკაში დადებითი შედეგიც გამოიღო.[4]

სახლის მშენებლობის დაწყებამდე ბინების განაწილებას ბევრი სიკეთე გააჩნია. არსებული წესით საქართველოს სსრ სახმშენს შეუძლია ნება დართოს კოოპერატივს, რათა სახლის მშენებლობის დროს აწარმოოს გაუმჯობესებული მოპირკეთება და დააყენოს უფრო სრულყოფილი მოწყობილობები. ამ დროს ხარჯები უნდა ანაზღაურდეს კოოპერატივის საკუთარი სახსრებიდან სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ხელახლა დაუმტკიცებლად და ბუნებრივია. ეს სამუშაოები ცალკეულ ბინებშიც უნდა განხორციელდეს. ცხადია, ყველა მობინადრეს ერთნაირი მოპირკეთება-მოწყობილობა არ მოეწონება და მათი სურვილის გათვალისწინება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ ბინები სახლის მშენებლობის დაწყებამდე განაწილდება. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ იგი საშუალებას მოგვცემს დავზოგოთ მშენებლობის დამთავრების შემდეგ გაწეული ხარჯები, რომელსაც კოოპერატივის წევრები ეწევიან მოპირკეთებასა და მოწყობილობების დაყენებაზე და ა. შ.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატიულ ბინაზე გაცემული ორდერის მნიშვნელობაზე ყოველთვის სხვადასხვა აზრი იყო. საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 128-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით „საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სახლის ბინებში ჩასახლება ხდება აღმასკომის მიერ გაცემული ორდერების საფუძველზე. ორდერის გაცემაზე უარის თქმა შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოს წესით". დაახლოებით ასეთივე შინაარსისაა სანიმუშო წესდების 27-ე პუნქტიც. როგორც ვხედავთ, კოდექსის 128-ე მუხლის შესაბამისად კოოპერატიულ ბინებზე გაცემულ ორდერს საცხოვრებელ სადგომებზე უფლების წარმოშობის მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. დღეს დავას არ იწვევს, რომ კოოპერატიულ ბინაზე უფლებას წარმოშობს კოოპერატივის წევრობა. თავისთავად ორდერის გაცემაზე უარის გასაჩივრება სასამართლო წესით იმის აღიარებაა, რომ კოოპერატივის წევრი ორდერის გარეშეც მოიპოვებს ბინაზე უფლებას ანუ ჩასახლების უფლებას.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1978 წლის 16 ივნისის დადგენილების მე-2 პუნქტში აღნიშნულია, რომ საერთო კრების მიერ კოოპერატივის წევრთა შორის ბინების განაწილებას აღმასკომი აფორმებს ორდერის გაცემით. ვფიქრობთ, არც ეს დებულებაა სწორი, რადგან კოოპერატიულ ბინაზე კოოპერატივის წევრის უფლება ფორმდება საერთო კრების გადაწყვეტილებით და არა ორდერით.

ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ პროფესორ შ. ჩიკვაშვილის აზრს, რომ კოოპერატიულ ბინაზე გაცემული ორდერი აღმასკომის მიერ კონტროლის განხორციელების საშუალებაა.[5] ორდერის გაცემის დროს აღმასკომი ამოწმებს მხოლოდ კოოპერატივში გაწევრიანების კანონიერებას, გადასახდელი პაის ოდენობის სისწორეს, ოჯახის რამდენ წევრზე და ვისზეა გაცემული ბინა და ა. შ.

კოოპერატივის წევრთა სხვა უპირატეს უფლებათა შორის აღსანიშნავია სანიმუშო წესდების 35-ე პუნქტით გათვალისწინებული უპირატესობა, რომ მიიღოს ამ სახლში განთავისუფლებული ბინა. ახალმა სანიმუშო წესდებამ ამ საკითხთან დაკავშირებით ახალი პრობლემები წამოჭრა. სანიმუშო წესდების 35-ე პუნქტში აღნიშნულია: „თუ განთავისუფლებულ ბინაზე პრეტენზიას აცხადებს კოოპერატივის რამდენიმე წევრი და ერთ-ერთი არ ეთანხმება საერთო კრების გადაწყვეტილებას, მაშინ დავას იმის შესახებ თუ რომელი მათგანი უნდა იქნეს მიღებული კოოპერატივის წევრად, წყვეტს საერთო კრება, რომლის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლო წესით".

მოცემული ნორმა სრულ გადასინჯვას მოითხოვს, თორემ როგორ შეიძლება კოოპერატივის წევრმა გადაწყვეტილება გაასაჩივროს იმავე საერთო კრებაზე, რომელმაც მას უარი უთხრა, ეს ხომ იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ ერთსა და იმავე საკითხზე ორი გადაწყვეტილება გამოვიდეს ან რა საჭიროა, გამონთავისუფლებული ბინის კოოპერატივის წევრზე მიკუთვნებისას

---

[3] В. И. Замятин, М. А. Нечецкий, Комментарий к примерному уставу жилищно-строительного кооператива, Москва — 1974 г. стр. 63—64.

[4] Д. Ватман, М. Липецкер, В. Хинчук, Кооперативы, квартира, дача, гараж. М., 1982 г., стр. 35.

[5] Ш. Д. Чиквашвили, Личные и имущественные правоотношения в жилищных кооперативах, Москва — 1973 г. стр. 119.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი მეორედ მიიღონ კოოპერატივის წევრად. ეს ხომ სრული ულოგიკობაა. საცხოვრებელი სადგომების განაწილება კოოპერატივის წევრთა შორის კოოპერატივის საერთო კრების კომპეტენციაა და ამასთან დაკავშირებული დავა არ შეიძლება სასამართლოს დაექვემდებაროს. სწორედ ამიტომაა აღნიშნული სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1978 წლის 16 ივნისის დადგენილებაში, რომ დავა განთავისუფლებული ბინის განაწილების შესახებ კოოპერატივის წევრებს შორის სასამართლოს არ ექვემდებარება. სასამართლოს მხოლოდ მაშინ ექვემდებარება დავა კოოპერატივის წევრის სარჩელის გამო, როცა გამონთავისუფლებული ბინა საერთო კრებამ არა კოოპერატივის წევრს მიაკუთვნა.

გამომდინარე აქედან, ვფიქრობთ, სანიმუშო წესდების 35-ე პუნქტში უნდა შევიდეს სათანადო ცვლილებები.

როგორც წესი, კოოპერატიულ სახლში გამონთავისუფლებული ბინა კოოპერატივის წევრის ოჯახის წევრზე ნაწილდება მათი კოოპერატივის წევრად მიღების გზით. რა თქმა უნდა კოოპერატივს აქვს ამის უფლება, მაგრამ ისმის კითხვა, კოოპერატივის წევრის ოჯახის წევრებს აქვთ თუ არა წესდების 35-ე პუნქტით გათვალისწინებული უპირატესი უფლება, მიიღონ გამონთავისუფლებული ბინა, ხოლო უარის შემთხვევაში მიმართონ სასამართლოს? ი. ტოლსტოის, ვ. ზამიატინის, მ. ნეჩეცკის აზრით კოოპერატივის წევრის ოჯახის წევრს უპირატესი უფლება აქვს მიიღოს გამონათავისუფლებული ბინა და თუ უარს ეტყვიან, მიმართოს სასამართლოს[6].

დ. ვატმანი კი სრულიად საწინააღმდეგო პოზიციას იცავს.[7] და ჩვენც მას ვემხრობით. კოოპერატივის წევრის ოჯახის წევრის უპირატეს უფლებაზე, მიიღოს გამოთავისუფლებული ბინა, არაფერია ნათქვამი არც სანიმუშო წესდებაში და არც სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებაში.

კოოპერატივის წევრის უფლებები რომ განსხვავდება მისი ოჯახის წევრის უფლებებისაგან ეს თვით კოოპერატივის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარეობს. კოოპერატივის წევრის ოჯახის წევრის უფლებები ნაწარმოებია, სხვისგან გამომდინარე, მეორეული. იგი დამოკიდებულია კოოპერატივის წევრთან ურთიერთობაზე. კოოპერატივის წევრს მისი ოჯახის წევრისაგან განსხვავებით უფლება აქვს ჩაისახლოს თავის ბინაში ნათესავები, გააქირავოს დაკავებული სადგომი, გაცვალოს და ა. შ. მართალია, ამისათვის საჭიროა ოჯახის წევრის თანხმობა, მაგრამ უარის შემთხვევაში მისი გასაჩივრება შეიძლება სასამართლოში.

რაც შეეხება ოჯხის წევრს, მას უფლება აქვს ჩაისახლოს მხოლოდ არასრულწლოვანი შვილი, სადგომის გაქირავებისა და გაცვლის უფლება კი არა აქვს. სანიმუშო წესდების 32-ე პუნქტის მიხედვით კოოპერატივის წევრს უფლება აქვს ნება დართოს თავისი ოჯახის წევრს, გაუცვალოს დაკავებული სადგომის ნაწილი სხვა პირს, თუ ეს უკანასკნელი ბინაში ჩასახლდება როგორც კოოპერატივის წევრის ოჯახის წევრი. კოოპერატივის წევრის უარი ასეთ გაცვლაზე არ გასაჩივრდება.

ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს კოოპერატივის წევრის ოჯახის წევრის ყველა უფლება დამოკიდებული იყოს კოოპერატივის წევრზე. მას გააჩნია დამოუკიდებელი უფლებებიც. მათ კოოპერატივის წევრთან ერთად ბინით სარგებლობის თანაბარი უფლება აქვთ და ამ უფლებას ინარჩუნებენ ოჯახური ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგაც.

კოოპერატივის წევრსა და მისი ოჯახის წევრებს შორის დავა უმთავრესად სარგებლობის წესის განსაზღვრის დროს წარმოიშობა. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1978 წლის 16 ივნისის დადგენილება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის წესის განსაზღვრას ანსხვავებს საცხოვრებელი სადგომის გამოყოფისაგან. საცხოვრებელი სადგომის იზოლირებულად გამოყოფა შეიძლება მოითხოვოს კოოპერატივის წევრის განქორწინებულმა მეუღლემ, რომელსაც აქვს აგრეთვე უფლება პაიზე. საცხოვრებელი სადგომისა და პაის გაყოფის შემთხვევაში განქორწინებული მეუღლე მიიღება კოოპერატივის წევრად. ამ დებულებამ ასახვა ჰპოვა სანიმუშო წესდების 39-ე პუნქტში.

სასამართლო პრაქტიკა სადგომის სარგებლობის წესის განსაზღვრას ფაქტობრივად არ იც-

---

[6] Ю. К. Толстой, Советское жилищное законодательство, изд. Ленинградского университета, 1974 г. стр. 57; В. И. Замятин, М. А. Нечецкий, Комментарий к примерному уставу жилищно-строительного кооператива, Москва, 1974 г. стр. 94.

[7] Д. Ватман, М. Липецкер, В. Хинчук, Кооперативы, квартира, дача, гараж, Москва, 1982 г. стр. 82—83.

ნობს მისი მნიშვნელობის გაურკვევლობის გამო. მის მნიშვნელობაზე კი არაფერია ნათქვამი არც სანიმუშო წესდებაში და არც 1978 წლის 16 ივნისის სასამართლო პლენუმის დადგინილებაში. „სარგებლობის წესის განსაზღვრის" ნაცვლად პრაქტიკაში ვხვდებით გამოთქმას — სადგომის „იზოლირებულად გამოყოფა სარგებლობის უფლებით". ამ ტერმინის არასწორად გამოყენებამ განსაზღვრა მისი მნიშვნელობის ვიწრო გაგებაც. სასამართლოები ამ ტერმინში ყოველთვის მხოლოდ სადგომის იზოლირებულად დაყოფას გულისხმობენ, მაშინ როცა ბინაში შესახლებაც სარგებლობის წესის განსაზღვრაა. ასევე სარგებლობის წესის განსაზღვრით შეიძლება დადგინდეს ყოფილი რძლისა და მულის ერთი საძინებელი ოთახით სარგებლობა და ა. შ.

არასწორად მიგვაჩნია საერთოდ ტერმინის — „სარგებლობის წესის განსაზღვრის" შეცვლა „გამოყოფით". გამოყოფა და გაყოფა მხოლოდ იმისი შეიძლება, რაც საერთოა. პაიზე უფლების მქონე განქორწინებულ მეუღლეებს ბინით სარგებლობისა და განკარგვის ერთნაირი უფლებები აქვთ. სწორედ ამიტომ ბინის და პაის გაყოფა მეუღლეთა შორის ლოგიკურია. ოჯახის სხვა წევრის უფლება კოოპერატიულ ბინაზე კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დამოუკიდებელი უფლება არ არის, განსხვავდება კოოპერატივის წევრის უფლებისაგან და ამიტომ ამგვარი გაყოფა არ შეიძლება.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდების მე-40 პუნქტის მე-8 ნაწილმა მეტად საჭირო წესი შემოიღო. კოოპერატივის გარდაცვლილი წევრის მეუღლე, პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავი, და, ძმა, რომლებიც მოცემულ დასახლებულ პუნქტში ცხოვრობენ და საჭიროებენ საბინაო პირობების გაუმჯობესებას, სარგებლობენ კოოპერატივში შესვლის უპირატესი უფლებით, თუ ბინაში არ ცხოვრობენ გარდაცვლილი კოოპერატივის წევრის ოჯახის სხვა წევრები. თუმცა ამ სიახლემ ბევრი რამ გაართულა კიდეც: ახალი სანიმუშო წესდების სამოქმედოდ შემოღების შემდეგ, როგორც წესი, კოოპერატივები გამოთავისუფლებულ ბინას არ ანაწილებენ კოოპერატივის წევრის გარდაცვალებიდან ექვსი თვის გასვლამდე, მოითხოვენ მემკვიდრეობის უფლების მოწმობას და ამით კოოპერატიულ ბინაზე სამემკვიდრეო სამართლებრივ რეჟიმს ავრცელებენ. წინააღმდეგობათა თავიდან აცილებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია, წესდების მე-40 პუნქტის მე-8 ნაწილის სიტყვა „მემკვიდრეებს" შევცვალოთ სიტყვით „ნათესავებს".

კოოპერატივის სანიმუშო წესდების მე-12 პუნქტის მე-2 ნაწილის მიხედვით „თუ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი ხელმეორედ მიიღებს კანონმდებლობის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას ან გადაწყვეტილების გასაუქმებლად მიცემულ ერთი თვის ვადაში არ გადასინჯავს თავის გადაწყვეტილებას, სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასკომი გამოიტანს საბოლოო გადაწყვეტილებას".

როგორც ვხედავთ, წესდების მე-12 პუნქტით აღმასკომს მინიჭებული აქვს კოოპერატივის მართვის ფუნქციები. სპეციალურ ლიტერატურაში არაერთხელ გამოითქვა აზრი, რომ სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს უფლება არა აქვთ შეასრულონ კოოპერატივის საერთო კრების ფუნქციები, (მაგალითად, გაანაწილონ ბინები და სხვა)[8], მათ შეუძლიათ მხოლოდ გააუქმონ საერთო კრების გადაწყვეტილება. ამიტომ საბინაო კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია, სანიმუშო წესდების მე-12 პუნქტის მე-2 ნაწილის გაუქმება.

ასეთია მოკლედ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდების სიახლენი.

---

[8] В. И. Замятин, М. А. Нечецкий, Комментарий к примерному уставу жилищно-строительного кооператива, Москва; 1974 г., стр. 65; Ш. Д. Чиквашвили, Личные и имущественные правоотношения в жилищных кооперативах, Москва, 1973 г. стр. 117.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ქმნა მართლისა სამართლისა...“

ედუარდ ყიფიანი, თამაზ შავგულიძე

გულახდილი საუბარი

მამია და გოჩა შებინდებისას მივიდნენ ბიძინასთან. მასპინძელს ბუხარი გაეჩაღებინა, იქვე ტაბლა დაედგა, მაგრამ პურმარილის ნაცვლად ზედ ფურცლები გაეშალა. ხელით მიიპატიჟა სტუმრები.

— ყველაზე მეტი დრო ადვოკატად მუშაობისას მქონდა და სწორედ მაშინ წამოვიწყე დისერტაციის საქმე, — თქვა ბიძინამ.

— ხომ დაიცავი? — მოეწყო სავარძელში მამია.

— კი, მაგრამ, ჯერ დანაშაულის მიზეზების ფსიქოლოგიური მხარის შესწავლა მინდოდა, ამან კი ექსპერიმენტი მოითხოვა, გამიჭირდა და დისერტაცია დანაშაულის სოციალურ მხარეზე ავაგე. რაც ადრე არ გამომადგა, ახლა დაგვჭირდა...

— რა არის ასეთი?

— გუშინ რომ წაგიკითხეთ, იმ პროცესის გაგრძელებაა. ეს საქმე იმიტომ შევარჩიე, რომ პროცესიცა და დანაშაულიც ტიპური იყო, არც დამნაშავეები გამოირჩეოდნენ ორიგინალობით. თითქმის დანაშაულის მოტივებიც ცხადია... კანონზომიერება კი ტიპურში უნდა ეძებო და არა გამონაკლისში.

— კი, სწორია. ასეა ყოველთვის...

— შენი არ იყოს, მამია, არც მე დამაკმაყოფილა იმ პროცესის განჩინებებმა, რადგან პასუხი არ გაეცა კითხვას — რატომ ჩადის კაცი დანაშაულს? ვერც თეორიაში ვნახე ამომწურავი პასუხი. ვისთვის მეკითხა? ბევრი ფიქრის შემდეგ, უბრალო დასკვნა გავაკეთე: მესაუბრა თვით პატიმრებთან, ოღონდ, ერთი აუცილებელი პირობით, საუბარი გულახდილი უნდა ყოფილიყო, რასაც მივაღწიე კიდეც. ერთი სიტყვით, დავიწყოთ გრძელიძით! — ხმას აუწია ბიძინამ და ჩანაწერები მოიმარჯვა:

— ღმერთმა გაგიმარჯოთ! — მიპასუხა გრძელიძემ და ყურადღებით შემათვალიერა. დაჯდა, ფეხი-ფეხზე შემოიდო.

— ხომ მიცნობთ, ვინც ვარ?

— კი, გიცნობთ, — თავი დამიქნია.

სიგარეტი და ასანთი ამოვიღე ჯიბიდან, მაგიდაზე დავაწყვე უბრალოდ, ჩვეულებრივად მეჭირა თავი.

— არ დაგიმალავთ, თქვენთან სასაუბროდ საგანგებოდ მოვემზადე.... მინდა გულწრფელად ვისაუბროთ... თუ შეიძლება?

— რატომაც არა? — დინჯად დამეთანხმა, თავისი სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა, — „სროკი“ უკვე ავიკიდე, დასაკარგი რაღა მაქვს.

— როცა მომესალმეთ, ღმერთი ახსენეთ, თქვენ რა, გწამთ?

— მწამს.

— რა გწამთ, საერთოდ ღმერთი, თუ კონკრეტულად რომელიმე რელიგია?

— მამა, ძე და სულიწმინდა, — პირჯვარი გადაისახა გრძელიძემ.

— ამ საკითხზე კამათი შორს წაგვიყვანს...

— არც გამოგვივა, მწამს და მორჩა!

— კარგი! ერთი რამ მინდა გკითხოთ, იმ საქმეში მონაწილეობდით, თუ არა?

ცალი ყბით გაიღიმა:

— კი ვმონაწილეობდი.

— მეც ასე მომეჩვენა. სამხილები საკმაოდ დასაბუთებული იყო.

— იყო...

— რატომღა დადექით უარზე?

— სასამართლოზე სწორი ჩვენების მიცემა „გრეხია“. ქურდი მართლმსაჯულებას არ უნდა დაეხმაროს...

— ქურდმა არც ყაჩაღობა უნდა ჩაიდინოს, ესეც ხომ „გრეხია“.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საბჭოთა სამართალი“, 1986 წ. №№ 1-6, 1987 წ. № 1, 2,3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იმ არიფის ბრალია ყველაფერი... თუმცა, არა, ჩემი ბრალია; მასთან „პადდელნიკად“ არ უნდა გავსულიყავი! მართლა არ მეგონა, თუ იმ ბინაში ვინმე იქნებოდა.

მცირე დუმილის შემდეგ განაგრძო:

— რადგან დაგვხვდნენ, მერე „მოტეხვა“ მათი „დაწვა“ იქნებოდა. არც ეს შეიძლება.

— ახლა რა გელით?

— არ ვიცი. „ქსივი“ უკვე გაუშვეს. მე ჩემი „აპრავდანიები“ მაქვს; იქნებ არც „ჩამარტყან“.

— ის მაგნიტოფონი რაღა იყო?

— ჩემი იყო, მართლა! ორი კვირით ადრე მივიტანე, ფული ვისესხე და გირაოდ დავუტოვე.

— ფული დაგჭირდათ?

— არა, „ბაითი“ დავათვალიერე. ხომ უნდა მცოდნოდა, რაზე მივდიოდი.

— ერთი რამის გაგება მინდა კიდევ. რატომ აირჩიეთ ქურდის ბედი. ეს, ალბათ, ფულის შოვნის მიზნით არ ხდება.

ისე შემომხედა, რომ უცებ დავასწარი:

— იცით, რა! არასწორ პასუხს, მირჩევნია პირდაპირ მითხრათ, რომ არ მიპასუხებთ. ხომ იცით, მე არც მილიციელი ვარ, არც — მოსამართლე. სულაც არ ხართ ვალდებული, მიპასუხოთ. პირფერობაში ნუ ჩამომართმევთ და ჭკვიანი ახალგაზრდა ხართ, რომ მოგენდომებინათ, ფულს სხვა, ნაკლებსახიფათო გზითაც იშოვნიდით... თქვენ კი ქურდობა აირჩიეთ. არ ვიცი, იქნებ ვცდები, მაგრამ ეს არ უნდა იყოს მხოლოდ ფულის შოვნის წადილით გამოწვეული...

— კი, სწორია,

— მაშ, რა არის?

კარგა ხანს იფიქრა, ბოლოს თქვა:

— ქურდულ სამყაროს გარკვეული უპირატესობა აქვს სხვა დანარჩენთან შედარებით. ეს არის სრული დემოკრატიზმი. ქურდი ხარ, კაცი ხარ, არც ბატონი ხარ, არც ყმა. უფრო მაღალი და დაბალი თანამდებობები არ არსებობს. კი, არიან ლიდერები, მაგრამ მათ პროტექციით არ ნიშნავენ, ლიდერია მხოლოდ ის, ვისაც საამისო ღირსებები გააჩნია.

ისევ ჩაფიქრდა. დავაცადე, აზროვნების ძაფი არ გავუწყვიტე, შემდეგ ისევ დაიწყო:

— კიდევ, მორწმუნეობა. ადამიანს თუ რწმენა არა აქვს, რა კაცია!

— ესე იგი, ქრისტეს მცნებებს იზიარებთ?

— დიახ, ათივეს!

— ათთაგან ერთია — „არა იპარო“.

ღიმილით მიპასუხა:

— დიახ, არის. ქრისტე გოლგოთაზე რომ აიყვანეს ჯვარზე გასაკრავად, ხუთი ლურსმანი ჰქონდათ მზად. უნდა მიეჭედათ ხელებით, ფეხებით და მკერდით. ქურდმა ერთი ლურსმანი მოიპარა. მკერდით მილურსმა ვეღარ შეძლეს. ქრისტემ გარდაცვალებამდე დალოცა ის ქურდი და, ამით ქურდობაც.

— ჰო, მაგრამ ქრისტესთან ერთად ქურდიც რომ დასაჯეს...

— ბარაბა.

— დიახ. სიკვდილის წინ ქრისტემ ბარაბას ცოდვები განუტევა. ესე იგი, ქურდობას ისიც ცოდვად თვლიდა, თუ არა, განტევება რაში დაჭირდებოდა.

— ცოდვად ითვლებოდა, მაგრამ იმ ლურსმნის მოპარვის შემდეგ აღარ...

— ქურდობაში კიდევ თუ არის რამე საინტერესო?

— არის და ისიც დემოკრატიზმიდან მოდის. ქურდებს შორის ძალადობა, ცემა, ჩაგვრა — გამორიცხულია. იგი ხელშეუხებელია, მისი შეურაცხოფა არ შეიძლება. ეს, ცხადია, ურთიერთპატივისცემას წარმოშობს.

— ვთქვათ, ვინმე „ბაკლანი“ აგიხირდა!

— ყველა ღონე უნდა იხმარო, რომ ჩხუბი და აყალმაყალი თავიდან აირიდო. თუ სხვა გზა არ არის, უნდა მოითმინო, ღირსება დაიცვა. მოთმინებითა შენითა, მოიპოვე სული შენიო, ხომ გაგიგიათ?

საათზე დავიხედე;

— შეხვედრის დროდ მხოლოდ ერთი საათი მაქვს, თუ ნებას მომცემთ, კიდევ შემოგივლით.

არაფერი მიპასუხა.

* * *

ბაბეური შემოიყვანეს. ძლივს ვიცანი, სულ წამხდარიყო ბიჭი. ცარიელ სკამს დახედა და დაჯდა. იჯდა თავჩაქინდრული და თითქოს ხმის ამოღებას არ აპირებდა. შემეცოდა.

— რა იყო, ბიჭო, ავად ხომ არ ხარ?

თავი გაიქნია — არაო.

— ხომ არ გჩაგრავენ?

— ვინ დამჩაგრავს, იციან, რა საქმეზეც ვზივარ... ქოსას ხათრით ხმას ვინ გამცემს...

— ქოსა ვინ არის?

— ისაა... გრძელიძე.

— მოდი, პირდაპირ მითხარი: რატომ ჩაიდინე დანაშაული?

— მიჭირდა.

— ვანო, შენი დახმარება მინდა, ჩემი თხოვნაა სიმართლე მითხრა, რას ფიქრობ, კაცი დამნაშავე რატომ ხდება...

სიგარეტი მივაწოდე. თავი გაიქნია, არ ვეწევიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სუხიაშვილს და გრძელიძეს საიდან იცნობ? — არ მოვეშვი მე.

— ქოსა სულ ორჯერ მყავს ნანახი, სუხიაშვილმა გამაცნო...

— იმას საიდანღა იცნობ?

— ჩვენს სოფელში ჩამოდიოდა ხოლმე დასასვენებლად. აქაც მის უბანში ვიქირაეე ბინა შემთხვევით.

— თუ მართლა ოჯახის დარდი გქონდა, რატომ შინ არ დაბრუნდი?

— არ ვიცი. იქ ვერ გავძელი...

— სასამართლოზე რატომ თქვი, ქოსა არ იყო ჩვენთანო?

— ქურდის „ჩაშვება“ არ შეიძლება.

— სუხიაშვილმა გითხრა?

— კი.

— მითხარი ერთი, როგორ მოხდა ის ამბავი.

— ერთხელ ირაკლი შემხვდა. ხშირად ვნახულობდით ხოლმე ერთმანეთს უბანში. როდემდე გინდა ასე იყოო. მევახშეები ვიცი, ფულიც ბევრი აქვთ და სხვა რამეცო, ქურდსაც ვეტყვი, ყველაფერი „პა ზაკონუ“ იქნებაო, მე არ მინდოდა...

— თუ არ გინდოდა, რატომ ჰყვევი, გეშინოდა?

— არა, მიჭირდა...

— ისე გამოგერთმია ფული.

— მათხოვარი ხომ არ ვარ!

— მაშინვე დათანხმდი?

— მაშ რა უნდა მექნა — ირაკლის თვითონ არაფერი უნდოდა... ჩემი გულისთვის დადო თავი და არ წავსულიყავი?!

— თხუთმეტი მანეთი ხომ იმასაც ჭირდებოდა?

— ეგ „პონტი“ იყო, მე რომ არ „გამტეხოდა“, ჯიგარი ბიჭია...

— ესე იგი, შენს ნაცვლად სხვა ვარდებოდა ცეცხლში, უნდა მიჰყოლოდი, სხვა გზა აღარ გქონდა, ხომ სწორია?

— კი.

— ჰო, მართლა, გრძელიძე... ქოსა ხომ არაფერს იკეთებს?

დაფიქრდა. შემდეგ, ჭოჭმანით მითხრა:

— კარგად არ ვიცი.

— ახლა უნდა წავიდე. თუ რამე გინდა, მითხარი შემოგიტან.

— არა, არაფერი. ისე... მართლა, გავალ აქედან სამ წელიწადში?

— თუ არაფერს დაამავებ უფრო მალეც...

* * *

ირაკლი სუხიაშვილი თამამად, თავაწეული შემოვიდა ოთახში და ფეხი ფეხს შემოჰკრა მხედრულად:

— „ჩესტ იმეუ, პრივეტსკვოვატ!“

— როგორ ხარ, ირაკლი?

— არა უშავს. აქ ისეთი კლიენტები არიან, ამათ სანახავად ღირს ციტა ხანს ჯდომა.

— დაჯექი! ერთი, ეს მითხარი ქოსა რა კაცია?

— ქურდია.

— ამით ყველაფერი თქვი?

— თითქმის.

სიგარეტს მოუკიდა, სკამის საზურგზე გადაწვა და ჩემსკენ გამოაბოლა.

— მე მგონი, შენგან უპატივცემლობა არ დამიმსახურებია...

— თუ ქოსას ასავალ-დასავალი გინდათ, მას უნდა მიმართოთ, — არხეინად მიპასუხა.

— მე შენი აზრი მაინტერესებს... ამით შენი პიროვნება მინდა შევისწავლო, ამიტომ ყველაფერი მართალი უნდა მითხრა, გესმის?

— ქოსა მორფინისტია, — მომიჭრა მოკლედ.

— თუ არ ვცდები, ძალიან არ უნდა გეპიტნავებოდეს, არა?

— კისერი უტეხიათ, რომელი მაგათი გამრიგე მე ვარ! ძალიან კი იქაჩებიან, მაგრამ... ვნახე, რა ხალხიცაა...

— მაინც რა ხალხია?

— რაღაც აკლიათ. თუნდაც ის, ქოსა. კი, ჭკვიანი ბიჭია, მაგრამ... მაგათ აყოლას არ ვაპირებ, რაც უნდათ, ის უქნიათ...

— აბა, ის რა იყო, რატომ შეუვარდი იმ ხალხს?

— ეგ სხვა საკითხია... და საკმაოდ რთულიც.

— ვალის გასტუმრება გინდოდა და ფული უნდა გეშოვნა, არა?!

გაეღიმა.

— ნუ იცინი! ვიცი, რომ ეს მხოლოდ საბაბი იყო, თუმცა, თუ ჩავუკვირდებით, არც მთლად უბრალო საბაბი.

— რატომ არ იყო „მთლად უბრალო“?

— სასამართლოზე ტყიუილი არ გითქვამს, მამის ვალი გქონდა თხუთმეტი მანეთი და უეჭველად უნდა გაგესტუმრებინა. ის ფული მართლა მიუტანე მამაშენს?

— დიახ.

— გამოგართვა და ჯიბეში ჩაიდო?

— დიახ.

— არ უკითხავს, საიდან გქონდა?

— არა.

— რატომ? მეათეკლასელ ყმაწვილს ოჯახის გარდა ფულის შოვნის რა საშუალება უნდა ჰქონდეს...

— ძალიან უნდოდა გაეგო, მაგრამ ვერ მკითხა.

— რატომ?

— იცოდა, მაინც არ ვუპასუხებდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მამაშენს შენი ხელის დაფარება არ ჭირდება!

— რა ბრძანეთ?

— გასაგებია, ის მამაა, მე კი, უცხო კაცი, მაგრამ იმის დაფარვას რა აზრი აქვს, როცა ყველაფერი ვიცი.

— თუ იცით, რაღას მეკითხებით?

— შენზე უკეთ ვინ დამიდასტურებს...

მწარედ გაეღიმა.

— კარგი, გეტყვით! მამაჩემი არც კი დაინტერესებულა, თუ როგორ ვიშოვე ფული, ერთი სიტყვით, ფეხებზე ვეკიდე...

— მაგრამ ასეთ კაცს, რატომ გამოართვი ფული?

არაფერი მიპასუხა. ისევ მე შევეშველე:

— აუცილებელი იყო, რომ მისთვის გამოგერთმია ის თხუმეტი მანეთი? სხვანაირად არ შეიძლებოდა?

— როგორ არ შეიძლებოდა, შეიძლებოდა.

— ჰო, ვალის გადახდა ალბათ საბაბი იყო არა! ვანო ბაბეურს უხერხულობა რომ არ ეგრძნო, ხომ ასეა?

— დიახ, პირდაპირ გეტყვით, უხერხულია, კაცს უთხრა, შენ ძალიან გიჭირს, დახმარება კი არ შემიძლია, თუ გინდა, აგერ მევახშეები, წავართვათ, და შენი იყოს-თქო. მე ასე მგონია!

— მერე?

— კეთილშობილი კაცი... — შეყოვნდა.

— თქვი, თქვი! — მივუხვდი შეყოვნების მიზეზს — თუ სინამდვილეს ასახავს, არ უნდა მოვერიდოთ მაღალფარდოვან სიტყვებს...

— კი, ბატონო! კეთილშობილ კაცს არ შვენის, რომ სხვამ მისი გულისთვის საფრთხეში ჩაიგდოს თავი და თვითონ კი შორიდან უყურეს. ამიტომ, ვუთხარი, მეც ვალი მაქვს, თუ არ გავისტუმრე, არ შეიძლება მეთქი.

— ასეთი კეთილშობილი კაცია ბაბეური?

— ყოველ შემთხვევაში, მე ასე მინდა რომ იყოს!

— ქოსა რაღაში გჭირდებოდა?

— ასეთ საქმეში მეც გამოუცდელი ვიყავი და ვანოც, ქოსა კი პროფესიონალია...

— დარწმუნებული იყავით, რომ დავლაშელიძეები შინ არ იქნებოდნენ?

— რა მნიშვნელობა აქვს!

— როგორ არა აქვს! კაცი თუ შინ არ არის და ისე იპარავ ეს ქურდობაა, თუ მოსტაცებ — მძარცველობა, ხოლო თუ დანას მოუღერებ — ყაჩაღობა. სამივე შემთხვევა სხვადასხვანაირად ისჯება.

— ყველაზე მეტად ყაჩაღობა?

— რა თქმა უნდა!

— მე, პირადად, დარწმუნებული ვიყავი, რომ შინ იყვნენ.

— ამხანაგები შეგნებულად მოატყუე?

— შეგნებულად!

— რატომ?

— ქოსა ქურდია, ყაჩაღობას არ იკისრებდა, ვანოს კი შეეშინდებოდა...

— რატომ უკეთესი დრო არ შეარჩიე...

— ორივე ერთად არასდროს არ გამოდიოდა გარეთ. მთელი კვირა ვუდარაჯე. არადა, მე მაინცდამაინც მათი გაქურდვა მინდოდა... გაქურდვა, გაძარცვა, თუ სხვა რამე, სულერთია! მევახშეებს რამეს თუ წაართმევ, მართლაც მადლია. ამას ვერ გადამათქმევინებთ!

— არც ვაპირებ, ოღოდ, საქმე ის არის, რა გზით წაართმევ.

— მილიციისთვის მიმემართა?!

— შენ თუ მართლა მეგობრის დახმარების სურვილი გამოძრავებდა.... ძალიან მეპარება ეჭვი...

— მამაჩემსაც სულ ეჭვი ეპარება.

— მერე, გისაბუთებს, ხოლმე?

ჩაიცინა.

— მეც შემიძლია, დაგისაბუთო...

— რა?

— ჩემი ეჭვი.

— რას ეჭვობთ?

— რომ შენ მეგობრის გულისთვის არ ჩადექი ცეცხლში.

— საინტერესოა, გისმენთ!

— მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთხელ მაინც არ დაფიქრებულხარ, თუ როგორ ჩაცვივდით?! ან როგორ მოგაგნოთ მილიციამ?!

— კი, როგორ არა! ალბათ, დავლაშელიძეებმა იცნეს ქოსა. მანამდე ერთხელ იყო მათთან.

— ვთქვათ იცნეს. წავიდნენ მილიციაში და უჩივლეს, ასეთი და ასეთი კაცი იყო ერთიო?

— ჰო, ალბათ!

— ირაკლი, აბა დაუფიქრდი! დავლაშელიძეები მევახშეები კი არიან, მაგრამ სულელები — არა. მილიციაში გაიქცნენ, უჩივლეს და იმდენი ფული და საეჭვო ნივთები არ გადამალეს?!

— არა, არა! ქოსა არ გაგვყიდდა! — წამოიძახა ირაკლიმ.

— რატომ?

— არ იკისრებდა! კიდევაც რომ ნდომებოდა, ვერ გაგვყიდდა; ბოლომდე იმას იძახდა, მე არ ვყოფილვარო...

— მადლობა ღმერთს!

— რატომ აქამდე არ ვიფიქრე?!

— იქნებ, სწორედ იმიტომ არ იფიქრე, რომ...

— რომ?

— იმის გაფიქრება არ გინდოდა.

— რისი?!

— ირაკლი! არც ისეთი ბავშვი ხარ, საკუთარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავთან კუკუდამალობანა შეგეფერებოდეს....

— მე?! ჩემი ბრალია?!

— რა თქმა უნდა! რომ გამოდექი სკოლაში და უბანში, ასე ვქენი, ისე ვქენიო. ქოსაც ახსენე... ვითომ რაო, მილიციას ყურები არ ასხია?!

ფეხზე წამოვდექი:

— ახლა მეტი დრო არა მაქვს, ცოტა ხანში ისევ შემოგივლი. კარგად იყავი!

ადგილიდან არ დაძრულა გაოგნებული.

ბიძინამ კითხვა დაასრულა და მსმენელებს შეხედა.

— სულ ეს იყო? — ცოტა არ იყოს, გულგატეხილად იკითხა გოჩამ.

— გოჩა სწორია! — დაასკვნა მამიამაც, — ამას რა დიდი ამბავი უნდოდა — გრძელიძე ნამდვილი ქურდია, ბაბეურს გაუჭირდა და იქურდა, სუხიაშვილს კი გაჭირვებული მეგობრის დახმარება სურდა, ასე არ არის?

— კი, ისინიც ასე ფიქრობდნენ, მაგრამ არცერთი დასახელებული მიზეზი სწორი არ არის, — დაბეჯითებით, თქვა ბიძინამ, — მათ სწორად ვერ ახსენეს ჩადენილი დანაშაულის მიზეზები.

— ესე იგი მოგატყუეს?!

— არა, არ ტყუოდნენ, უბრალოდ მათი ნათქვამი სწორი არ იყო.

— ვერ გავიგე, ხელები გაშალა მამიამ.

— გრძელიძეს ქურდული „იდეოლოგია“ მოსწონდა და ამით ხსნიდა საკუთარ საქციელს, ბაბეური დარწმუნებული იყო, რომ გაჭირვებამ უბიძგა დანაშაულისაკენ, სუხიაშვილს კი ეშვიც არ ეპარებოდა, რომ მეგობრისათვის იღწვოდა.

— რა, სინამდვილეში არ იყო ასე?

— არა!

— მოდი გავერკვეთ! — წელში გაიმართა მამია, ან შენ გატყუებდნენ, ან ეგ მიზეზები ნამდვილი იყო ან... სისულელეა ყველაფერი...

— საკუთარ თავს იტყუებდნენ! — შეაჩერა ბიძინამ.

— როგორ?

— ხანდახან, ადამიანს ნამდვილის ნაცვლად მოჩვენებითი რამ ჰგონია საკუთარი ნამოქმედარის მიზეზი, რადგან ნამდვილი მიზეზების არსებობა არ უნდა, ესე იგი, ადამიანში ამ დროს დაცვითი მექანიზმი მოქმედებს...

— ეგ რაღაა?

— ჰო, ეს უკვე მეტად რთული საკითხია; ახლა ამას ვერ აგიხსნით, საამისოდ ჯერ მზად არა ხართ, შემდეგისთვის გადავდოთ. ერთ რამეში კი უნდა შევთანხმდეთ: ისინი არ ტყუოდნენ, ყველაფერი გულწრფელად თქვეს, თუმცა... მათი ნამოქმედარის ნამდვილი მიზეზები მათსავე ფსიქიკის, ასე ვთქვათ, სულის ღრმა შრეში იდო, მის მისაკვლევად კი საგანგებო ძიება იყო საჭირო....

— მაინც, როგორი?

— სწორედ ამიტომ მათ კიდევ ბევრჯერ შევხვდი...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფორმაცია

ავამაღლოთ სასამართლო პროცესების კულტურა

სკკპ XXVII ყრილობამ დიდი და სასახელო ამოცანები დაგვისახა. საბჭოთა ადამიანები დღეს გარდაქმნის სულისკვეთებით ცხოვრობენ და იმისათვის იღვწიან რომ წარმატებით გაანაღდონ აღებული ვალდებულებები, პირნათელნი იყვნენ პარტიისა და მთავრობის წინაშე. ამ ფონზე კიდევ უფრო ნათლად იკვეთება საკითხი მოქალაქეთა სამართლებრივი კულტურისა და სოციალისტური მართლშეგნების, კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების შესახებ. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, ანიჭებს რა უდიდეს მნიშვნელობას სასამართლოს, პროკურატურის, შინაგან საქმეთა და იუსტიციის ორგანოების საქმიანობას, უკანასკნელ ხანს მიიღო ბევრი ისეთი მნიშვნელოვანი დადგენილება, რომლებიც მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გასაძლიერებლად, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განსამტკიცებლად, საპროკურორო ზედამხედველობის როლის ასამაღლებლად არის გამიზნული. ამ დადგენილებებმა მყარი საფუძველი და ხელსაყრელი პირობები შექმნეს პარტიული, საბჭოთა და სამართალდაცვითი ორგანოების ნაყოფიერი საქმიანობისათვის, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის კიდევ უფრო განსამტკიცებლად.

სასამართლო პროცესების კულტურის ამაღლება კანონიერების განმტკიცების, საპროკურორო, საგამოძიებო, სასამართლო და საადვოკატო საქმიანობის გაუმჯობესების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა. სასამართლო ორგანოებისა და პროკურატურის მუშაკებს სწორედ ამიტომაც მოეთხოვებათ საბჭოთა კანონმდებლობის, უპირველესად კი სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის განსაკუთრებული ცოდნა, ფართო საერთო თვალსაწიერი. ჩვენი რესპუბლიკის ცალკეული სასამართლოების პრაქტიკაში, სამწუხაროდ, გვაქვს შემთხვევები, როცა სასამართლოს შემადგენლობა ინიციატივასა და აქტიურობას არ იჩენს სისხლის სამართლის საქმის მასალების გამოკვლევაში. ზოგჯერ სასამართლოები არ უზრუნველყოფენ პროცესებზე იმ მოწმეთა გამოცხადებას, რომელთა ჩვენებასაც საქმისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს და კმაყოფილდებიან წინასწარ გამოძიებაში მიცემული მათი ჩვენებებით. ვხვდებით არსებითი სახის სხვა დარღვევებსაც, რის შედეგად არასრულყოფილი სასამართლო გამოკვლევის, შეკრებილი მტკიცებულებების ცალმხრივობის, სასამართლო დასკვნების საქმის ფაქტიურ გარემოებებთან შეუსაბამობის გამო, ზემდგომი ინსტანცია აუქმებს სასამართლოების უსაფუძვლო განაჩენებს. გაუქმებულ განაჩენთა შედარებით დიდი რაოდენობაა ახალქალაქის, ბოგდანოვკის, გარდაბნის, დუშეთის, თერჯოლის, თიანეთის, წალკის რაიონების სახალხო სასამართლოებში. სასამართლოს, პროკურატურისა და გამოძიების ზოგიერთი მუშაკი კი კანონის უპატივცემულობას ამჟღავნებს, როდესაც მის მკაცრად დაცვას ფორმალობად თვლის და თვითნებობს.

შეუწყნარებლად დაბალია აგრეთვე სასამართლო ეთიკა, ანუ მოსამართლის, პროკურორის, ადვოკატის ქცევა სასამართლო პროცესზე, მათი დამოკიდებულება ერთმანეთისა და სასამართლო პროცესში მონაწილე სხვა პირების მიმართ. ამ ორგანოთა ავტორიტეტი კი სწორედ მათი ქცევითა და ურთიერთობით ფასდება. ზოგიერთი მოსამართლე თვლის, რომ კანონმა იგი შეუზღუდავი უფლებებით აღჭურვა და დასაშვებად მიაჩნია უხეშად მოეპყროს პროცესის მონაწილეებს, ერთპიროვნულად აღკვეთოს მათი კანონიერი მოთხოვნები. მოუთმენელია ზოგიერთ სამსჯავრო სხდომაზე პროკურორის ქცევა. იგი შენიშვნებს აძლევს სამართალში მიცემულებს, მოწმეებს, ექსპერტებს, ადვოკატებს, ზოგჯერ კი თვით თავმჯდომარესაც, ხოლო თავისი გამოსვლის შემდეგ ტოვებს სასამართლო დარბაზს და აღარ ესწრება განაჩენის გამოქვეყნებას.

განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს პროკურორებისა და ადვოკატების ურთიერთდამოკიდებულება. უნდა გვახსოვდეს, რომ ადვოკატი სასამართლო პროცესის კანონიერი მონაწილეა, და მის მიმართ უტაქტო გამოხტომები ლახავს არა მარტო ადვოკატურის, არამედ სასამართლოსა და პროკურატურის ავტორიტეტსაც. თავის მხრივ, ადვოკატებს უფლება არა აქვთ დაუშვან ნებადაურთველი საქციელი. სახალხო სასამართლოებში გამოსვლისას ისინი ზოგჯერ უხეშად პასუხობენ თავმჯდომარეს, კამათობენ წვრილმან ამბებზე, სამართალში მიცემულებსა და მოწმეებს აძლევენ შეუსაბამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კითხვებს, ფაქტიურად, ხელს უშლიან სასამართლო პროცესის მსვლელობას.

სწორედ ასეთ საკითხებზე გაიმართა მსჯელობა თათბირ-სემინარზე, რომელიც ამასწინათ გაიმართა თბილისში. თათბირ-სემინარმა ცხოველი დაინტერესება გამოიწვია, მის მუშაობაში მონაწილეობდნენ ქალაქებისა და რაიონების ტრანსპორტის პროკურორები, აგრეთვე პროკურატურის ის მუშაკები, რომლებიც ზედამხედველობას ანხორციელებენ სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაზე.

თათბირ-სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ პროკურორმა **ვ. ა. რაზმაძემ.** მოხსენებებით გამოვიდნენ: რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე **რ. გ. გილიგაშვილი** („სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეების განხილვაზე საპროკურორო ზედამხედველობის ეფექტურობის ამაღლების შესახებ სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობების გადაწყვეტილებათა შუქზე"), საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, **გ. ნ. ყოლბაია** (სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების ეფექტურობა მატერიალური ზარალის ანაზღაურებაში"), საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი **ა. კ. კვიწინია** („მართლმსაჯულების განხორციელების ოპერატიულობისა და ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ"), სსრ კავშირის პროკურატურის საკავშირო ინსტიტუტის დირექტორის პირველი მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი **ვ. გ. დიომინი** („გარდაქმნის მოთხოვნათა შუქზე სასამართლოში პროკურორის მონაწილეობის ზოგიერთი საკითხი"), საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი **ლ. მ. ზაიჩიკი** და სხვები.

შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობდნენ: აფხაზეთის ასსრ პროკურორი **ვ. ვ. ვარდაია,** ქ. თბილისის პროკურორი **თ. ს. ტუღუში,** ქ. რუსთავის პროკურორი **ა. ბ. ლომიძე,** ბოლნისის რაიონის პროკურორი **დ. გ. ერაძე,** ამიერკავკასიის ტრანსპორტის პროკურორი **რ. ვ. ყიფიანი,** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი **ა. ნ. ხონიაკინა** და სხვები.

სემინარის მონაწილეებისთვის წაკითხულ იქნა საინტერესო ლექციები: „სასჯელისადმი დიფერენცირებული მიდგომის შესახებ" (პროფესორი **ი. მ. გალპერინი**) „ტოქსიკომანიისა და ნარკომანიის ზოგიერთი მედიკო-ბიოლოგიური ასპექტი" (პროფესორი **გ. გ. ლეფავა**), „საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების დადგენილებებით სასამართლო-სამედიცინო ექსპერიზების დანიშვნა და ჩატარება" (საქართველოს სსრ ჯანდაცვის მთავარი სასამართლო სამედიცინო ექსპერტი **ე. გ. ოქროაშვილი**).

თათბირ-სემინარმა გვიჩვენა, რომ სასამართლოსა და პროკურატურის საქმიანობაში წამოჭრილი საკითხების განხილვა ხელს შეუწყობს სასამართლო პროცესების აღმზრდელობითი მნიშვნელობის ამაღლებას.

თათბირ-სემინარის მუშაობა შეაჯამა სსრ კავშირის პროკურატურის სამმართველოს უფროსის პირველმა მოადგილემ **ს. ა. გოლევმა.**

თათბირ-სემინრის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე **ნ. ს. შოშიაშვილი,** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე **ა. გ. კარანაძე,** საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ვ. რობინიშვილი,** ჟურნალ „საბჭოთა სამართლის" მთავარი რედაქტორი **ლ. გ. თალაკვაძე.**

ვლადიმერ ჟიონიდი

სასამართლო ორგანოების მუშაკთა აქტივის კრება

მიმდინარე წლის 24 ივლისს გაიმართა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ორგანოების მუშაკთა აქტივის კრება. კრებაზე მოწვეულ იყვნენ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოსა და პროკურატურის წარმომადგენლები, რესპუბლიკის სახალხო სასამართლოების თავმჯდომარეები და სახალხო მოსამართლეები, თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრები.

აქტივის კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა **ვ. შარაშენიძემ.** მოხსენებით გამოვიდა მინისტრის მოადგილე **ა. კვიწინია,** რომელმაც ანალიზი გაუკეთა რა სასამართლო ორგანოების მუშაკთა ექვსი თვის მუშაობის შედეგებს, კრიტიკული შეფასება მისცა ამ ხაზით გამოვლენილ ნაკლოვანებებს, კონკრეტული მაგალითები მოიყვანა მომხდარი შემთხვევებიდან და წამოა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყენა მთელი რიგი წინადადებები სასამართლო ორგანოების მუშაობის სტილისა და მეთოდების დახვეწის, მართლმსაჯულების შემდგომი განხორციელების გაუმჯობესების, სისტემის მუშაკთა შორის გარდაქმნის სულისკვეთების დამკვიდრებისა და სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის.

კამათში მონაწილეობდნენ აფხაზეთის ასსრ იუსტიციის მინისტრი **შ. ლაკობა,** სამხრეთ ოსეთის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე **ი. ენალდიევი,** თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე **ა. კობახიძე** ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე **ო. ბარათაშვილი,** საგარეჯოს რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე **ნ. გურჯიძე,** ბოლნისის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე **ს. არუთინიანი,** აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე **ვ. კვარაცხელია,** ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე **დ. ერქვანია,** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი **თ. რუსიაშვილი,** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. ყოლბაია.**

აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე **ზ. რატიანი,** მოადგილე **თ. ნინიძე,** საქართველოს სსრ პროკურატურის სამართველოს უფროსი **ნ. შაშკინი.**

კრებამ მიიღო მიმართვა რესპუბლიკის სასამართლო ორგანოების მუშაკებისადმი და დასახა ღონისძიებანი მათი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ადვოკატთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სხდომათა დარბაზში 1987 წლის 25 ივლისს გაიმართა რესპუბლიკის ადვოკატთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია რომელმაც ორი მოხსენება მოისმინა: ა) „მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის საქმეში ადვოკატთა პროფესიული მუშაობის ხარისხისა და ეფექტურობის ამაღლება" (მომხსენებელი საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე თ. ნინიძე). ბ) „ადვოკატურის კადრებთან მუშაობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შუქზე". (მომხსენებელი საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე დ. მახარაძე).

კონფერენციაზე მოწვეულ იყვნენ რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების იურიდიული კონსულტაციების გამგეები, ადვოკატები, ადვოკატთა კოლეგიის აქტივისტები.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. როინიშვილმა. მომხსენებლებმა და კამათში გამოსულებმა ვრცლად ილაპარაკეს იმ მნიშვნელოვან საკითხებზე, რომლებიც დღეს დგას ადვოკატთა კოლეგიის წინაშე. როგორც ცნობილია, უკანასკნელ ხანს მთელს ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სასამართლოს, პროკურატურის და იუსტიციის ორგანოების მუშაკთა ავტორიტეტის ამაღლებას. ამ ფონზე კი კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს და გაძლიერდეს ადვოკატურის ეფექტიანობა. ზემდგომი ორგანოების მხარდაჭერა იმას გულისხმობს, რომ ადვოკატებმა კიდევ უფრო მეტად იბრძოლონ თავიანთი საქმიანობის ძირეული გარდაქმნის, პროფესიული მუშაობის გაუმჯობესების, მისი ხარისხის ამაღლებისათვის. ასეთ პირობებში დღეს საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება ადვოკატთა რიგების განმტკიცებას პოლიტიკურად მომწიფებული, კვალიფიციური კადრებით, კოლეგიის რიგების შევსებას ძირითადად ახალგაზრდა სპეციალისტებით, მათ პროფესიულ დაოსტატებას და სტაჟირებას.

კამათში მონაწილეობდნენ იურიდიულ კონსულტაციათა გამგეები და ადვოკატები: ბ. ხომერიკი, ვ. კერესელიძე, მ. რობაქიძე, ა. გოგიბერიშვილი, ზ. ჯორჯიაშვილი, დ. სუხიტაშვილი, ქ. სუხიაშვილი, თ. ქერიმოვი, ქ. ღარიბაშვილი და სხვ.

კონფერენციის მონაწილეებმა რწმენა გამოთქვეს, რომ ადვოკატთა კოლეგიის წევრები მხარს აუბამენ იმ დიდ გარდაქმნებს, რაც ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს.

განხილულ საკითხებზე კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობილი სისხლის სამართლის საქმეები

მაფიის ისტორია

დიდი გულარი

მაფიის პირველი ოქროს საუკუნე

შეიძლება ითქვას, რომ 1814 და 1870 წლებს შორის, ოფიციალურად გამოჩენამდე, ესე იგი, იმ პერიოდის მანძილზე, რომელსაც რისორჯიმენტოს უწოდებენ, მაფია თითქმის მთლიანად სასოფლო მოვლენა იყო: მისი ძირითადი ინტერესები უმთავრესად სოფელთან იყო დაკავშირებული. რომის ხანგრძლივი ბატონობის ხანაში, რის შედეგადაც შეიქმნა ლატიფუნდიები, ვრცელი სასოფლო-სამეურნეო სამფლობელოები, რომელთაგან იგი ღებულობდა შემოსავლის დიდ ნაწილს, ვითარება თითქმის არ შეცვლილა. შეიცვალა მხოლოდ სახელწოდება. ლატიფუნდიების ნაცვლად გაჩნდა ვოტჩინები საუკუნეების მანძილზე ეს ვოტჩინები ეკუთვნით კუნძულის თავადაზნაურობას და, საერთოდ, ევროპის მთელ ისტორიაში სიცილიაზე არსებობს ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი ფეოდალური რეჟიმი. ცენტრალური ხელისუფლების უქონლობა და ამ მამულების დიდი მასშტაბების სიმრავლე სერიოზული პრობლემების წინაშე აყენებენ მათ მფლობელებს. ყველაზე დიდი უბედურება, რასაც ისინი ხშირად აწყდებიან, ეს არის ყაჩაღობა, რაც უმეტესად გამოიხატება გატაცებებით და გამოსასყიდის მოთხოვნით, ან პირუტყვის ქურდობით, ყაჩაღობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, მამულების მფლობელები იძულებული ხდებიან ხელშეკრულება დადონ ერთადერთ ძალასთან, რომელსაც შესწევს უნარი თუნდაც გარეგნულად მაინც დაიცვას წესრიგი, ესე იგი, მაფიასთან.

მაფია სწრაფად მიხვდა, თუ რა სარგებლობის მიღება შეეძლო ასეთი მდგომარეობით. ამისათვის საჭირო იყო ორ ფრონტზე მოქმედება, ერთი მხრივ, უნდა შეეკავებინა ყაჩაღები, მაგრამ ისინი არ უნდა დაეხოცა, რათა ბარონები მუდამ შიშში ყოფილიყვნენ, ხოლო, მეორე მხრივ, მათი ქონება თანდათანობით უნდა მეეთვისებინათ, რადგან სულ უფრო ძნელდებოდა საკუთარი თავის დაცვაც. დაახლოებით ასეც მოხდა. ის ბარონები, რომლებიც სულ უფრო და უფრო იზოლირებულები გახდნენ და სახიფათო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ერთმანეთის მიყოლებით დაიძრნენ ქალაქებისაკენ, თავიანთ მამულებს კი მმართველ „გაბელოტებს“ უტოვებდნენ, რომლებსაც წესრიგიც უნდა დაეცვათ და საარენდო გადასახადიც აეკრიფათ. ცხადია, ეს მმართველები უმეტესად მაფიის წევრები იყვნენ ან შექმნილი ვითარება აიძულებდა მათ გამხდარიყვნენ მისი წევრები. მიწათმფლობელობა გამგზავრებამ, საუკუნეზე ნაკლებ დროში, სიცილიაზე შექმნა სრულიად ახალი ვითარება, რაც ლამპედუზამ შესანიშნავად აღწერა და გაანალიზა. სოფლებში ახლა უკვე მაფია ბატონობს, ამკვიდრებს თავის წესრიგსა და ტერორს და გლეხებს გაცილებით მეტს სძალავს, ვიდრე ეს ბარონებს შეეძლოთ.

ამბობენ, რომ მაფია რისორჯიმენტოს პერიოდში პატრიოტულ სულისკვეთებას ამჟღავნებდა და, რომ მისი დახმარების გარეშე გარიბალდი ვერასოდეს მიაღწევდა წარმატებას. დაახლოებით ამასვე ლაპარაკობდნენ, როცა 1943 წელს მაფიამ მოკავშირეებს გაუადვილა კუნძულზე გადმოსხმა. არსებითად მაფია პატრიოტულ გრძნობებს ამჟღავნებს მხოლოდ მაშინ, თუ ეს ემთხვევა მის ინტერესებს. უფრო ზუსტად, იგი ცდილობს საკუთარ სახლში იყოს სრული ბატონ-პატრონი და იკავებს სეპარატულ პოზიციას. იგი ასე იქცევა არა იმიტომ,

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. ჟურ. „საბჭოთა სამართალი“, 1987 წლის № 2, 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ სიცილიელ ხალხს მოუტანოს ნამდვილი თავისუფლება და საკუთარი ბედის გამგებლობა, არამედ მხოლოდ იმისათვის, რათა განამტკიცოს თავისი ძალაუფლება და დაიცვას საკუთარი ინტერესები. თუმცა, 1812 წლიდან ამ ინტერესებს საფრთხე შეექმნა. ამ წელს სიცილიის კონსტიტუციამ ფეოდალური რეჟიმი გააუქმა. თავდაპირველად ისე ჩანდა, რომ ეს გადაწყვეტილება მხოლოდ მიწათმფლობელებს ეხებოდა, მაგრამ სინამდვილეში იგი უმეტესად მაფიას შეეხებოდა, რომელიც უკვე იკავებდა მათ ადგილს, ანუ იწყებდა მათ განდევნას. მაშინ მაფიამ გადაწყვიტა, რომ ბურბონებისაგან თავის დახსნის მომენტი დადგა. აქამდე ბურბონები მას არც თუ ისე აღელვებდა, ჰოდა, გამოიყენა პირველივე ხელსაყრელი შემთხვევა, ესე იგი, გარიბალდის დროულად მოსვლა. ამავე მიზეზებით, რამდენიმე წლის შემდეგ, 1866 წელს, როცა სავოიის დინასტია მხოლოდ ისეთივე ოკუპანტები აღმოჩნდნენ, როგორებიც სხვები იყვნენ, მაფიამ მიიღო მონაწილეობა პიემონტელთა წინააღმდეგ პალერმოს აჯანყებაში.

მაგრამ კავურმა გადაწყვიტა, რომ სიცილია მაგრად მიება იტალიის „ჩექმისათვის". მაფია, ჩვეულებისამებრ შორსმჭვრეტელი და პრაგმატული, მხოლოდ იმით დაკმაყოფილდა, რომ ყველაფერი ეს მხედველობაში მიიღო. რამდენადაც პიემონტელები ახალი ბატონ-პატრონები გახდნენ და ნაკლებსაიმედოდ ჩანდა მათი გაძევების შესაძლებლობა, ჯობდა მათთან საერთო ენის გამოძებნა. მაფია ახლაც ერთგული დარჩა თავისი პოლიტიკის მიმართ და იმის ნაცვლად, რომ წინააღმდეგობა გაეწია მათთვის, ცდილობდა დახმარების მიღწევას უფრო ძლიერისაგან. მაფია კვლავ შეეგუა და შეეწყო ახალ პირობებს. სულ მალე ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ თითქოს ყველაფერი შესანიშნავად შეესაბამებოდა მის რეალურ ინტერესებს. 1873 წლის ივნისში გენერალურმა პროკურორმა დიეგო ტაიანმა გადაუჭარბებლად თქვა:

— მონრეალის რაიონში მუშაობს მაფიის არანაკლებ ექვსი ხელმძღვანელი. შეუძლებელია მათ წინააღმდეგ მოქმედება. თქვენ იცით, რა პოსტები უკავიათ მათ? ერთი მათგანი პოლიციის ადგილობრივი მეთაურია, ხოლო ხუთი — ეროვნული გვარდიის ოფიცრები არიან. მონრეალში არავის არ კლავენ და არავითარ დანაშაულს არ სჩადიან მათი ნებართვის, რომ არ ვთქვათ, ბრძანების გარეშე.

დონ ვიტო — „ხალხის მეგობარი"

სხვათა შორის, მიუხედავად ასეთი ძლიერებისა და უტიფრობისა, მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც მაფიას მისცა ის ნამდვილი სახე, რაც ჩვენ დღეს ვიცით.

თანამედროვე მაფიის შემქმნელად იწოდება ვიტო კაშო ფერო. ის იყო პირველი ჭეშმარიტი გამგებელი. იგი დაიბადა 1862 წელს პალერმოს მახლობლად სოფელ ბიზაკინოში. მისი მამა მეველედ მუშაობდა ბარონ ინგლეზესთან. სრულიად ყმაწვილი დაქორწინდა მასწავლებელზე, ვისი წყალობითაც დაეუფლა წერა-კითხვას. ეს გონებრივი ავლა-დიდება სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რათა იგი გამორჩეულიყო თავის წრეში. თუმცა იგი აღარ იყო გლეხი, მაგრამ ჯერ ვერც მაფიის წევრი გახდა. პირიქით, თავდაპირველად ისე ჩანდა, თითქოს მან გადაჭრით შეაქცია ზურგი მაფიას. საუკუნის დამლევს კუნძულზე პოლიტიკური სიტუაცია მეტად არეული იყო. ნახევარკუნძული და მოსული სოციალისტური და ანარქისტული დაჯგუფებები ცდილობდნენ თავიანთი იდეების გავრცელებას გლეხებში, რომლებიც კეთილად იყვნენ მათ მიმართ განწყობილნი და „ფაშოებში" გაერთიანებით ამ იდეების განხორციელებაც კი სურდათ. მალე ამბოხებანი ატყდა, რომლებიც მაფიის ეფექტიანი დახმარებით მკაცრად ჩაახშო ხელისუფლებამ. საინტერესოა, რომ ახალგაზრდა ვიტო წესრიგის მომხრე არ ყოფილა. იგი სულ სხვა ბანაკს თანაუგრძნობდა, ანარქისტი გახდა და თავის სოფელში ერთ პატარა ფაშოს (რაზმს) ჩაუდგა სათავეში. იგი მიწების დაკავებაშიც კი მონაწილეობდა, მაგრამ გლეხთა აჯანყება სწრაფად დათრგუნეს და ახალგაზრდა კაცი იძულებული გახდა ტუნისში გაქცეულიყო. ამით მისი პოლიტიკური კარიერაც დასრულდა. ახლა მის პატივმოყვარეობას სხვა რამ დაედო საფუძვლად. სხვათა შორის, ანარქისტთა ბანაკში ხანმოკლე ყოფნით მას რაღაც მაინც შემორჩა. დონ ვიტო სიცოცხლის ბოლო დღემდე თავის თავს „ხალხის მეგობრად" თვლიდა. იგი სიცილიაში დაბრუნდა 1894 წელს და მაშინვე მაფიაში შევიდა. ამ მომენტიდან მისი კარიერა იმდენად სწრაფი იყო, რამდენადაც ბრწყინვალე. მან შეიმუშავა დაცვის სისტემა და განახორციელა მრავალი გატაცება. ამის შედეგად დაგროვილი უზარმაზარი თანხებით მიწები შეისყიდა და კანონიერ საფუძველზე შეძლო თავისი ძლევამოსილების გაფართოება. 1898 წელს ბრალი დასდეს ერთი ახალგაზრდა ქალიშვილის გატაცებაში. იგი გაასამართლეს, მაგრამ ბოლოს გაამართლეს სამხილთა უკმარისობის გამო. მიუხედავად ასეთი წარმატებისა, იფიქრა, რომ უმჯობესი იქნებოდა თუ მას დაივიწყებდნენ და 1901

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა. ადგილობრივ მასფიასთან კონტაქტების დასამყარებლად რამდენიმე თვე ნიუ-იორკში დაჰყო, შემდეგ კი ახალი ორლეანისაკენ გასწია.

დონ ვიტო — „შავი ხელების“ დამაარსებელი

მაფიისათვის ამ გამგზავრებას ისტორიული მნიშვნელობა აქვს. მართლაც, ამერიკაში პირველად ჩამოვიდა ნამდვილი სიცილიელი დონი და დამყარდა ოფიციალური კავშირი ორ მაფიას შორის. ვიტოს ესმოდა თუ რა სარგებლობის მოტანა შეეძლო ამ კავშირს ორივე მაფიისათვის:

— ამერიკა აღმოაჩინა იტალიელმა, — ამბობდა იგი — მას მართავენ ირლანდიელები და ებრაელები, ეს კი უსამართლობაა.

მან ხელში აიყვანა თანამემამულენი, გაუზიარა მათ თავისი გამოცდილება და ამრიგად, მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი „შავი ხელების“ შექმნას. მისი წყალობით წვრილმა სიცილიელმა ემიგრანტებმა თავიანთ წინაპარრთა „უ პიცცუს“ (რეკეტის) მეთოდი გამოიყენეს და უფრო ფართო მასშტაბით განახორციელეს ცხოვრებაში, რითაც მფარველობა გაავრცელეს ისეთ სფეროებზე რაზედაც ადრე არავის არ უფიქრია.

1904 წელს დონ ვიტომ მიიჩნია, რომ „შავ ხელებს“ უკვე შეეძლო დამოუკიდებლად არსებობა და სიცილიაში გაემგზავრა, სადაც სხვა მნიშვნელოვანი ამოცანები ელოდა. თუმცა, იგი მჭიდრო კონტაქტებს კვლავ ინარჩუნებდა ახალ სამყაროში მოქმედ თანამოძმეებთან და თავის თანამემამულეთა იმიგრაციას ხელსაც კი უწყობდა, რათა მათ შეევსოთ ამერიკის ორგანიზაცია.

დონ ვიტო 42 წლის იყო. „შეერთებული შტატების ტურნემ“ განამტკიცა მისი პრესტიჟი. ახლა უკვე მას ცნობენ მაფიის უდაო თავკაცად. ამ წოდებამ მის წინაშე ყველა გზა გახსნა. თავადაზნაურობა და დეპუტატები, ეპისკოპოსები და მაღალი თანამდებობის ჩინოვნიკები მოხარულნი არიან მასთან მეგობრობით. პალერმოს უმაღლესი საზოგადოების საყვარელ ადამიანად გახდომა გლეხის შვილისა და ყოფილი წვრილი ანარქისტის თავისებური რევანში იყო. ამასთან, იგი არ მალავს არც თავის სიძულვილსა და არც თავის რეალურ მისწრაფებებს. მისი მიზანი უწინდებურად არის ძალაუფლება — სულ უფრო მეტი ძალაუფლება, სიმდიდრე — სულ უფრო მეტი სიმდიდრე. ამის მისაღწევად იგი კვლავ აფართოებს თავის ადგილ-მამულებს. მალე იგი კონტროლს უწევს კუნძულის თითქმის ყველა „კოსკას“, აფართოებს თავის მფარველობას და ოსტატურად წარმართავს „უ პიცცუს“.

დონ ვიტოსათვის ყველანაირი შემოსავალი მისაღებია. პალერმოს მათხოვრებსაც კი აქვთ მისი მფარველობის უფლება. ვიტო ღებულობს მათგან „უ პიცცუს“, რისთვისაც უზრუნველყოფს მათ ხალხმრავალი ადგილებით საეკლესიო კარიბჭესთან ან ქუჩის რომელიმე მონაკვეთში. შეყვარებულებმაც კი უნდა გადაიხადონ თავიანთი ლამაზმანების ფანჯრების ქვეშ დგომის უფლების მოპოვებისათვის. ცხადია, მათხოვრებისა და შეყვარებულებისაგან მიღებული სახსრებით დონ ვიტო ვერ იყიდის პალერმოში სასახლეს ან ახალ მამულს კონკა დ' ოროში, მაგრამ სრულიად სამართლიანად მიაჩნია, რომ მას მეტ პატივს სცემენ და მეტ მორჩილებას გამოუცხადებენ, თუ ყველა სიცილიელი იძულებული იქნება შეძლებისდაგვარად გაიღოს ვიტოსათვის თავისი წილი გადასახადი. როცა ყველას ერთნაირად ექცევი, მაშინ არც შური არსებობს.

დონ ვიტოს შესახებ ჰყვებიან ერთ ისტორიას, რომელიც, შესაძლოა, ლეგენდაა, რადგან ჯერ არავის დაუმტკიცებია, რომ მისი გმირი ნამდვილად იგი იყო, მაგრამ ეს ამბავი შესანიშნავად ასახავს სიცილიელთა დამოკიდებულებას ვიტოსადმი. ეს მოხდა 1909 წელს. „შავმა ხელებმა“ უკვე ბევრი თავშისაცემი გაუჩინა ამერიკის პოლიციას. ნიუ-იორკის პოლიციის პრეფექტმა ბინგჰემმა გადაწყვიტა, რომ სიცილიაში გაეგზავნა თავისი საუკეთესო აგენტი, ლეიტენანტი ჯოზეფ პეტროსინო, რომელსაც უნდა შეესწავლა მაფიის მეთოდები და ორგანიზაციული საკითხები, ასევე იტალიის პოლიციისაგან უნდა მიეღო დახმარების პირობა, რათა წერტილი დაესვათ მაფიის ახალგაზრდა წევრთა იატაკქვეშა იმიგრაციისათვის, რის წყალობითაც განუწყვეტლივ იზრდებოდა „შავი ხელები“.

ლეიტენანტი პეტროსინო პალერმოში ჩამოვიდა 28 თებერვალს და გამოგონილი სახელით დაბინავდა სასტუმრო „ოტელ დე ფრანსში“. იგი მაშინვე შეუდგა გამოძიებას და ისეთ სიფრთხილეს იჩენდა, რომ ეგონა ყურადღებას არავინ მაქცევსო. ერთი კვირის შემდეგ, საკუთარ თავში დარწმუნებულმა, თავის უფროსებს გაუგზავნა პირველი მოხსენება, რითაც იტყობინებოდა, რომ ყველაფერი კარგად მიმდინარეობდა და მისი ძიებანი წინ მიიწევდა. რამდენიმე დღის შემდეგ, დაახლოებით საღამოს 10 საათზე, როცა იგი მარინას მოედანზე მიაბიჯებდა, ვიღაცა კაცი გამოვარდა მანქანი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან და რევოლვერის ოთხი გასროლით მოკლა პეტროსინო. როცა პოლიცია მოვიდა, იგი უკვე მკვდარი იყო. მარინას მოედანი ხალხით იყო გადაჭედილი, მაგრამ არავის არაფერი დაუნახავს. და არც გაუგონია. რაც შეეხება მკვლელს, რომელიც მაშინვე მიიმალა, როგორ გაჩნდა ან როგორ გამოიყურებოდა, არავინ იცოდა. არ შეუნიშნავთ ისიც კი, თუ რა მარკის მანქანით იყო.

ᲬᲣᲜᲓᲐᲣᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ

როცა ცნობილი გახდა მოკლულის ნამდვილი სახელი, პალერმოში ყველამ მაშინვე გადაწყვიტა, რომ მკვლელობა ჩაიდინა თვით დონ ვიტომ. იმ საღამოს იგი სწორედ ერთ სენატორთან ვახშმობდა. ამბობენ რომ ვახშმობის დამთავრებამდე წამოდგა, ბოდიში მოუხადა მასპინძელს, ცოტა ხნით უნდა წავიდე, რათა ერთი სასწრაფო საქმე მოვაგვაროო და თავისი მანქანით გაემგზავრა. თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ იგი ისევ დაბრუნდა.

ხალხმა ეს მკვლელობა დონ ვიტოს მხოლოდ იმიტომ მიაწერა, რომ იგი სულ ცოტა, ორი ასპექტით იყო ყურადსაღები; ეს იყო წუნდაუდებელი დანაშაული (დამნაშავე ვერ იპოვეს) და ეს იყო მაფიის სტილის დანაშაული (მხოლოდ სიცილიის მაფიის ბატონ-პატრონს შეეძლო მიეღო თავის საკუთარ ტერიტორიაზე ამერიკის პოლიციის გამოწვევა).

პეტროსინოს მკვლელობამ, რომელიც უეჭველად მაფიის მოწყობილი იყო, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია იტალიასა და შეერთებულ შტატებში. პრეზიდენტმა რუზველტმა მიუსამძიმრა ლეიტენანტის ქვრივს, ხოლო სახელმწიფო დეპარტამენტმა იტალიის მთავრობას მოსთხოვა დამნაშავის მოძებნა. დონ ვიტო დაატაპიმრეს, მაგრამ დიდი წარმატების იმედი არ ჰქონდათ. იგი გაასამართლეს, მაგრამ მალევე გაანთავისუფლეს სამხილთა უკმარისობის გამო. ამის შემდეგ, ვაშინგტონის მოთხოვნის მიუხედავად, საქმე შეწყდა.

ამან დონ ვიტოს მეტი დიდება მოუტანა. მას მიქელე პანტალეონე თავის წიგნში „მაფია და პოლიტიკა“ ასე აღწერს:

„იგი იყო მაღალი, ელეგანტური და დახვეწილი; ხშირი, გრძელი წვერი მისადმი პატივისცემით განგაწყობდათ; ძნელად თუ დაიჯერებდით, რომ ის გაუნათლებელი მოურჯულებელი დამნაშავე იყო; დონ ვიტოს პრესტიჟმა წარმოუდგენელ სიმაღლეს მიაღწია: იგი სასურველი სტუმარი იყო წარჩინებულთა ოჯახებისათვის, მას მიესალმებოდნენ ყველაზე მაღალი მოღვაწენი, ისეთი ადამიანის ტიპური გულუხეობის თვისება გააჩნდა, რომელიც ვერ ასწრებს ფულის დათვლას და არც ის იცის, თუ საიდან მოდის იგი. როცა ის დასავლეთ სიცილიის პროვინციებში მოგზაურობდა, სოფლების მერები სოფლის გარეთ ხვდებოდნენ და ხელებს უკოცნიდნენ, რითაც მისადმი დიდ პატივისცემას გამოხატავდნენ“.

1909 წლის შემდეგ დონ ვიტოს მეფობა კიდევ 10 წელს გაგრძელდა; ამ პერიოდში მაფიამ ჯერ თავისი პირველი ოქროს ხანის აპოგეას მიაღწია, შემდეგ კი თანდათანობით მოექცა ფაშისტურ მახეში. მაგრამ 1909 წელს ასეთი შავბნელი მომავალი არაფრით არ იგრძნობოდა. პირიქით, „პატივცემული საზოგადოების“ საქმეებმა ჯერარნახულ ბრწყინვალებას მიაღწია. 1912 წელს საყოველთაო საარჩევნო კანონის შემოღება, წინასაარჩევნო ბრძოლასთან დაკავშირებით, მაფიისათვის მოულოდნელი მონაპოვარი იყო. ამ ბრძოლამ მას საშუალება მისცა დაპატრონებოდა „ვოტჩინებს“, ხოლო შემდეგ თავისი კონტროლის ქვეშ მოექცია ადმინისტრაციული კომუნები. ახლა უკვე მაფიის ხელმძღვანელები სოფლებისა და ქალაქების ბატონ-პატრონები გახდნენ, ხოლო დეპუტატები თავიანთ ადგილებს პარლამენტში მათ უმადლოდნენ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

«САБЧОТА САМАРТАЛИ» («Советское право»), № 4, 1987 (на грузинском языке), Двухмесячный научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Министерства внутренних дел ГССР, Прокуратуры ГССР, Верховного Суда ГССР.

Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 103. тел.: 95-88-49, 95-58-87.

ИЗДАТЕЛЬСТВА ЦК КП ГРУЗИИ.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии Тбилиси, ул. Ленина, 14.

660/146

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ
ინდექსი 76185